დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 3 – 9 ივნისი
N24 1542
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



12

## ზურა ხაჩიძე: მინდა, უსამშობლო ნაცები გავაფრთხილო –

ძალიან სახიფათო ზონაში შედიხართ, ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი წყობიდან გამოგყავთ და ლინჩის წესისკენ უბიძგებთ!

პირველად პრესაში

## უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის სრული ტექსტი

6-7






2-3

## სანქციებით შეშინებულთა საკითხავი



საქართველოს გარეშე ევროპის ისტორია ვერ დაიწერება!

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ჩინური ინვესტიციით აშენება გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც კი ქართულ სახელმწიფოს თავისი დამოუკიდებლობის განმავლობაში მიუღია!



## ბადრი ნაჭყებია:



4-5





22

## მიხეილ ცაგარელი:

მოთმინებით უნდა აღვივსოთ და მივცეთ საშუალება ბიძინა ივანიშვილს, ბოლომდე მიიყვანოს ის საქმე, რაც 12 წლის წინათ ჩაიფიქრა!

ეკაზგიაური

# სანქციებით შეშინებულ ქართველთა და მსგავსთა საკითხავი!




## საქართველოს გარეშე ევროპის ისტორია ვერ დაიწერება!

***მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში ინგლისელმა, ფრანგმა და ამერიკელმა ბანდიტებმა ჩინეთის იმპერიას ორი ომი მოახვიეს თავს და ქვეყნის მმართველი ცინის დინასტია აიძულეს, ოპიუმით ვაჭრობა დაეშვა.***

ის, რაც მაშინ აკრძალული იყო ევროპასა და ამერიკაში, დასავლელმა ყაჩაღებმა თოფითა და ზარბაზნით დააკანონეს ჩინეთში, სადაც გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს სოფლები, ქალაქები და ჩინეთის იმპერატორების ულამაზესი სასახლენი.

ე.წ. „ოპიუმის ომების“ შედეგად 1842 წელს ბრიტანელებმა ხელში ჩაიგდეს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ქალაქი ჰონგ-კონგი, ხოლო მთელი ჩინეთის მოსახლეობა ნარკოტიკებზე შესვეს და ერი გამოაშტერეს!

**აი, ამ ბანდიტების სულიერმა და გენეტიკურმა მემკვიდრეებმა, რომლებმაც ინდოელები ცეცხლში გამოწვეს და ქვეყნიდან 29 ტრილიონი დოლარის ქონება გაზიდეს, 30 მილიონი ინდიელი გაჟუჟეს და მათ ძვლებზე შეერთებული შტატები წამომართეს, იაპონიაში ატომური ბომბები ჩამოაგდეს, ხოლო ვიეტნამში ქიმიური წვიმები მოავლინეს, დღეს „დემოკრატები“ და „ადამიანის უფლებათა დამცველები“ დაირქვეს და ბრიუსელიდან თუ ვაშინგტონიდან ქართველებს შემოგვითვალეს — თუ მიიღებთ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ვიზალიბერალიზაციას გაგიუქმებთ, სანქციებს დაგიწესებთ და ევროპასა თუ ამერიკაში ცხვირს არ შემოგაყოფინებთო!**

განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ ის პარლამენტარები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ზემოხსენებულ კანონს მხარი დაუჭირეს და ხმა მისცეს. **ასეთებს კეფაში — 84 ტყვიით, ხოლო ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებიდან შვილებისა და შვილიშვილების გამოგდებით ემუქრებიან!**

ამ მუქარამ და თითის ქნევამ ზოგიერთი შეაკრთო და სერიოზულად შეაშინა. მაგალითად, „ვისოლის“ პრეზიდენტი **სოსო ფხაკაძე** აცახცახდა და კანონის უკან გაწვევა მოითხოვა... სხვაც ბევრი მოიკუნტა და მოახლოებული სანქციების შიშით ნაზამთრალ ტურასავით გაიტრუნა. ამ ყველაფრის ფონზე გამოვიდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე **ო'ბრაიენი** და განაცხადა: **„გამჭვირვალობის კანონის მიღების შემთხვევაში ვისაც დავასანქცირებთ, იმის სახელსა და გვარს არ გავასაჯაროებთ, კანონი ამას გვიკრძალავს!“** ამაზე ქართველები ამერიკელ „რევიზორს“ აუხტნენ და სავსებით სამართლიანად ქიმუნჯიც გაჰკრეს — **კი მაგრამ, მოსამართლეები რომ დაგვისანქცირეთ და დასანქცირებულთა გვარები და სახელები მთელ მსოფლიოს მოსდეთ, მაშინ ის დასაწვავი კანონი ამის გაკეთებას არ გიკრძალავდათო?**

მოკლედ, მონასტერი აირია და **ქართველი ზომბებისა და სნობების „ერთი ჯგუფიც“** აწრიალდა — **არიქა, რა გვეშველება, თუ დაგვასანქცირეს, ევროპასა და ამერიკას ვეღარ ვნახავთო!** ერთმა ისიც კი დაწერა — **ნეტავ, ამერიკაში იმ უშველებელი სეკვოიას ნახვა მაინც მომესწრო, რომელიც 2 ათასი წლისააო!** არადა, ასეთების გასაგონად ვიტყვით, რომ საქართველოში, პანკისის ხეობაში, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალში დაფიქსირებულია ურთხელის, ანუ უთხოვარის კორომები, რელიქტური ტყე, რომლის ანალოგიც დედამიწაზე არ მოიპოვება. **ეს იშვიათი ხეა, რომლის მოჭრაც თამარ მეფემ აკრძალა და მასზე სახელმწიფო მონოპოლია დააწესა, რადგან საქართველოში სწორედ ურთხელის ხისგან მზადდებოდა გემის წყალქვეშა ნაწილები, განსაკუთრებით ხომალდის ხერხემალი.**

სწორედ ურთხელის ხისგან დაამზადდეს ქართველმა მეხომალდეებმა — უმეტესწილად ლაზებმა — ის ქართული ფელუკები, გემები და საბრძოლო კატარღები, რომლებიც 1204 წლის აპრილში, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, კონსტანტინოპოლს ერთი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდნენ, მაგრამ 13 აპრილს ქართველებს კონსტანტინოპოლში ევროპელებმა შეასწრეს და პირწმინდად გაძარცვეს საქრისტიანოს დედაქალაქი.

**ბიზანტიის ისტორიის ყველა აღიარებული სპეციალისტი ერთხმად აცხადებს, რომ 1204 წლის გაზაფხულზე, როცა ქართველთა ლაშქარი ზღვითა და ხმელეთით კონსტანტინოპოლისკენ დაიძრა და ჰერაკლეასთან ვიდექით, ქართველთა სამეფო კარი სინამდვილეში მიზნად ისახავდა კონსტანტინოპოლის აღებას. ტრაპიზონის იმპერიის შექმნა მაშინ საქართველოს სამეფო კარისთვის მხოლოდ პოლიტიკური ხურდა იყო და მეტი არაფერი!**

ამერიკული და ევროპული სანქციების შიშით მავანი ქართველი გულშემოყრილია, რადგან ჰგონია, რომ ევროპაში აახენისა და კიოლნის ტაძრების სანახავად ვერ ჩავა და ანტონიო გაუდის შედევრების ფონზე ფოტოსურათებს ვერ გადაიღებს. არადა, ამ დროს სანახავი **თურქეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში** ბევრზე ბევრი გვაქვს. მაგალითად, ქართველი ახალგაზრდების უდიდესმა ნაწილმა არაფერი იცის **დოლისყანის, ჩანგლის, ოთხთა ეკლესიის, შატბერდის, ხანძთის, ოშკის, პარხალის, ბანასა** და, რაც ყველაზე მთავარია, **არტანუჯის** შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ **ვახტანგ გორგასალმა** დააარსა და შემდეგ **მურვან-ყრუს** მიერ დანგრეული და მიწასთან გასწორებული **აშოტ კურაპალატმა** აღადგინა, როგორც იმედი და სიმბოლო ერთიანი და განუყოფელი საქართველოსი!

**დიდებულია პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, მაგრამ უფრო ძველი, მითიური და იდუმალია უძველესი არქეოპოლისი ნოქალაქევთან. აღარაფერს ვამბობ პეტრას ციხესა და გონიო-აფსაროსზე, სადაც სპარსელები, რომაელები და ბიზანტიელები ჯერ ერთურთის, ხოლო ყველანი ერთად ქართველების სისხლს ღვრიდნენ, რათა ძველი საქართველოს სამხრეთის კარიბჭე გაეკონტროლებინათ და ხელში ჩაეგდოთ!**



ეგრისის სამეფოს ციხე-ქალაქი პეტრა. 5035 წელი



კაცხის სვეტი. V–VI სს

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**გამჭვირვალობის კანონი** ემსახურება სწორედ **საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებას** და საქართველოს დამშვიდებას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



დღეს როგორ შეიძლება ანაკლიის პორტის პროექტზე საუბრობდეს ადამიანი, რომელმაც ჩააგდო ეს პროექტი. ვგულისხმობ, **მამუკა ხაზარაძეს!** ჩემი ინფორმაციით, **თავად 3 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული, სხვებს ჩაადებინა, დაღუპა ინვესტორები.** სრული ფიასკო განიცადა მისმა პროექტმა! ამის შემდეგ კაცი წავიდა და **დღეს ქვეყანას ედავება მილიარდ 500 მილიონ დოლარს.** კაცი, რომელიც ჯერ ძარცვავდა მოსახლეობას მაღალი პროცენტებით, ათასობით ადამიანს ჩამოართვა ბინები, პირდაპირ ბიზნესის რეკეტში იყო ჩართული სააკაშვილის მმართველობის დროს.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



ალბათ, წლების წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ **საქართველო ამ მასშტაბის წინააღმდეგობის მიუხედავად, შეძლებდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას.** ყველა მეგობარმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა მზადაა **მხოლოდ ღირსეული და ჭეშმარიტი მეგობრობისთვის.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**სალომე ზურაბიშვილი** ატარებს სხვის ინტერესებს და არა — ქვეყნის. **საქართველოში რუსული კანონების მიღება არ ხდება და ვერ მოხდება,** ჩვენ ვიღებთ ქართულ კანონებს, რომელიც იცავს ქვეყნის ინტერესებს.

„იმედინიუსი“


აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და პრეზიდენტი ჯო ბაიდენი


ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი

ის კი არა, საქართველოში ბევრს ბოლნისის სიონიც კი არა აქვს ნანახი, რომლის აღმოსავლეთ კედელზეც პალესტინის ქართული წარწერების შემდეგ 491 წლით დათარიღებული უძველესი ქართული წარწერაა ამოგვირისტებული.

ვიღაცები მდუღარე ცრემლებს ღვრიან **იმპერატორ ვესპასიანეს** მიერ აშენებულ **კოლიზეუმზე,** აბოდებთ **პიზისა და ეიფელის კოშკების** დანახვაზე, ვიღაცას **ტაუერის ციხესიმაგრეში** დარჩა რაღაც სანახავი, ხოლო ვიღაცას **ბრუკლინის ხიდზე** მიეჩქარება ე.წ. სელფის გადასაღებად, მაგრამ უბედურება ის არის, რომ **საქართველოში ძალიან ბევრს არაფერი სმენია კაცხის სვეტსა თუ უკვდავების სვეტად აღმართულ ნიკორწმინდაზე, რომლისგანაც არცთუ შორსაა ბარაკონის უწმინდესი ტაძარი,** რომელიც 1752 წელს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე უფრო უწმინდურმა კაცმა როსტომ რაჭის ერისთავმა ააშენა. **ეს ის როსტომია, რომელიც ხრესილის ბრძოლაში თურქების გვერდით იდგა და საქართველოს დიდ მეფეს სოლომონ პირველს სისხლს უშრობდა.** ბოლოს და ბოლოს, 1769 წელს სოლომონმა მოღალატე როსტომი ოჯახიანად შეიპყრო და რაჭის მპყრობელს თვალები დასთხარა.

ზოგიერთს შოტლანდიაში ლოხ-ნესის ტბაში **ურჩხულ ნესის** ნახვა უნდა და თავს იკლავს — **„რუსული კანონის“ გამო სანქციები რომ დაგვიწესონ და შოტლანდიაში ვერ წავიდეთ, რაღა გვეშველებაო!** არადა, ამ დროს ქართველების აბსოლუტურ უმრავლესობას არ უნახავს **ტობავარჩხილი, ანუ იგივე ვერცხლის ტბა სამეგრელოში, წალენჯიხის მთებში, ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2650 მეტრზე.** სწორედ ტობავარჩხილიდან იღებს სათავეს ულამაზესი მდინარე მაგანა, რომელიც საქართველოს დევნილმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** 1993 წლის დეკემბერში კუნაპეტ ღამეში გადალახა, რათა შევარდნაძის მდევრებისგან თავი დაეღწია და სიცოცხლე გადაერჩინა. სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდია ვერ გადარჩა და ვერც გადარჩებოდა, **რადგან იმ ბნელ ძალებს, რომლებიც დღეს საქართველოს ამ უაღრესად საჭირო და სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი კანონის მიღების გამო დასანქცირებას უპირებენ, მისთვის განაჩენი გამოტანილი ჰქონდათ!**


ნიკორწმინდის ტაძარი. 1010-1014 წწ

არც **ჯაჯის ტბის** შესახებ იცის ქართველების დიდმა ნაწილმა რამე, რომელიც ჩოხატაურის, ვანისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების შეერთების ადგილზე მდებარეობს და შუა ზაფხულშიც კი ყინულივით ცივია.

საერთოდ, შექსპირის ჰამლეტის ცნობილი სიტყვის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, **მაშინ საქართველოში მართლაც ბევრი რამ არის ისეთი, რაც დასანქცირების შიშით შეშინებულ ქართველებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ!**

მოკლედ, სანახავი, წასასვლელი და მოსავლელი საქართველოშიც ბევრია, ევროპაშიც და ამერიკაშიც.

**ისიც ფაქტია, რომ საქართველოს გარეშე ევროპის ისტორია ვერ დაიწერება, ხოლო ამერიკის ისტორია საერთოდ ანაქრონიზმია.**

**არ გვგონია, ეს მოხდეს! ისე კი, მავან ქართველებს, რომლებსაც საქართველო არ უნახავთ და ევროპა-ამერიკაზე აბოდებთ, ვურჩევთ, ღნავილსა და წივილ-კივილს მორჩნენ!**

მაგრამ, თუ ამერიკელებსა და ევროპელებს ღმერთი გაუწყრათ და საქართველოს სანქციები ნამდვილად დაუწესეს, ამით ევროპა თავის ფესვებსა და წარმოშობას დაასანქცირებს!

**ეს კი ცნობილი ამერიკელი აფერისტის — ფრენსის ფუკუიამას ცრუმოძღვრებისგან განსხვავებით, ნამდვილად იქნება ისტორიის დასასრული!**

*დიტო ჩუბინიძე*



ფრენსის ფუკუიამა

# თუ ამერიკელებსა და ევროპელებს ღმერთი გაუწყრათ და საქართველოს სანქციები ნამდვილად დაუწესეს, ამით ევროპა თავის ფესვებსა და წარმოშობას დაასანქცირებს!

## კვირგვინოსნები

**ფრიდონ ინჯია**
*„ევროპული სოციალისტების“ თავმჯდომარე*



იმ ქვეყნებში, სადაც **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“** შესახებ კანონია მიღებული, **ფერადი რევოლუციები არ იქნება!** უფრო მეტიც, ეს კანონი 2003 წლამდე რომ შესულიყო ძალაში, საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ არ მოხდებოდა!

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ნაცი, ჩახდილი „გირჩი“, გვარამია და დანარჩენი უსამშობლოები** არის ერთი გაერთიანება, **„ლოკალური ომის ქარტია“** დავარქვათ ამას — მადლობა **მადამ პრეზიდენტს** ინიციატივისთვის, რომ ყველა ერთად გააერთიანა.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*



საფუძველი იმისა, რომ **ლარის კურსი** გაუფასურდეს, არ გვაქვს. **იყო განზრახ პანიკის გამოწვევის მცდელობა,** მაგრამ ვინარჩუნებთ სტაბილურ კურსს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ პროგრესთან.

„ინტერპრესნიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**დაასამარეთ ადამიანის უფლებები, დაატერორეთ მედია, რეკეტის ქვეშ გყავდათ ბიზნესი** და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, **ანტენებს აპატიმრებდით** — ეს იყო თქვენი წარმოდგენით ევროპა და **ახლა ბედავთ, ევროპის დაცვაზე გველაპარაკებით.**

„ინტერპრესნიუსი“

**გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო! — ასე დაემართათ რადიკალურ ნაცოპოზიციასა და ლიბერალურ ენჯეოებს, რომლებსაც პოლიტიკური წკმუტუნი ჯერ იმის გამო არ დაუმთავრებიათ, რომ გამჭვირვალობის კანონთან ბრძოლაში ფიასკო იწვნიეს და უცებ კიდევ ერთი უბედურება დაატყდათ თავს.**





ბადრი ნაჭყებია და მისი ოჯახი ჩინეთის საელჩოში, ელჩ ჭოუ ციანთან პერსონალურ მიღებაზე

## ბადრი ნაჭყებია:

# ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ჩინური ინვესტიციით აშენება გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც კი ქართულ სახელმწიფოს თავისი დამოუკიდებლობის განმავლობაში მიუღია!

*საქმე ეხება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც* ***ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს*** *ჩინური კონსორციუმი ააშენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტში დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშის — ჩინეთის სახელმწიფო ინტერესები იყრის თავს.*

*ამის გაცხადება იყო და, კოლექტიური ნაცმოძრაობის რიგებიდან ისტერიკის ნიაღვარი წამოვიდა —* ***ივანიშვილის ხელისუფლება ანაკლიის პორტში ჩინეთის შემოშვებით საქართველოს საბოლოოდ უკეტავს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზასო... ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ „ქართული ოცნება“ რუსეთში მიგვათრევსო...*** *ისღაა დარჩენილი, მთავრობის სახლზე წითელი საბჭოთა დროშა აფრიალდესო... კიდევ რა არ თქვეს პოლიტიკურმა პარაზიტებმა* ***ხანდაზმული თაღლითი მამუკა ხაზარაძით დაწყებული და „ვივამედში“ მონებივრე მსჯავრდებული სააკაშვილით*** *დამთავრებული.*

*რეალურად, რას მოუტანს საქართველოს ჩინური ინვესტიციით აშენებული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და, ზოგადად, ჩინეთის გააქტიურება სამხრეთ კავკასიაში?* ***ამ თემაზე პოლიტოლოგსა და პროფესორს, ჩინეთის ქალაქ ურუმჩიში მდებარე სინძიანის უნივერსიტეტის ექსპერტ-კონსულტანტ ბადრი ნაჭყებიას ვესაუბრებით:***

— ჩინეთის დღევანდელმა ლიდერმა, ბატონმა **სი ძინპინმა** ხელისუფლებაში მოსვლისთანავე წარმოადგინა ეპოქალური განვითარების დოქტრინა **„ერთი სარტყელი — ერთი გზა“**, რომელიც აზიისა და ევროპის კონტინენტებს შორის თავისუფალი და მომგებიანი ვაჭრობის განვითარებას ითვალისწინებს. საქართველო, როგორც ე.წ. შუა დერეფანი, ისედაც წარმოადგენდა ამ ეპოქალური პროექტის მნიშვნელოვან რგოლს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთ-უკრაინის ომის გამო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ე.წ. ზედა დერეფანი დაიკეტა, საქართველოს მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა.

დღეს უკვე შეიძლება, პირდაპირ ითქვას, რომ **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ჩინური ინვესტიციით აშენება გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც კი ქართულ სახელმწიფოს თავისი დამოუკიდებლობის განმავლობაში მიუღია!**

**— რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მიიღოს საქართველომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტით?**

— უპირველეს ყოვლისა, პორტის მშენებლობა გულისხმობს ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის — საავტომობილო და სარკინიგზო არტერიების მასშტაბურ მოდერნიზაციასა და ახალი კვანძების მშენებლობას. უკვე თვალნათლივ ვხედავთ, რამხელა როლი შეასრულეს ჩინურმა კომპანიებმა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალისა და კობი-გუდაურის ჩქაროსნული გზის მშენებლობაში. ანაკლიის პორტის მშე-

**ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ფრაგმენტი**




## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



საქმე იქით მიდის, რომ **ხვალ მადლობა გექნებათ სათქმელი** — გაიღვიძებთ საქართველოში, რომელიც **მოქმედებს ხალხის ინტერესით,** რომელიც ეძებს **მეგობრებს** და არა — **მეურვეებს.**

„ინტერპრესნიუსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



ჩვენ მივიღებთ კანონებს, რომლებიც **ქართველი ერის ინტერესს** შეესაბამება.

„რეზონანსი“

**კახა კახიშვილი**
*პარლამენტარი*



ბავშვებს აყენებენ წინ და თვითონ უკან იმალებიან. **ამ ბავშვებს რომ უბიძგებ პარლამენტში შევარდნისკენ, ცოდვები არ არიან?!** რატომ უბიძგებენ ამ ბავშვებს ასეთი მძიმე დანაშაულისკენ?! გინდა?! **შენ შედი მაშინ და შენ აგე პასუხი, ბავშვს რატომ უშვებ?!** სიაში პირველი, მეორე, მესამე ვინ იქნება, ამისთვის იკლავენ თავს, თორემ იმისთვის კი არა, რომ ეს კანონი მართლა რუსულია. **ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



როგორც **ზვიადის პერიოდის ერთგული და დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი დეპუტატები** შევიდნენ ოქროს ასოებით საქართველოს ისტორიაში, ისე შევა ყველა ის პარლამენტის წევრი საქართველოს ისტორიაში, **ვინც მხარი დაუჭირა ქართულ კანონს და საქართველოს რეალურ სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას.** პირადად ჩემგან მადლობა მათ.

„აიპრესი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ლიდერი*



აქამდე ვსაუბრობდით **გლობალურ ომის პარტიაზე** და ახლა უცებ აღმოჩნდა ადგილობრივი, **ლოკალური ომის პარტია** — მცდელობაა, რომ **საქართველო რამენაირად ომში ჩაითრიონ.**

„იმედინიუსი“



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციასთან

# „შეიძლება, მივიღოთ საქართველოს, რუსეთისა და ჩინეთის ინტერესების თანხვედრა აფხაზეთის ეკონომიკურ ზონაში, კონკრეტულად კი, ოჩამჩირის პორტში, რაც სერიოზულ ბიძგს მისცემს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს!

ნებლობის პარალელურად, საჭირო იქნება სარკინიგზო ზოლის გაფართოება რიკოთის უღელტეხილამდე, რათა ტვირთების გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს. დიდი ალბათობით, ახალი სარკინიგზო მაგისტრალიც აშენდება და საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურა სულ სხვა მასშტაბებზე გავა.

საბოლოო ჯამში, ჩინური ინვესტიციით აშენებული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოს სერიოზულ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს საგრძნობლად გაზრდის.

**— თუმცა, ეკონომიკური ფაქტორის გარდა, ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური და სახელმწიფო უსაფრთხოების ასპექტები, რაც ანაკლიის პორტის მშენებლობას, ანუ სამხრეთ კავკასიის რეგიონში და შავ ზღვაზე ჩინეთის შემოსვლას ახლავს. ამ მხრივ რისი თქმა შეგიძლიათ?**

**– კატეგორიულად არ ვეთანხმები ქართული ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებებს, თითქოს ანაკლიის პორტში ჩინეთის შემოსვლა დასავლური სამყაროსაგან საქართველოს მოწყვეტას ნიშნავს.**

პირიქით, ანაკლიის პორტის ჩინური ინვესტიციით აშენება ყველანაირად შედის ევროკავშირის ინტერესებში, რადგან ჩინური საქონლისა და პროდუქციის ყველაზე დიდი მომხმარებელი სწორედ ევროპაა. მეტსაც გეტყვით — **ვფიქრობ, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტში ჩინეთის შემოსვლა ევროკავშირის მიერ მწვანე შუქის ანთების გარეშე არ მოხდებოდა.**

**— თუმცა, საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში ჩინეთის პოზიციების გაძლიერების მთავარი მოწინააღმდეგე ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ევროკავშირზე!**

— ამერიკასა და, ზოგადად, კოლექტიურ დასავლეთს თავისუფლად შეეძლოთ, ანაკლიის პორტის მშენებლობაში თავიანთი ინვესტიციები ჩაედოთ და მთლიანად აეღოთ პასუხისმგებლობა ამ პროექტზე, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ალბათ, სიფრთხილე გამოიჩინეს იმის გამო, რომ ანაკლია აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონთან ძალიან ახლოს მდებარეობს და რუსული სამხედრო ბაზები, ფაქტობრივად, ერთი ხელის გაწვდენაზეა.

სამაგიეროდ, ჩინელების მიერ ანაკლიის პორტის აშენების შემდეგ, საქართველოს რუსეთის მხრიდან, როგორც, მინიმუმ, სამხედრო ესკალაციის საფრთხე აღარ დაემუქრება და სეპარატისტული აფხაზეთის ტერიტორიიდან გართულებებს არ უნდა ველოდოთ. მეტიც, **ანაკლიის პორტის აშენებასთან ერთად, რუსეთის ქმედებები კონსტრუქციული გახდება მთელ სამხრეთ კავკასიაში, რადგან იგი ანგარიშს გაუწევს ჩინეთის ინტერესებს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობასთან დაკავშირებით.**

მოკლედ, ჩინეთის მიერ აშენებული ანაკლიის პორტით უსაფრთხოების სერიოზულ მექანიზმს იღებს არამხოლოდ საქართველო, არამედ მთელი სამხრეთ კავკასია. და კიდევ: **არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აშენების პარალელურად, ჩინეთის ინტერესში ოჩამჩირის პორტიც მოექცეს და საქართველო საკუთრების უფლებით შევიდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე.**

**— თუ შეიძლება, ფრჩხილები ბოლომდე გახსენით და დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— თუ ქართული სახელმწიფო სწორად მუშაობას გააგრძელებს, შეიძლება, მივიღოთ საქართველოს, რუსეთისა და ჩინეთის ინტერესების თანხვედრა აფხაზეთის ეკონომიკურ ზონაში, კონკრეტულად კი, ოჩამჩირის პორტში, რაც, საბოლოო ჯამში, სერიოზულ ბიძგს მისცემს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს.

**— ასეთი პროგნოზის ფონზე, კიდევ ერთხელ უნდა გკითხოთ — რამდენად შეეგუება აშშ შავ ზღვასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩინეთის შემოსვლას?**

— საქართველოშიც და სამხრეთ კავკასიაშიც უკვე დაწყებულია და კიდევ უფრო გაძლიერდება ანტიჩინური კამპანია, რადგან ამერიკა არ გაჩერდება და საკუთარი ეკონომიკის მეორე პლანზე გადასვლას არ შეეგუება. არადა, **ჩინეთის ეკონომიკა, დღეს თუ არა ხვალ, სეროზულად ჩამოიტოვებს ამერიკის ეკონომიკას, რადგან დღესდღეობით ჩინეთის ტერიტორიაზე წარმოების დონე ძალიან მაღალია და პეკინი ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში ვეებერთელა რესურსს დებს.**



ოჩამჩირის პორტი

მოკლედ, ჩვენს რეგიონში ჩინეთის გააქტიურების კვალდაკვალ, შეიძლება, საქართველოს აშშ-თან ურთიერთობა დაეძაბოს, მაგრამ ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ მას არ დავეჯახოთ. ისიც კმარა, რომ ერთ ზესახელმწიფოსთან — რუსეთთან დიდი ხანია, დაჯახებული ვართ და ახლა ძლივძლივობით ვცდილობთ რაღაცის დალაგებას. დღეს თავი უნდა იჩინოს ისტორიულმა ქართულმა დიპლომატიამ, რომელიც ბალანსის პოლიტიკაზე იყო აგებული და სწორედ ეს გახდეს ჩვენი მოქმედების ლაიტმოტივი ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში.

ამასთან ერთად, საქართველო უნდა იქცეს რეგიონის სერიოზულ მოთამაშედ, რის საშუალებასაც ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა გვაძლევს.

**— გამოდის, რომ ანაკლიის პორტის სტრატეგიულ პროექტში ჩინეთის შემოსვლა ყოველმხრივ დადებით მოვლენად მიგაჩნიათ?**

— დიახ, ანაკლიის პორტში და, შესაბამისად, სამხრეთ კავკასიაში ჩინეთის შემოსვლას უაღრესად დადებითად ვაფასებ და საქართველოს უსაფრთხოების, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების სერიოზულ ფაქტორად მივიჩნევ.

**მოველი, რომ საქართველო ჩვენს რეგიონში გახდება ყველაზე საჭირო ხიდი აზიასა და ევროპას შორის, რასაც მოჰყვება სერიოზული ნაბიჯები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**სააკაშვილი არც ე.წ. სინდისის პატიმარია, არც პუტინის პირადი ტყვე, არამედ ის არის მსჯავრდებული,** რომელიც სასჯელს იხდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული **დანაშაულის ჩადენის გამო.**

„TV იმედი"

**რიკარდ იოზვიაკი**
*„რადიო თავისუფლების" ევროპის ბიუროს რედაქტორი*



**ევროკავშირის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფის შეწყვეტა** არის ის, რაც ევროკომისიას წევრი ქვეყნების მწვანე შუქის გარეშე შეუძლია, მაგრამ აქაც არის დაბრკოლება. საქართველო ყოველწლიურად იღებს დაახლოებით **85 მილიონ ევროს გრანტების სახით**. ნაწილი მიდის პირდაპირ სახელმწიფოსთან, **ამ ფულის დიდი ნაწილი კი მხარს უჭერს ქვეყნის სამოქალაქო სექტორს,** რომლის დაცვაც ბრიუსელს ახლა ისე სურს, როგორც არასოდეს.

„იმედინიუსი"

**მიხაელ როთი**
*გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე*



მე ვდგავარ ყველა ქართველის გვერდით, რომელიც **მშვიდობიანად იბრძვის თავისუფლებისთვის,** დემოკრატიისა და ღირსებისთვის.

„იმედინიუსი"

**ემანუელ მაკრონი**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*



საქართველომ **თავად უნდა აირჩიოს** თავისი გზა.

„რეზონანსი"

# საქართველოს კანონი
# უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

## მუხლი 1
### კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

**1.** ეს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აწესრიგებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**2.** ეს კანონი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას.

## მუხლი 2
### უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია

**1.** ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:

**ა)** ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

**ბ)** „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

**გ)** ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

**დ)** ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.

**2.** ამ მუხლის მიზნებისთვის შემოსავალი არის ფულადი თანხა ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთე (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთი). იმ შემოსავლის ღირებულება, რომელიც არ არის ფულადი თანხა, ამ მუხლის მიზნებისთვის მისი საბაზრო ფასით გამოითვლება.

**3.** ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებულმა შესაბამისმა სუბიექტმა მიიღო შემოსავალი, თუ მას გადაეცა ფულადი თანხა ან იგი გახდა ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთის) მესაკუთრე ან მოსარგებლე.

**4.** ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლის წყარო უცხოური ძალაა, თუ:

**ა)** აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

**ბ)** აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო იმ იურიდიული პირისგან, რომელმაც შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

**გ)** აღნიშნული შემოსავლის წყარო იდენტიფიცირებული არ არის.

## მუხლი 3
### უცხოური ძალა

ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალა არის:

**ა)** უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი;

**ბ)** ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;

**გ)** იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არის დაფუძნებული;

**დ)** ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული.

## მუხლი 4
### სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია

**1.** სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია, მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის მომდევნო კალენდარული წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ — სააგენტო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის — იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია, 2 სამუშაო დღეში უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის სათანადო ვებგვერდზე იმგვარი დაშვება, რომ მან შეძლოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის (შემდგომ — განაცხადი) ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შევსება და სააგენტოსთვის წარდგენა.

**2.** სუბიექტი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სათანადო ვებგვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღეში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

**3.** განაცხადის ავტორი ვალდებულია, განაცხადში, რომელიც იმავდროულად მისი საფინანსო დეკლარაციაა, ასახოს შემდეგი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში):

**ა)** განაცხადის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

**ბ)** განაცხადის ავტორის ადგილსამყოფლის მისამართი;

**გ)** განაცხადის ავტორის ვებგვერდის მისამართი;

**დ)** ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ;

**ე)** ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ;

**ვ)** განაცხადის შევსების თარიღი.

**4.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია, მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში. თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. განაცხადის ავტორი ვალდებულია, ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია, აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.

**5.** სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში აღრიცხვისთვის საფასური არ გადაიხდევინება.

**6.** სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების წესებს, აგრეთვე განაცხადის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

## მუხლი 5
### განაცხადის, სხვა სათანადო დოკუმენტებისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის საჯაროობის უზრუნველყოფა

**1.** განაცხადი და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება საჯაროა. სააგენტო ვალდებულია, სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი განაცხადის, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების, არსებობის შემთხვევაში — აგრეთვე აღნიშნული სუბიექტის მოქმედი წესდების, სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და საჯარო რეესტრიდან ამ სუბიექტის შესახებ ბოლო ამონაწერის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

**2.** უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში შეტანილი ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს მისი სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

## მუხლი 6
### ყოველწლიური საფინანსო დეკლარაცია

**1.** უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლა-

# უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

**მიღებულია მესამე მოსმენით საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 2024 წლის 14 მაისს. პრეზიდენტის ვეტო დაძლეულია 2024 წლის 28 მაისს.**

რაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია, ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

**2.** ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაცია და მასში ასახული ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

**3.** ამ მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის წარდგენის წესს, აგრეთვე აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

## მუხლი 7

### უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება

**1.** უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებულ სუბიექტს, რომელიც, წინა კალენდარული წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აღარ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება აქვს, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენისას დასაბუთებული წერილობითი განცხადებით, მატერიალური ფორმით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოსთხოვოს მისი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმება. ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნული საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე 30 სამუშაო დღეში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

**2.** სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია, ეს სუბიექტი დაუყოვნებლივ ამორიცხოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრიდან და სათანადო ვებგვერდიდან წაშალოს აღნიშნულ სუბიექტთან დაკავშირებით ამ კანონის შესაბამისად მანამდე გასაჯაროებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

**3.** ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჯაროა და სათანადო ვებგვერდზე ქვეყნდება.

**4.** უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

## მუხლი 8

### მონიტორინგი

**1.** უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი — საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.

**2.** მონიტორინგის დაწყების საფუძველია:

**ა)** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება;

**ბ)** საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.

**3.** მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

**4.** ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 6 თვეში ერთხელ.

**5.** თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბიექტი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მან უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციას თავი აარიდა, სააგენტო აღნიშნულ სუბიექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე არეგისტრირებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია ამ სუბიექტს არ ათავისუფლებს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია, 10 სამუშაო დღის ვადაში ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

**6.** მონიტორინგის წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

## მუხლი 9

### პასუხისმგებლობა და სამართალწარმოების საკითხები

**1.** უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის იმავე მუხლით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა —

გამოიწვევს დაჯარიმებას 25 000 ლარის ოდენობით.

**2.** ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობა ან ამ კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის შევსებისა და წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა —

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

**3.** ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გაგრძელება იმავე ქმედების ჩადენისთვის ბოლოს დადებული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 თვის განმავლობაში —

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

**4.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა —

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

**5.** ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს ადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სხვა სათანადო საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

**6.** ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი სუბიექტისთვის დაკისრება არ ათავისუფლებს მას ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისაგან.

**7.** ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში.

**8.** ამ კანონის საფუძველზე ან/და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

## მუხლი 10

### გარდამავალი დებულებები

**1.** ამ პუნქტის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში:

**ა)** შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა მიიღონ/გამოსცენ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტები და უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

**ბ)** საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სააგენტომ განახორციელონ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო წინასწარი მატერიალურ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებები.

**2.** ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს იმავე მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია, ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამის შემდეგ ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.

## მუხლი 11

### კანონის ამოქმედება

**1.** ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-მე-9 მუხლებისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**2.** ამ კანონის პირველი-მე-9 მუხლები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

*წინამდებარე წერილის სათაური „გალობანი თინანულისანი“ ალუზიურად ეხმიანება მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ჰიმნოგრაფიული შედევრის სახელწოდებას — „გალობანი სინანულისანი“, ხოლო თინაში*

# გალობანი თინანულისანი



თინა ხიდაშელი გადაცემაში „რას იტყვის ხალხი?“, 2002 წელი

***იგულისხმება გახმაურებული პოლიტიკოსი და არასამთავრობოელი თინა ხიდაშელი, რომელიც ქართული სახელმწიფოს ბედუკუღმართობისა და „ქართული ოცნების“ უპრინციპობის გამო საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობასაც კი იკავებდა.***

მაშ, რას გალობს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანებული **დავით უსუფაშვილის თანამეცხედრე თინა,** ანუ რას გვეუბნება გალობანი **თინა**ნულისანი?

**გალობანი თინანულისანი** გვეუბნება, გვიჩვენებს, გვიმტკიცებს და გვიდასტურებს იმას, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობა საქართველოში ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ იდგა.

**გალობანი თინანულისანი** ასევე მოწმობს, რომ ლიბერალური არასამთავრობო სექტორი იმთავითვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული და უცხო სახელმწიფოთა გავლენის აგენტურას წარმოადგენდა.

მოკლედ, **გალობანი თინანულისანი** გახლავთ ერთგვარი ანატომია, თუ როგორ მყარდებოდა საქართველოში ენჯეოკრატია, ანუ როგორ ყალიბდებოდა და იკრებდა ძალას ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ დაგეშილი „მეხუთე კოლონა.“

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, **გალობანი თინანულისანი** დავარქვით რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოს, რომელშიც **თინა ხიდაშელი** მთელი თავისი პოლიტიკური და ენჯეოური სიყეყეჩით ფიგურირებს. ეს გახლავთ მცირე ფრაგმენტი 2002 წელს „პირველი არხის“ ეთერში გასული გადაცემიდან — **„რას იტყვის ხალხი?“** — რომელსაც ჟურნალისტი **ეკა ბერიძე** უძღვებოდა. გადაცემა ეხებოდა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსურ გამჭვირვალობას, უცხოური გრანტების დაბეგვრის საკითხს და, ზოგადად, იმას, რომ ე.წ. მესამე სექტორის საქმიანობა, ფაქტობრივად, უკონტროლო იყო, რაც ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

ჰოდა, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია **„სამოქალაქო იდეის“** ხელმძღვანელი **თინა ხიდაშელი,** რომელიც იმხანად არასამთავრობო ორგანიზაცია **„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“,** ანუ **საია**-ს თავმჯდომარე იყო, გადაცემაში ლამის ფეხსაცმლიდან ამოხტა:

> *„ფინანსთა სამინისტრომ როგორ უნდა გააკონტროლოს გრანტები? მე გაძლევთ სრულ გარანტიას, ვინც არ უნდა მოვიდეს ფინანსთა მინისტრად, ვერასოდეს ვერ გააკონტროლებს არასამთავრობო სექტორში შემოსულ გრანტებს. ვერასოდეს ვერ ექნება ინფორმაცია არასამთავრობო სექტორში შემოსული გრანტების, იმიტომ, რომ ასეთი ვალდებულება არსად არ წერია“.*

**გალობანი თინანულისანი,** რომელიც საზოგადოებამ ჯერ კიდევ 2002 წელს ტელევიზიის ეთერიდან მოისმინა, დღეს კი სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეოფრაგმენტიდან ისმენს, ცხადყოფს, რომ **თინა ხიდაშელი, როგორც უცხოური გავლენის კლასიკური აგენტი,** 22 წლის წინათაც ისევე გააფთრებით იბრძოდა არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობის წინააღმდეგ, როგორც ამას დღეს აკეთებს.

განსაკუთრებით ნიშანდობლივი ის არის, რომ **თინა ხიდაშელი** თვითდაჯერებული ყეყეჩის ჰონორით ეუბნება ქართულ სახელმწიფოს — **გარანტიას გაძლევთ, რომ ვერასოდეს და ვერაფრით გააკონტროლებთ ჩვენს უცხოურ დაფინანსებას, რადგან არ არსებობს კანონი, რომელიც ამის უფლებას განიჭებთო!**

დიახ, **თინა ხიდაშელსა** და მისი რიგის სხვა ენჯეოელებს თავი ქუდში ჰქონდათ და აბსოლუტურ ხელშეუხებლობას გრძნობდნენ, რადგან 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოში არ არსებობდა **უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი,** რომელიც უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსური დეკლარაციის შევსებას დაავალდებულებდა.

არადა, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ამის საჭიროებას რომ გრძნობდა და შესაბამისი კანონის მიღებაზეც ფიქრობდა, **გალობანი თინანულისანი** ამაზე პირდაპირ მიგვანიშნებს:

> ***„სახელმწიფოს მეთაური და ყველა პოლიტიკური ძალა, რომელსაც დღეს პრეტენზია აქვს სახელმწიფოს მართვისა, სისტემურად, თვეებია უკვე, საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენ ვართ ტერორისტულ მოქმედებებში ჩართული ორგანიზაციები. საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენ ვეწევით ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას“.***

ხიდაშელის ამ განცხადებას გადაცემის წამყვანის ეკა ბერიძის რეპლიკა მოჰყვება:

> ***„მაგრამ ფაქტია, რომ ამ ფონზე თქვენ იღებთ გრანტებს და აგრძელებთ არსებობას“.***

ჟურნალისტის რეპლიკას **თინა ხიდაშელი** მყისიერად უპასუხებს:

> ***„რა თქმა უნდა, ვარსებობთ მანამ, სანამ არ შემოიტანენ იმ დრაკონულ კანონმდებლობას, რომელიც უკვე ბევრჯერ მომზადდა კანცელარიაში“.***

დრაკონული კანონმდებლობაო!

ესე იგი, **კოლექტიური თინახიდაშელი** 22 წლის წინათ **„დრაკონულ კანონმდებლობას“** უწოდებდა იმას, რასაც დღეს **„რუსულ კანონს“** ეძახის!

2002 წელს რუსეთში ე.წ. უცხოელი აგენტების კანონი არ არსებობდა, თორემ **კოლექტიური თინახიდაშელი** მაშინაც იყვირებდა — **„არა რუსულ კანონს!“**

არადა, 2002 წელს შევარდნაძის მოფახფახებულ ხელისუფლებას **უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის** მიღების თავი რომ ჰქონოდა, ერთი წლის შემდეგ „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოხდებოდა და სააკაშვილის მანიაკური ბანდა ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა!

**დღევანდელ და 22 წლის წინანდელ საქართველოს შორის მთავარი განსხვავება სწორედ ის არის, რომ ქართულ სახელმწიფოს აღმოაჩნდა ძალა, კოლექტიური დასავლეთისა და მისი „მეხუთე კოლონის“ გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, გამჭვირვალობის კანონი მიეღო!**

**სწორედ ამიტომ ვერ განმეორდება დღევანდელ საქართველოში ვარდების ბინძური რევოლუციის მსგავსი სახელმწიფო გადატრიალება!**

**სწორედ ამიტომ დარჩება გალობანი თინანულისანი ხმად მღაღადებლისა უსუფაშვილსა შინა!**

რაც მთავარია, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ქართულმა კანონმა საქართველოში საბოლოოდ უნდა დაასრულოს **კოლექტიური თინახიდაშელის ენჯეოკრატია!**

წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოეთიდან დაფინანსებული და მართული ენჯეოკრატია საბოლოოდ დაასრულებს დამოუკიდებელ და სუვერენულ ქართულ სახელმწიფოს!

***ჯაბა ხუბუა***





თინა ხიდაშელი და დავით უსუფაშვილი

## გამჭვირვალობის კანონმა საქართველოში საბოლოოდ უნდა დაასრულოს კოლექტიური თინახიდაშელის ენჯეოკრატია!

## კვირგვინოსნები

**ნიკა მელია**
*პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ჯერ **არც ბრძოლა** დასრულებულა, **არც — ივანიშვილი,** შესაბამისად, **არც დავმარცხებულვართ** და **არც საბოლოოდ გაგვიმარჯვია** — შუა ბრძოლაში ვართ და **არც მოდუნების დროა.** „ინტერპრესნიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**პირობას ვდებ, ვფიცავ,** რომ მე როგორც ერთი ადამიანი, საქართველოს მოქალაქე, დედა, შვილი, თქვენი მეგობარი და თანამებრძოლი **ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ესენი გავისტუმროთ!** „ინტერპრესნიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**ერთობით თუ ერთობის გარეშე,** „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ნაციონალური მოძრაობა **რეჟიმს აუცილებლად შევცვლით.**

„პირველი არხი“

**თამარ კორძაია**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



თითოეული დღე იქნება მძიმე ბრძოლის, **მოღალატე და ყველაფრის მკადრებელი ხელისუფლების დასამარცხებლად.** თითოეული ჩვენგანი ვხდებით ჩვენი სამშობლოს, არჩევანის დაცვის ჯარისკაცები. „პირველი არხი“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



საქართველოში **რეფერენდუმი** ჩატარებულია ორჯერ და **80 პროცენტი დასავლეთის მომხრეა,** უკაცრავად, ეჭვქვეშ რატომ და ვინ აყენებს უკვე არსებულ არჩევანს?!

„პირველი არხი“

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**რეფერენდუმი** ტარდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კონსტიტუციაში უკვე წერია 78-ე მუხლი, **საქართველოს უკვე აქვს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი,** რევიზიას ვიწყებთ? ვის აწყობს ეს? „პირველი არხი“

***„გიაური“ სიტყვასიტყვით „არამუსლიმანს“ ნიშნავს ზუსტად ისე, როგორც ივრითზე „გოიმი“ ნიშნავს „არაებრაელს“!***



## ეკა გიაურს საქართველოს მტრები ფულს ყველაფერში აძლევენ – საქართველოს დაქცევაშიც და საქართველოს დამაქცევრების საპატიმროდან გათავისუფლებაშიც!

# ეკა გიაური

ქართულ ენაში **გოიმმაც** და **გიაურმაც** მნიშვნელობა დიდი ხანია, შეიცვალა. კერძოდ, თანამედროვე ქართულში **გოიმი ბოგანოსა** და **ხეპრეს** აღმნიშვნელია, ხოლო **გიაურს** ურჯულოზე, უღმერთოსა და **უსამშობლო მანქურთზე** იტყვიან...

აი, მაგალითად, ცნობილი ქართველი ენჯეოშნიკი და ამერიკის სპეცსამსახურებში ნათრევ-გამოწვრთნილი **ეკა გიგაური** სინამდვილეში **ეკა გიაურია,** რომელსაც საქართველო, ქართველები და მართლმადიდებლები ეზიზღება! სამაგიეროდ, **ეკა გიაურს** ძალიან უყვარს ვერტმფრენი, რომლითაც ის საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეობის დროს **ნინო ბურჯანაძის** ქმართან **ბადრი ბიწაძესთან** ერთად დაფრინავდა და ჰაერში მალაყებს აკეთებდა.

**გიგაურთა სახელოვანი გვარის უხუცესმა წარმომადგენელმა, ღირსეულმა მამულიშვილმა, 90 წლის ფიზიკოსმა ზაქრო გიგაურმა,** რომელიც ჩემი უფროსი მეგობარია, ამ რამდენიმე წლის წინათ, **გიაურად** გადაქცეულ ეკა გიგაურს „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან მიმართა და მოუწოდა — **გონს მოეგე, გიგაურებს ნუ გვარცხვენ და სამშობლოს ნუ მტრობ, თორემ ხევსურეთში, სოფელ ბლოში, საიდანაც ჩვენი გვარია, უხუცესები შევიკრიბებით, შეგაჩვენებთ და დაგარისხებთო!**

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ბებერი ხევსურის — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის **ზაქრო გიგაურის** შეგონებამ ვერ გაჭრა და, როგორც მოსალოდნელი იყო, **ეკა გიაური** კიდევ უფრო აიჭრა. სწორედ ამ გაფრთხილების შემდეგ იყო **ეკა გიაური, ნინო ლომჯარია, ბაბუცა პატარაია, ნინო დოლიძე, ეკა მიშველაძე, ვახო სანაიაგვე და ელტონ ჭყონიასა და მამუკა ხაზარ-ბაშის მთელი საძალლეთი** პარლამენტის წინ წამოჭიმულ ტრიბუნაზე ჭინკებივით რომ ახტნენ და საქართველოში **ტექნიკური მთავრობის** შექმნა მოითხოვეს, სადაც საკვანძო თანამდებობები სწორედ გიაურებს, ძაღლთაპირებსა და უკანალმოფახფახებულებს უნდა დაეკავებინათ!

**ეკა გიაურის** ბიოგრაფიას რომ გადახედოთ, მაშინვე მიხვდებით, თუ როგორი რუდუნებითა და მონდომებით ჩორკნიდნენ ამ უწიგნური და უსირცხვილო არსებისგან ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების აგენტს. ჰოლანდიიდან დაწყებული, გერმანიის სპეცბაზებით გაგრძელებული და სტენფორდის უნივერსიტეტის სტიპენდიით დამთავრებული, **ეკა გიაური** ყველგან ათრიეს და ბოლოს მისგან მიიღეს სწორედ ის უსამშობლო და გარეწარი, რომელსაც მოხუცი ხევსური **ზაქრო გიგაური** ემუქრებოდა — **დაგარისხებთო!**

ეჰ, **ბატონო ზაქრო, ეკა გიაური გინდა, დაარისხეთ და გინდა, ნიფხავში ცეცხლი შეუნთეთ, ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა, რადგან ჩვენ წინაშეა იშვიათი ნაძირალა და შუბლის ძარღვგაწყვეტილი ტუტრუცანა, რომელიც ფულზეა გაყიდული!**

**ეკა გიაურს,** როგორც ამერიკის სპეცსამსახურების აგენტს, იმდენი ფული აქვს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ პოლიციის მიერ პარლამენტის შტურმის დროს დაპატიმრებული საყურიანი ბიჭებისა და ნაკოლკიანი გოგოშკების შესახებ ტელევიზიის პირდაპირ ეთერში განაცხადა — დაკავებულთა გასათავისუფლებლად გირაოს ფულს ჩვენ გადავიხდითო, ანუ **ეკა გიაურს საქართველოს მტრები ფულს ყველაფერში აძლევენ — საქართველოს დაქცევაშიც და საქართველოს დამაქცევრების, ლგბტ ჭინკების საპატიმროდან გათავისუფლებაშიც!**

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ

**ავადსახსენებელმა ვანო მერაბიშვილმა**

**2007 წლის 13 ნოემბერს, როცა 7 ნოემბერს დალეწილი და დასახიჩრებული ხალხი ჯერ კიდევ საავადმყოფოებში მკურნალობდა, ეკა გიაურს საზღვრის დაცვის პოლიციის კაპიტნის წოდება ვადაზე ადრე მიანიჭა.**

ამ ამბიდან გაივლის, სულ რაღაც, სამი წელი და 2010 წლის 21 დეკემბერს, სააკაშვილის დაბადების დღეს, **ეკა გიაურს** ნაცები და საქართველოს მმართველი აგენტურა გლობალური ანტიკორუფციული მოძრაობის ეროვნული წარმომადგენლობის — **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“** აღმასრულებელ დირექტორად შეაცურებენ. ამით **აგენტ გიაურის** თანამდებობებსა და ტემლაკებს მნიშვნელოვანი და, რაც ყველაზე მთავარია, ქართულ პოლიტიკაში სიტუაციის ასარევად ქმედითი ბერკეტი შეემატება. საერთოდ, ამერიკელმა პატრონებმა **ეკა გიაური,** როგორც ნომრიანი აგენტი და „ასინეთა“, საქართველოში ყველგან და ყველაფერში რომ თვალიყურად მოგვიჩინეს, დიდ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. ამას თუნდაც ინტერნეტში არსებული ის გრძელი სიაც ადასტურებს, სადაც ამ მართლაცდა **ეკა გიაურის** ამჟამინდელი თუ ყოფილი თანამდებობები, ტიტულები, თიკუნები და ტემლაკებია ჩამოთვლილი. აი, ეს სიაც:

2015-დან დღემდე — **„საერთაშორისო სავაჭრო პალატის“ (ICC) გამგეობის ექს-იფიციო წევრი;**

2015-2018 — **ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში არსებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრი;**

2014-დან დღემდე — **„კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ გამგეობის წევრი;**

2016-დან დღემდე — **„კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ გამგეობის წევრი;**

2014-2016 — **„საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის“ (GIAC) გამგეობის წევრი;**

2013-2018 — **შეწყალების კომისიის წევრი;**

2013 — **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა შემრჩევი კომისიის წევრი;**

2013-2014 — **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;**

2010-დან დღემდე — **საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი.**

როგორც ვხედავთ, სია მართლაც შთამბეჭდავი და გრძელია, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ დღემდე ეს საცოდავი ქვეყანა თავის თავს არ ეკუთვნოდა და **ეკა გიაურისა და მისთანა აგენტების** სახრავ-საჯიჯგნად იყო მიგდებული.

თვით ის ფაქტი, რომ **„კანონს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ეკა გიაურმა, ნინო ლომჯარიამ, ბაბუცა პატარაიამ** და დანარჩენმა აგენტებმა პროტესტი გამოუცხადეს და დაიფიცეს — ნიფხავ-პერანგს შემოვიგლეჯთ, მაგრამ დეკლარაციას მაინც არ შევავსებთო! — უკვე იმის აშკარა დასტურია, რომ აგენტებმა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა ღიად დაიწყეს!

ასეთ ვითარებაში გამოსავალი ერთადერთია — **საქართველოს სახელმწიფო უნდა მოიქცეს ისე, როგორც სახელოვანი მეფე ერეკლე ექცეოდა ჩვენი ქვეყნის მტრებს და შეტევაზე გადასვლის წინ ქართველთა ლაშქრის შესაგულიანებლად დასჭექდა — ხმალი ამ გიაურებსა და წუნკლებს, ქართველებო!**

საქართველოს უახლესმა ისტორიამ იცის **ეკა არახამიას** სახელი და გვარი, რომელიც ქართველმა მანქურთებმა აფხაზეთის ომის დროს გააუპატიურეს. შეურაცხყოფილმა ეკამ მოიძულა სამშობლო, შეიზიზღა ყოველი ქართველი, ხელში სნაიპერის შაშხანა აიღო, აფსუათა რიგებში ჩადგა და არაერთი ქართველის გულის ფეთქვა სამუდამოდ დაადუმა.

**გამართლება არანაირად არა აქვს, მაგრამ ეკა არახამიას მიზეზი მაინც ჰქონდა, გიაური გამხდარიყო და სამშობლოს ღალატის გზას დასდგომოდა.**

**ეკა გიგაური ამერიკელებმა ფულით გაახახეს და გიაურად სწორედ ასე აქციეს... ამიტომ მისი დანაშაული არ იზომება!**

***დიტო ჩუბინიძე***




## ეჰ, ბატონო ზაქრო, ეკა გიაური გინდა, დაარისხეთ და გინდა, ნიფხავში ცეცხლი შეუნთეთ, ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა!

## კვირგვინოსნები

**ლუკა ეხვაია**
*პოლიტოლოგი*



მთელი მსოფლიო **გამადიდებელი შუშით აკვირდება** საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, რადგან, ერთი მხრივ, ხედავენ, **თუ როგორ უსამართლოდ ექცევა დასავლეთი საქართველოს** და, მეორე მხრივ, **უკრაინის ფრონტზე სერიოზული პრობლემების პარალელურად საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი აქტუალობას არ კარგავს.**

„საერთო გაზეთი“

**სოსო მანჯავიძე**
*ისტორიკოსი, ანალიტიკოსი*



ამერიკელები იმუქრებიან, **ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე კომპრომატები გვაქვს** და, თუ კანონს არ გაიწვევენ, მათ გავაცამტვერებთო. მუქარის ავტორებს უნდა ესმოდეთ, რომ **იგივე სახის კომპრომატები მათზეც არსებობს.** რა კომპრომატებზე საუბრობენ — **საქართველოს პირველი პირები რუსეთის ხელმძღვანელობას ელაპარაკებიან?!** ძალიანაც კარგი, თუ ელაპარაკებიან. ჩვენ სასწრაფოდ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების პრობლემები გამწვავდება და **კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით.**

„საერთო გაზეთი“

**ირაკლი კუპრაძე**
*„ლელოს“ გენერალური მდივანი*



არც **ივანიშვილს** დაუმარცხებია ნაციონალური მოძრაობა და ვერც **სააკაშვილი** დაამარცხებს **ივანიშვილს.** ეს არჩევნები იქნება ძალიან მძიმე, იქნება **ძალადობით, ცემა-ტყეპით, მუქარით, ზეწოლით და შანტაჟით** გაჯერებული.

„ახალი თაობა“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



გულწრფელად გეტყვით, **უმრავლესობის არცერთი წევრის სანქცია არ გამიხარდება,** ძალიან ვღელავ თქვენ გამო, რადგან ვერ აცნობიერებთ პრობლემებს, რაც გექნებათ.

„პირველი არხი“

# ავტომატური

***ინგლისელი მწერლის ენტონი ბერჯესის ცნობილი რომანი „მექანიკური ფორთოხალი“, რომლის პერიფრაზსაც წინამდებარე წერილის სათაური წარმოადგენს, საქართველოში გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივ პროტესტთან ჯერ კიდევ მანამდე გადაიკვეთა, სანამ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვიქტორ ჯაფარიძე სამოქალაქო აქტივისტს, ვინმე ლექსო სამხარაძეს ქუჩაში ფორთოხალს ესროდა.***





კადრი ფილმიდან „მექანიკური ფორთოხალი“


აქტივისტი ლექსო სამხარაძე, რომელმაც დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძეს შეურაცხყოფა მიაყენა

## კურდღლისგულა კოლექტიურმა ლაზარეებმა „მექანიკური ფორთოხლის“ მთავარი გმირისაგან მხოლოდ უზნეობა, უზრდელობა და ბილწსიტყვაობა გადმოიღეს, მაგრამ მისი გამბედაობა და სიმამაცე — ვერა!

საქმე ის არის, რომ გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების კრებსით სახეს, **საკუთარი მამის უკანალში დამჭრელ და ქართველი პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელ ლაზარე გრიგორიადისს** გრძელი წამწამების სვირინგი „მექანიკური ფორთოხლის“ მთავარი გმირის, თავზეხელაღებული ექსტრემისტისა და მოძალადის — **ალექსის** მიბაძვით აქვს გაკეთებული.

„ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ცოტა ხნის წინათ ვწერდით კიდეც იმის შესახებ, რომ **სტენლი კუბრიკის** მიერ **ენტონი ბერჯესის** რომანის მიხედვით გადაღებული მხატვრული ფილმის **„მექანიკური ფორთოხლის“** მთავარ პერსონაჟს სახეზე ზუსტად ისეთი ტატუ აქვს, როგორც მშობელი მამის დუნდულებში დამჭრელ და პოლიციელების ცოცხლად დაწვის მოწადინე **ლაზარე გრიგორიადისს.**

ასე რომ, **ფორთოხალი და კოლექტიური ლაზარეები** ერთმანეთთან იქამდეც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, სანამ დეპუტატი **ვიქტორ ჯაფარიძე** მაღაზია **„მეტი თავისუფლების“** დახლიდან ფორთოხალს აიღებდა და კოლექტიურ ლაზარეთაგან ერთ-ერთს გაუქანებდა.

**ეს ინციდენტი თბილისში, ქიქოძის ქუჩაზე, ამა წლის 28 მაისს მოხდა, როცა საპარლამენტო უმრავლესობამ გამჭვირვალობის კანონზე რეზიდენტ ზურაბიშვილის მიერ დადებული ვეტო დაძლია.** პარლამენტის სხდომის დასრულების შემდეგ შენობიდან გამოსულ დეპუტატებს მომიტინგეების ნაწილი ქიქოძის ქუჩაზე დახვდა და ობსტრუქცია მოუწყო. **კოლექტიური ლაზარეები** ავტომობილებში მსხდომ კანონმდებლებს **„მონებს“** და **„რუსებს“** ეძახდნენ, დედას აგინებდნენ და აწეულ შუათითს უჩვენებდნენ. როგორც ჩანს, **ვიქტორ ჯაფარიძემ** ზღვარგადასული შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა, ავტომობილიდან გადმოვიდა და მისი მაგინებლისაკენ გინებითვე გაემართა, იმან კი, შეშინებულმა და დამფრთხალმა, ზუსტად ისე მოკურცხლა, როგორც **ნაცბელადმა სააკაშვილმა** 2008 წლის 10 აგვისტოს გორში, როცა რუსული თვითმფრინავის ხმა გაიგონა.

**მირბის და მიქოშინებს აქტივისტი სამხარაძე,** თან ტელეფონის ვიდეოკამერა აქვს ჩართული და იღებს, როგორ აგინებს **დეპუტატ ჯაფარიძეს.**

**მისდევს დეპუტატი ჯაფარიძე აქტივისტ სამხარაძეს,** მაგრამ 60 წლის ტანმძიმე კაცი ხმელ ჯეელს რას დაეწევა... ამიტომაც იქვე მდებარე მაღაზიასთან მდგარი დახლიდან ავტომატურად იღებს ერთ ცალ ფორთოხალს და მისი შეურაცხმყოფელი ახალგაზრდის მიმართულებით ისე გასტყორცნის, **როგორც ქართულ მხატვრულ ფილმ „რეკორდში“ ჯოტია ცაავა ესვრის უშველებელ რიყის ქვას მის მაგინებელ დურუ ხუნჭუას.**

ვიდეოში, რომელიც სოციალურ ქსელში თავად **აქტივისტმა სამხარაძემ** გაავრცელა, არ ჩანს, ხვდება თუ არა მას **დეპუტატ ჯაფარიძის** მიერ ავტომატურად ნასროლი ფორთოხალი, მაგრამ კარგად ჩანს და იკვეთება, თუ რა საქციელის, მორალისა და პოლიტიკური ჯიშისანი არიან **კოლექტიური ლაზარეები,** რომლებიც შორიდან ფინია ძაღლებივით გიყეფენ, შეურაცხყოფას გაყენებენ და ღირსებაზე გეხებიან იმ იმედით, რომ მოითმენ და არ აჰყვები, მაგრამ, როგორც კი შენს რეაქციას დაინახავენ და მიხვდებიან, რომ თავის დახრას არ აპირებ, მაშინვე ჩირგვებისკენ გარბიან.

სხვათაშორის, **დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის** შემთხვევა პირველი და ერთადერთი არ არის... ცოტა ხნით ადრე ვილაცამ **„მონა“** დაუძახა „ქართული ოცნების“ დეპუტატ **ალუდა ღუდუშაურს,** რომელიც ქუჩაში ინტერვიუს აძლევ-




დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე მაღაზიაში „მეტი თავისუფლება“ ბოდიშის მოსახდელად მივიდა




## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



ყველა აქციაზე **მკაცრად უნდა იქნეს ხაზგასმული,** რომ ნებისმიერი, ვინც აგრესიულ ქმედებებს დაიწყებს, **პროვოკატორი და აგენტურული ქსელის გეგმის შემსრულებელია.**

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ **პოლიცია პოლიტიკურია, ტერორია, სუს-ი მართავს რეგიონებს და ა.შ.** გამოდის ვინმე ოპოზიციიდან და გვეუბნება, **რას როგორ გააკეთებენ ამის შესაცვლელად?**

ვერ ვხედავ საქართველოში პარტიას, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს **გარდაქმნების** გზას.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კობერიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



ისმის კითხვა, წარმოადგენს კი **ეს ხელისუფლება** ამ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოს საერთოდ?

„კვირის პალიტრა“

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



ხელისუფლების შესახებ, რომლის არჩევანსაც ხშირად არ ვეთანხმები, დღეს ვამბობ, **როცა მას საბედისწერო არჩევანი დაუდგა, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და ომსა და მშვიდობას შორის მშვიდობა არჩია.** ინტუიცია მკარნახობს, რომ **ამ კანონს ექნება ჯაჭვური რეაქცია** და ამიტომაც უფრთხის მთელი ბიუროკრატია, კონიუნქტურა. **ყველა ქვეყანა შეერთდება და მიიღებს ამ კანონს.**

„კვირის პალიტრა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**რადიკალურმა ოპოზიციამ** განვლო გზა **„შალიკოს ფანჩატურიდან“ „სალომეს ფანჩატურამდე“** ისე, რომ პოლიტიკურად და მორალურად ერთი მილიმეტრითაც კი ვერ წაიწია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ფორთოხალი

და ერთ-ერთი ტელეარხის ჟურნალისტს. როგორც კი შეურაცხმყოფელი შეძახილები გაიგონა, **დეპუტატმა ლუდუშაურმა** ინტერვიუ მაშინვე შეწყვიტა და მოყვირალისაკენ დაიძრა, მაგრამ იგი ადგილიდან მოწყდა.

ასეთები არიან **კურდღლისგულა კოლექტიური ლაზარეები**, რომლებმაც **„მექანიკური ფორთოხლის“** მთავარი გმირისაგან მხოლოდ უზნეობა, უზრდელობა და ბილწსიტყვაობა გადმოიღეს, მაგრამ მისი გამბედაობა და სიმამაცე — ვერა.

**ვიქტორ ჯაფარიძის** ინციდენტს კიდევ უფრო საინტერესო გაგრძელება მეორე დღეს მოჰყვა, როცა დეპუტატი ბოდიშის მოსახდელად და ზარალის ასანაზღაურებლად მივიდა იმ მაღაზიაში, რომლის დახლიდანაც აქტივისტ სამხარაძისათვის სასროლი ფორთოხალი დაითრია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მაღაზია **„მეტი თავისუფლების“** მეპატრონე ცოლ-ქმარი პარტია **„გირჩი — მეტი თავისუფლების“** წევრები ყოფილან. მათ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატისაგან ბოდიში არ მიიღეს და კლასიკური ნაცლიბერალური ნარატივით გაუმასპინძლდნენ — **თქვენ რუსული კანონი მიიღეთ, საქართველოს ევროპულ პერსპექტივას უსპობთ და ჩვენს შვილებს მომავალს უკარგავთო!**

გაირკვა ისიც, რომ **მაღაზია „მეტი თავისუფლების“** მეპატრონე და **„გირჩი — მეტი თავისუფლების“** წევრი **ვიტალი-ჯოტო გუგუჩია** ყოფილი პოლიციელია, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ზუგდიდში გამომძიებლად მუშაობდა და ნაცრეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანების, მათ შორის, ჟურნალისტების დევნით იყო დაკავებული. მაგალითად, **2009 წლის 31 დეკემბერს ჟურნალისტები ილია ჩაჩიბაია და ნანა ფაჟავა იმის გამო დააკავეს, რომ მათ ვიდეოკამერით გადაიღეს, როგორ გადმოვარდა ციგურებიდან პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც ზუგდიდის ყინულის სასახლეში სრიალებდა.** ადგილზე მობილიზებული პოლიციელები **ჩაჩიბაიასა და ფაჟავას,** ვიდეოკამერის წართმევის მიზნით, ფიზიკურად გაუსწორდნენ, იმავე საღამოს კი სამართალდამცავებისათვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით დააკავეს. სასამართლოში წასაღები საქმე სწორედ გამომძიებელმა **ვიტალი გუგუჩიამ** შეთითხნა, რის საფუძველზეც ახალი წლის ღამეს ზუგდიდის წინასწარი დაკავების იზოლატორში გამომწყვდეული ჟურნალისტები ნაცრეჟიმის ჯიბის სასამართლომ **100-100 ლარით** დააჯარიმა.

მოკლედ, მაღაზია **„მეტი თავისუფლების“** მეპატრონე და პარტია **„გირჩი — მეტი თავისუფლების“** წევრი **ვიტალი-ჯოტო გუგუჩია** სააკაშვილ-ახალაიების სისხლიანი რეჟიმის ზონდერპოლიციელია, რომელსაც სამეგრელოს ტყეებში მაგიდაზე დაბმული პატიმრების გაუპატიურება პროევროპულ საქმედ მიაჩნდა, დღეს კი ენჯეოების ფინანსური გამჭვირვალობის დაკანონება ანტიევროპელობა და რუსეთუმეობა ჰგონია.

რაც შეეხება გამჭვირვალობის კანონის მიმღები დეპუტატებისა თუ, უბრალოდ, ამ კანონის მხარდამჭერი ადამიანების ქუჩაში დევნას, გინებას, შეურაცხყოფასა და მორალურ ტერორს, რომელსაც **კოლექტიური ნაცბანდის კოლექტიური ლაზარეები** მიმართავენ, ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება.

**2012 წლის 1 ოქტომბერს, როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, გამწარებულ ადამიანებს ერთი სული ჰქონდათ, რეჟიმის წარმომადგენლებზე შური ეძიათ და მათ პირდაპირ ქუჩაში გასწორებოდნენ, მაგრამ ეს არ გააკეთეს, რადგან იმედოვნებდნენ, რომ სამართლიანობა იზეიმებდა და დამნაშავე რეჟიმი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდა.** ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ, ქრისტიანულმა მორალმა და ტოლერანტობის გენეტიკურმა კოდმაც თავისი ქნა და შურის საძიებლად ალესილმა უამრავმა ადამიანმა თავის მოთოკვა შეძლო.

თუმცა, ახლა, როცა **იქით სადევნელებმა, იქით შესარცხვენებმა და იქით გასარიყებმა** აქეთ დაიწყეს ქუჩაში სხვების დევნა, დიდი საფრთხეა, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილში გაათმაგებულად და აწ უკვე დაუოკებლად იფეთქოს იმან, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ თვითდაოკებასა თუ თვითდაკონსერვებას დაექვემდებარა.

ასე რომ, თუ ხელისუფლებამ კანონის ძალით დროზე არ ალაგმა კოლექტიური ლაზარეების ექსტრემიზმი, ქართველი ხალხისაგან ავტომატურად მიიღებს ბევრად მძიმე და სავალალო პასუხს, ვიდრე დეპუტატ ჯაფარიძის მიერ აქტივისტ სამხარაძისათვის ფორთოხლის სროლაა!





დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე მისდევს და ფორთოხალს ესვრის აქტივისტ სამხარაძეს, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა

**კოლექტიური ლაზარეები ქართველი ხალხისაგან ავტომატურად მიიღებენ ბევრად მძიმე და სავალალო პასუხს, ვიდრე დეპუტატ ჯაფარიძის მიერ აქტივისტ სამხარაძისათვის ფორთოხლის სროლაა!**



მაღაზია „მეტი თავისუფლების“ მეპატრონეები – ვიტალი გუგუჩია და მირანდა ჯობავა

**მაღაზია „მეტი თავისუფლების“ მეპატრონე და პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლების“ წევრი ვიტალი-ჯოტო გუგუჩია სააკაშვილ-ახალაიების სისხლიანი რეჟიმის ზონდერპოლიციელია!**

**აქტივისტ სამხარაძეს შეიძლება, დეპუტატ ჯაფარიძის მიერ ნასროლი ფორთოხალი ასცდა, მაგრამ სამგლე გოჭებივით ატეხილ კოლექტიურ ლაზარეებს ქართველი ხალხის ულმობელი რისხვა ნამდვილად აღარ ასცდებათ!**

*გიორგი ძაძამია*

## კვირგვინოსნები

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



მინდა, **ირაკლი კობახიძე** კიდევ ერთხელ დავარწმუნო იმაში, რომ **შეუძლია, გვენდოს! ხალხი მას არ ვუღალატებთ,** ჩვენ არაფერი გვინდა მშვიდობისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარდა!

„საერთო გაზეთი“

**ზურაბ ცქიტიშვილი**
*აკადემიკოსი, სამი მოწვევის პარლამენტარი*



**გიცხადებთ თანადგომას** ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის ცნების გამომხატველი **„გამჭვირვალობის კანონის“ მიმღებ მამაც პარლამენტარებს** — საქართველო დამსახურებულად წინ ევროკავშირისაკენ!

„იმედინიუსი“

**ანა ნათელიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი*



როცა ვამბობთ **საერთო ოპოზიციურ სიას,** ვგულისხმობთ ყველას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ **წითელი ხაზები შეიძლება ბევრ ადამიანთან გვქონდეს,** მათ შორის, პიროვნული და ა.შ. **ჩვენ ამ ყველაფერს ვივიწყებთ საერთო სიის პირობებში.**

„რეზონანსი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე*



პროტესტთან ერთად, თავისუფალი სამყაროდან **ამ რეჟიმზე წამოსული წნეხის** მთელი წყება გვაქვს და სწორედ ამან უნდა მიგვიყვანოს **ივანიშვილის** რეჟიმის ცვლილებამდე.

„ახალი თაობა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ექსპერტი*



ნაციონალური მოძრაობის მიზანი **ხელისუფლებაში მობრუნებაა** და არა — **კოალიციური მთავრობა.**

„ახალი თაობა“

# „მჯერა, 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობა გასამართლდება და ქართული პოლიტიკიდან ამოიძირკვება!“



## ზურა ხაჩიძე:

# მინდა, უსამშობლო კოლექტიური ნაცები გავაფრთხილო –

## ძალიან სახიფათო ზონაში შედიხართ, ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი წყობიდან გამოგყავთ და ლინჩის წესისკენ უბიძგებთ!

***ნაცლიბერალური სექტის წარმომადგენელმა, ვინმე ტატა ხუნდაძემ, რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მისივე გადაღებული ვიდეო, თუ როგორ ეძახის „მონასა“ და სხვა შეურაცხმყოფელ სიტყვებს ცნობილ მომღერალს, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ სოლისტსა და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე ზურა ხაჩიძეს, რომელიც უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მხარდამჭერია. ვიდეოში ჩანს და ისმის, რომ ზურა ხაჩიძემ, რომელსაც სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან ბრძოლაში უკან არასოდეს დაუხევია, ნაცპროვოკატორს იქვე გასცა საკადრისი პასუხი, დღეს კი ჩვენი გაზეთის სტუმარია და აცხადებს:***

— ჩემს უბანში ავტომობილი პარკინგზე გავაჩერე, გადმოვედი და უცებ მომესმა ვიღაცის ყვირილი — **„მონა, მონა!“** თავიდან ვერც ვიფიქრე, რომ ამ სიტყვებს ჩემი მისამართით იძახდნენ, მაგრამ, როცა დავინახე, რომ ჩემკენ იყურებოდნენ, ვკითხე — **მე მეძახით-მეთქი?** კიო! — მითხრა ქალმა, რომელსაც გვერდით არასრულწლოვანი გოგონა და დაახლოებით 20 წლამდე ასაკის ბიჭი ედგა. მაშინვე მისკენ გავემართე და შეურაცხმყოფელი მომართვის მიუხედავად, სრულიად კორექტულად ვთხოვე — აეხსნა, რატომ მეძახდა მონას?

**— თუმცა, ვიდეოში ისმის, რომ ქალისაგან კიდევ უფრო მეტი აგრესია და შეურაცხმყოფელი სიტყვები მიიღეთ...**

— შეურაცხყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმის უფლებაც არავის აქვს, გაუფრთხილებლად და ჩემი ნებართვის გარეშე ვიდეო გადამიღოს, ამიტომაც მობილურ ტელეფონზე ხელი ავუკარი. ყველანაირ ძალადობას ვგმობ და, მითუმეტეს, ქალზე ძალადობისაგან, როგორი უზრდელი და თავხედიც არ უნდა იყოს, ღმერთმა დამიფაროს! მითხრა — წაეთრიე შენს ბორჯომშიო... გეგონება, ბორჯომელობა სამარცხვინო იყოს... ყოველთვის ვამაყობდი, ვამაყობ და ვიამაყებ ჩემი წარმომავლობით, ძალიან მიყვარს ჩემი სამცხე-ჯავახეთი და, განსაკუთრებით, ბორჯომი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. **ესენი ლიბერალიზმის ტყავში გახვეული ფაშისტები რომ არიან, იქიდანაც ჩანს, თუ როგორ ახდენენ ადამიანების სეგრეგაციას წარმომავლობისა და ასაკის ნიშნითაც კი.**

**— ასაკი რაღა შუაშია?**

— ხათუნა ჟორდანიას, რომელიც 24 წელია, ჩემი მეუღლეა და 18 წლის შვილი გვყავს, სოციალურ ქსელში შეურაცხყოფენ და ამუნათებენ — **შენს ასაკთან შედარებით როგორი პატარა ბიჭი გყავს ქმრადო!** გეკითხებით — ამათ უნდათ ევროპა და ესენი არიან თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები? საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონს მაინც შეხედონ, რამდენი წლით უფროსი ცოლი ჰყავს.

**— გაირკვა, რომ ქალი, რომელმაც ქუჩაში შეურაცხყოფა მოგაყენათ, ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი, ვინმე ტატა ხუნდაძეა.**

— დიახ, გამომიგზავნეს და ჩემს ფეისბუქგვერდზე გამოვაქვეყნე ფოტოები, **რომლებშიც ეს ქალი სააკაშვილთან, ბოკერიასთან, კახა ლომაიასა და დამნაშავე რეჟიმის სხვა წარმომადგენლებთან ერთად პოზირებს.** იქვე დავწერე კიდეც — ასეთი ადამიანისაგან არ მიკვირს, რაც გააკეთა-მეთქი. 2007 წლიდან ნაციონალურ მოძრაობას ვებრძვი, მაგრამ მსგავსი შეურაცხყოფა მაშინაც კი არავის მოუყენებია. კი, გვცემდნენ, გვარბევდნენ, გვიჭერდნენ, მაგრამ ქუჩაში **„მონა“ და „მოღალატე“** არავის დაუძახია.

გამჭვირვალობის კანონის მიღების გამო გამწარებული არიან და ფსიქოლოგიური ტერორის მანქანა აამუშავეს. მაქსიმალურად ცდილობენ, წყობიდან გამოგვიყვანონ და რამე დანაშაული ჩაგვადენინონ, კამერებით გადაიღონ და მერე ნაციონალური მოძრაობის ტელევიზიებში ატრიალონ, თურმე, როგორი მოძალადეები ვართ.

**— როგორ ფიქრობთ, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონისა და მისი მომხრეებისათვის „რუსული“ იარლიყის მიწებება უკვე აბსურდში ხომ არ გადაიზარდა და კომიკური გახდა?**

— გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წელიწადში ერთხელ ფინანსური დეკლარაციის შევსების მეტს არაფერს ითვალისწინებს, არავითარი არგუმენტი არ არსებობს და ამიტომაც „რუსულ კანონს“ ეძახიან. არადა, როგორ შეიძლება, გამჭვირვალობა რუსული და ანტიევროპული იყოს? ანდა, როგორ შეიძლება სიტყვა **„რუსული“ თუ „რუსი“** უარყოფით და შეურაცხმყოფელ ეპითეტად იყოს გამოყენებული? ეს არის ეროვნული და ეთნიკური ნიშნით სტიგმატიზაცია, რაც წმინდა წყლის ფაშიზმი და ძალიან სახიფათო თამაშია.

იმ ადამიანებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, რომლებიც გამჭვირვალობის კანონის მომხრეებს „მონებს“ გვიწოდებენ, ერთი რამ მინდა, ვუთხრა — **სწორედ ჩვენნაირი „მონების“ ბრძოლის შედეგია ის, რომ დღეს საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არსებობს!** დიახ, სწორედ იმის გამო, რომ თქვენ ეს თავისუფლება გქონოდათ, ჩვენ 2007 წლის 7 ნოემბერი, 2011 წლის 26 მაისი და კიდევ ბევრი სისასტიკე გადავიტანეთ.

**— თუმცა, დღეს საპროტესტო მოძრაობაში ჩაბმული ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ ახსოვს და არც აინტერესებს, რა უბედურება ტრიალებდა საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის დროს!**

— იმ ახალგაზრდებს, რომლებიც აცხადებენ — ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს პატარები ვიყავით და არ ვიცით, ქვეყანაში რა ხდებოდაო, ალბათ, არც დიდგორი აინტერესებთ, არც — კრწანისი და არც ის, თუ როგორ გახდა იძულებული მეფე ერეკლე, „გეორგიევსკის ტრაქტატი“ გაეფორმებინა, რათა ქართველი ერი არამხოლოდ გადაგვარების, არამედ ფიზიკური მოსპობისაგან ეხსნა.

თუმცა, ახალგაზრდებს შორის საკმაოდ მრავლად არიან ისეთებიც, ვინც გამჭვირვალობის კანონის საწინააღმდეგო აქციებს გაემიჯნა, რადგან მიხვდა, ვინ მართავს ამ პროცესებს, ვინ არიგებს მიტინგებზე ხაჭაპურებსა და ლობიანებს, ვინ ქირაობს სცენას, ვინ დგას იმ სცენაზე და რა არის მათი მთავარი მიზანი...

**— და რა არის მათი მთავარი მიზანი?**

— უსამშობლოთა ბანდის — კოლექტიური ნაცმოძრაობის

ნაცაქტივისტი ტატა ხუნდაძე უგულავასთან, სააკაშვილთან, ბოკერიასა და ლომაიასთან ერთად







# „ესენი არიან ლიბერალიზმის ტყავში გახვეული ფაშისტები!“

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ნადირაშვილი**
*პროფესორი*



საქართველოს დევიზია: **ძალა ერთობაშია,** ხოლო, რეალურად, მოქმედებს სლოგანი: **ძალა ერთმანეთთან დაპირისპირებაშია.**

„თბილისელები“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



აუცილებლად იქნება პოლიტიკოსების ერთიანობა და **ამ ერთიანობით „ოცნება“ უნდა გავისტუმროთ** პოლიტიკურ სანაგვეზე.

„ახალი თაობა“

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტიკოსი*



ისტორიულად არცერთი ხელისუფლება არ შეუცვლია ოპოზიციას გა**ერთიანების გარეშე.** თუ ახლა აპირებენ ამის გაკეთებას, ძალიან ცდებიან, რადგან აქამდე ვინც იყო, **ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგეა ივანიშვილი — მიშაზეც, შევარდნაძეზეც** და ყველა სხვაზეც. **რევოლუციას ვერ შევძლებთ, გამორიცხულია.**

„ახალი თაობა“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



აშშ საქართველოს ხელისუფლებას ეუბნება, **ეს კანონი უკან წაიღე და დიდ სამხედრო დახმარებას მოგცემო.** ვიდრე ამ დახმარებას ხელი მოეწერება და აქ ჩამოვა, **მანამ რუსული ტანკები რუსთაველზე დადგებიან, ხოლო რუსული არმია დაიკავებს ბაზებს ახალქალაქში, სენაკში, ვაზიანში** და ყველგან. უბრალოდ, შევლენ და დადგებიან.

„ახალი თაობა“



ზურა ხაჩიძე მეუღლესთან — ხათუნა ჟორდანიასთან ერთად

# „ხათუნა ჟორდანიას, რომელიც 24 წელია, ჩემი მეუღლეა და 18 წლის შვილი გვყავს, სოციალურ ქსელში შეურაცხყოფენ და ამუნათებენ — შენს ასაკთან შედარებით როგორი პატარა ბიჭი გყავს ქმრადო! გეკითხებით — ამათ უნდათ ევროპა და ესენი არიან თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები?“

მთავარი მიზანია, ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების მოპოვება რევოლუციის გზით, რადგან არჩევნებში გამარჯვების არავითარი შანსი არ გააჩნია.

უსამშობლო კოლექტიური ნაცები ხელისუფლებაში მოსვლის სანაცვლოდ მზად არიან, საქართველოში მეორე ბუჩა და მარიუპოლი მოაწყონ და ქართველ ხალხს ისეთივე ტრაგედია დაატეხონ, როგორიც დღეს უკრაინაში ტრიალებს.

**— თქვენ არა ხართ გამონაკლისი, ვისაც ნაცლიბერალური სექტის წარმომადგენლებმა ქუჩაში შეურაცხყოფა მიაყენეს, კიდევ ბევრს მოექცნენ ასე და თანაც იმუქრებიან, რომ მორალური ტერორის კამპანიას გააგრძელებენ. როგორ ფიქრობთ, ეს უკურეაქციას არ გამოიწვევს?**

— საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას ისედაც ძალიან დიდი ძალისხმევისა და ნერვების ფასად უჯდება ნაცების ატანა. ერთადერთი, რის გამოც მათი ქუჩაში დევნა და სისხლიანი დანაშაულებისათვის პასუხის მოთხოვნა არ დავიწყეთ, 2012 წელს ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება იყო — ნაცებს უნდა მოვექცეთ არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ქართველ ხალხს ეკადრებაო!

პირადად მე ძალიან გამიჭირდა, მიმეტევებინა სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებისათვის, რომლებმაც ჩემს ოჯახს ბევრი უბედურება მოუტანეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ცოცხლები მაინც ვართ, როცა ჩვენი ბევრი თანამოქალაქე და თანამებრძოლი მიწაში ჩააწვინეს.

არ დავმალავ, რომ იმ ქალთან (მისი სახელისა და გვარის ხსენებაც კი არ მინდა) მომხდარი ინციდენტის შემდეგ ჩემს დიდ სამეგობროს კბილები აქვს ალესილი ნაცების გასაგლეჯად, მაგრამ ყველას ვაკავებ და ვამშვიდებ. თუმცა, არ ვიცი, ეს როდემდე გაგრძელდება და რამდენი ადამიანი შეძლებს თავის შეკავებას... **მინდა, უსამშობლო კოლექტიური ნაცები გავაფრთხილო — ძალიან სახიფათო ზონაში შედიხართ, ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი წყობიდან გამოგყავთ და ლინჩის წესისკენ უბიძგებთ! გეუბნებით — ძალიან ცუდად დაამთავრებთ!**

**— 2024 წლის 29 აპრილს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, გამართულ მრავალათასიან სახალხო შეკრებაზე ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, რომ არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობა სისტემურად გასამართლდება. გჯერათ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ახლა მაინც შეასრულებს იმას, რასაც ხალხს ჯერ კიდევ 2012 წელს შეჰპირდა?**

— რამდენიმე წლის წინათ, როცა ქალბატონი ირმა ინაშვილის პოლიტიკური გუნდის წევრი ვიყავი, „ქართულ ოცნებას“ სწორედ იმის გამო ვუპირისპირდებოდი, რომ ნაციონალური მოძრაობა სისტემურად არ გაასამართლა და მასთან კოჰაბიტაციაში შევიდა. მაშინ ცოცხალი თავით არ მესმოდა, სისხლიან დამნაშავეებთან კოჰაბიტაცია როგორ შეიძლებოდა, მაგრამ შემდეგ მივხვდი და დავრწმუნდი, რომ ეს გარედან თავსმოხვეული იძულებითი გადაწყვეტილება იყო. აკი, ბატონმა ბიძინამ 29 აპრილის აქციაზე განაცხადა — რესურსი არ გვეყო, რომ ამ პრობლემას მოვრეოდითო...

**მჯერა, 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობა გასამართლდება და ქართული პოლიტიკიდან ამოიძირკვება.**

**— თუმცა, ჯერ ის არის საკითხავი, გაიმარჯვებს თუ არა „ქართული ოცნება“ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში?**

— როგორც 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში დაირაზმა ქართველი ხალხი და ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე მოხდება და 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველო გაიმარჯვებს!

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***



*ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ზუსტად იმ დროს, როცა ელისო ბოლქვაძეს პარიზის აეროპორტში გარეწარი ქართველი ლესბოსელები დაესხნენ თავს, კუს ტბაზე სალომე ზურაბიშვილს აგინეს:*



# მაყვალა ბერიანიძე:

# გამოქვეყნდება დოკუმენტები და გაირკვევა, რომ ამერიკა ჩინეთს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის გაფორმებას უშლიდა!

— ე.წ. ფერადი რევოლუციები, ლგბტ აქტივისტები, ხალხის ტერორი, ახალგაზრდობის ზომბირება და საგანგებოდ გაწვრთნა, ქუჩაში კონკრეტულ პიროვნებებზე თავდასხმა და ე.წ. ბულინგი არავის გვიკვირს, რადგან ევროპულ-ბოლშევიკური ტრადიცია გახლავთ, მაგრამ

**გაოგნება ვერ დავმალე, როცა ხელში ჩამივარდა მასალები ვინმე ლევან ციციშვილის შესახებ, რომელიც მე-19 საუკუნის მიწურულს ქართველ ახალგაზრდებს ზუსტად ისევე რყვნიდა და ატრენინგებდა, როგორც ამას დღეს ჩვენი ამერიკელი და ევროპელი „დაუძინებელი მეგობრები“ და მათი ქართველი ხელისბიჭები სჩადიან!**

ვინმე ლევან ციციშვილი მოღვაწეობდა ნოე ჟორდანიას დროს და იყო ე.წ. **ტრენერ-პროპაგანდისტი,** რომელიც იმართებოდა ევროპელი პატრონებისაგან.

**— მაინც რას „ასწავლიდა“ ლევან ციციშვილი ქართველ ახალგაზრდებს?**

— მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ლევან ციციშვილი საიდუმლო ვითარებაში ეწეოდა ახალგაზრდების გარყვნას. იგი 15-25 წლის მოწაფეებს უკითხავდა ე.წ. „ლექციებს“ ზუსტად ისე, როგორც ამას დღეს შარვალჩახდილი **ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე და მისთანები** სჩადიან. აი, მაგალითად, ლევან ციციშვილის ერთ-ერთი სასწავლო რეფერატის სახელწოდება — „მტრედების ბუნებრივი, თავისუფალი, უმღვდლოდ და უქორწინოდ სიყვარულის“ შესახებ... სოდომისტთა ეს ჯგუფი დახურულ და საიდუმლო ჯგუფებში ბავშვებს ასევე ასწვლიდა „ტანისამოსის არაბუნებრიობასა და ხელოვნურობას, როცა ადამიანი უნიფხვოდ და უპიჯაკოდ იბადება“. ამ ე.წ. ტრენინგებზე ერთი-ორჯერ მოხვდა ჩვენ სახელოვანი საბავშვო მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი, ცნობილი ქართველი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე **რეზო გაბაშვილი,** როცა ის 14-15 წლისა იყო. რეზოსთან ერთად ყოფილა **გენო შატბერაშვილიც.** ბავშვებს ეს ტრენინგები გაუპროტესტებიათ და აყვირებულან — **რას სჩადიხართ, ეს გარყვნილი და ტვინარეული ლევან ციციშვილი ბავშვებს რას გვასწავლისო?!**

ზუსტად იგივე ხდება დღესაც. ქართველ ენჯეოშნიკებს დახურულ ჯგუფებში „ლექციების“ მთელი კურსი აქვთ, სადაც სექსუალურ აღვირახსნილობას ქადაგებენ და ადამიანებს ცხოველებს ადარებენ. კერძოდ, ეს გარყვნილები და ლგბტ პროპაგანდისტები ამტკიცებენ, რომ ცხოველების 70-80 პროცენტი არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის მიმდევარია და, შესაბამისად, ადამიანებიც ასეთები არიან... სად დათვალეს, სად დაადგინეს ამ გარეწრებმა ეს ყველაფერი? **ვისაც გინდა ეწყინოს, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგაზრდობა ჩვენ ხელიდან გაგვექცა. დიახ, ახალგაზრდობა ჩვენ უპატრონოდ დავტოვეთ, ხოლო უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ.**

ბავშვები, რომლებიც პარლამენტის წინ იდგნენ, ხელში უბინძურესი პლაკატები ეჭირათ და უსაზიზღრესი სიტყვებით იგინებოდნენ, იცით, ვისი შვილები არიან? იმ ოჯახების შვილები, სადაც ისინი უდედოდ და უმამოდ გაიზარდნენ! ეს სკაიპით გაზრდილი თაობაა... იაპონელებმა კვლევა რომ ჩაატარეს და ქართული ოჯახის სიმყარის საფუძველი შეისწავლეს, დაასკვნეს, რომ ოჯახი იდგა მამაკაცზე. **ამიტომ საქართველოში მამაკაცს**

***გაგრძელება მე-14 გვერდზე***

**„ამერიკელებს დაზვერვის მეშვეობით წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ჩინეთი საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებას აპირებდა და ამიტომაც გაგიჟდნენ!“**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ ისტორიაში შევა, როგორც **ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ხელმომწერი** საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ის, რითიც შევა ნაციონალური მოძრაობა ისტორიაში, **არის სტრასბურგის სასამართლოს 100 ვერდიქტი, სადაც გასამართლებულია მიხეილ სააკაშვილი** და ნაციონალური მოძრაობა.

„პირველი არხი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



დიდი შეცდომა იქნება **ერთიანი სია.** ეს მაინც ნიშნავს **სიას ნაცმოძრაობის ქვეშ,** ამას კი მშვენივრად გამოიყენებს „ოცნება“ და იტყვის, **აი, სააკაშვილი დაბრუნდება — ან სააკაშვილი ან ჩვენ!** ამ განლაგებით კი აუცილებლად მოიგებს.

„ახალი თაობა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



ჩვენ ისიც არ ვიცით, **2024 წლის არჩევნები გაიმართება თუ არა.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტოლოგი*



გამოსავალი არის — **არჩევნებზე ვერც ერთმა პარტიამ ვერ უნდა მოიპოვოს 50 პროცენტი** და საქართველოს ჰყავდეს **კოალიციური მთავრობა.**

„კვირის პალიტრა“

# მაყვალა ბერიანიძე:
## ამ შეკითხვაზე პასუხს გაგვცემს ისევ და ისევ შევარდნაძე, რომელსაც ერთხელ ვკითხე – ბატონო ედუარდ, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ვისი პროექტია?



ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საზეიმო გახსნა. 2002 წელი

*დასაწყისი მე-13 გვერდზე*

**ფუნქცია დაუკარგეს, გახადეს ცოლზე დამოკიდებული, გაალოთეს და დაავეჩავეს.** აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას მოვუწოდებ, ახალგაზრდობისკენ სახით დადგეს! როცა „თვითმფრინავის ბიჭების" ტრაგედია მოხდა, აქტივის კრებაზე სწორედ ეგ განვაცხადე — ახალგაზრდობისკენ სახით შემოტრიალდით-მეთქი! ამ სიტყვების გამო დავისაჯე, მაგრამ მაშინაც სიმართლე ვთქვი და ახლაც სიმართლეს ვლაპარაკობ!

**— ქუჩაში ხალხზე ძალადობენ, დეპუტატებს, რომლებმაც „გამჭვირვალობის კანონს" ხმა მისცა, აგინებენ, სახლში უვარდებიან... ეს პროცესი სადამდე გაგრძელდება?**

— ადრე გითხარით, რომ ეს დახვედრები და ცემა-ტყეპა იქნებოდა... ნებისმიერი პირველკურსელი ფსიქოლოგი დაგიდასტურებთ, რომ კეზერაშვილის ცოლისძმის **დიმიტრი ჩიქოვანის** ვითომდა ცემის ფაქტი სინამდვილეში სპექტაკლი იყო! ეს იმდენად სამარცხვინო შოუ გახლდათ, ეტყობა, ძალიან უნიჭო რეჟისორები და პიარშჩიკები ჰყავთ... აი, მაგალითად, ქალბატონ **ელისო ბოლქვაძეს** რომ დაესხნენ თავს ლესბოსელები — **ანა დოლიძის** და — ე.წ. **ჯინო დოლიძე** და მისი „ქმარი", ვინმე **თამარ ჯინჭარაძე,** ხომ ნახეთ, რას ეუბნებოდნენ — **პარიზში რა გინდაო?** ელისო ბოლქვაძე საქართველოში პარიზიდან ჩამოვიდა და ესენი ამას გაიძახოდნენ... არ ვფიქრობ, რომ ელისო ბოლქვაძეს ეს გარეწრები პარიზის აეროპორტში შემთხვევით გადაეყარნენ. დარწმუნებული ვარ, ისინი წინასწარ გააფრთხილეს და მიაწოდეს ინფორმაცია, თუ სად იყო ქალბატონი ელისო!

**— სხვათაშორის, ნიკუტა გვარამიამ ელისო ბოლქვაძეზე თქვა — ეგ არაფერი მუსიკოსი არ არისო!**

— ნიკა გვარამია სალომე ზურაბიშვილს რასაც ეძახდა, ქვეყანამ იცის, ამიტომ არ მინდა მასზე ლაპარაკი. ცნობისათვის, ნიკა გვარამიას **ბენო ქალანდია** პატრონობდა... მე სხვა რამ უფრო მაკვირვებს — როგორც ვიცი, **ელისო ბოლქვაძე,** როგორც მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, გაეროს მშვიდობის ელჩია. მაინტერესებს, რატომ არ იღებს ხმას გაერო და არ გმობს იმ სისაძაგლეს, რაც მას პარიზის აეროპორტში ვიგინდარებმა მოუწყვეს?

**— თქვენი აზრით, მაინც რატომ დუმს გაერო?**

— მეც ძალიან მაინტერესებს ამ კითხვაზე პასუხი. ისეთი პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, როგორიც საქართველოა, მსოფლიო ასე ორკესტრირებულად რომ ამხედრებულიყოს, ისტორიას არ ახსოვს. **ზუსტად იმ დროს, როცა ელისო ბოლქვაძეს პარიზის აეროპორტში გარეწარი ქართველი ლესბოსელები თავს დაესხნენ, კუს ტბაზე სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც შვილიშვილი ჰყავდა აყვანილი სასეირნოდ, აგინეს და დაუსტვინეს!** დასკვნა მარტივია — ძალადობა შობს ძალადობას! ელისო ბოლქვაძის 87 წლის დედას რომ სახლში მიუვარდნენ და კარებზე „მონა" დაუწერეს, იმ ქალს რამე რომ დაემართოს, მკვლელობისთვის ხომ უნდა გასამართლდნენ ამ სიბინძურის ჩამდენები?

**— ზემოთ საქართველოს წინააღმდეგ ორკესტრირებული შეტევა ახსენეთ, მაინც რა არის ამ შეტევის მიზეზი?**

— ამ შეკითხვაზე პასუხს გაგვცემს ისევ და ისევ **შევარდნაძე,** რომელსაც ერთხელ ვკითხე — **ბატონო ედუარდ, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ვისი პროექტია-მეთქი?**

— ამერიკის, დასავლეთის! — მიპასუხა... — ამიტომ, სანამ ეს პროექტი არ ამოიწურება, საქართველოში მუდამ სიმშვიდე იქნება. ამ მაგისტრალზე თავდასხმა „წითელი ხაზის" გადაკვეთის ტოლფასი იქნება! **მართლაც, რა არ მოხდა, რა არ გადავიტანეთ, მაგრამ ვინმემ ამ მაგისტრალზე თავდასხმა გაბედა?**

ამერიკა საქართველოზე დაბოღმილია იმიტომ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ვაშინგტონი საქართველოს გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში ვერ გაიჭრა. ჩვენ ამ საკითხზე ადრე დაწვრილებით გვისაუბრია... ამოიღონ ჩანაწერები, რა თქვეს **მადლენ ოლბრაიტმა** და ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის შეფმა — **სააკაშვილმა თავისი მოქმედებით პუტინი რკინის მუშტად აქცია, რადგან ჩვენ საქართველოს გავლით ჩრდილოეთ კავკასია ვერ გავჭერითო!**

ახლა სჭირდებათ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა, რადგან ძველი პროგრამები და სტრატეგიული მიზნები კვლავ მოქმედებაშია. რადგან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამას არ თანხმდება, ამიტომაც არიან ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებული და მიდის ორკესტრირებული შეტევა, თორემ „კანონი გამჭვირვალობის შესახებ" ვის აინტერესებს?

გავიხსენოთ 1918 წელს კაიზერულ გერმანიასა და ე.წ. დამოუკიდებელ საქართველოს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება, როცა გერმანიის მოკავშირე თურქეთმა 10 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია წაგვართვა და ჩვენ ისევ გერმანიას შევუძვერით, რათა თურქეთი გაგვეჩერებინა... აი, სწორედ მაშინ გვითხრეს გერმანელებმა — **შორს რომ არ იყოთ, შეგიერთებდითო!** კაიზერი **ვილჰელმი** პირდაპირ აცხადებდა — საქართველოს „დამოუკიდებლობა" გვჭირდება იმისათვის, რათა რუსეთი დავშალოთ ოთხ ნაწილად — **ველიკოროსიად, უკრაინად, ციმბირად და კავკასიად,** რომლის ცენტრიც თბილისი უნდა იყოსო! ანუ ჩვენ ვჭირდებოდით, როგორც ხიჭვი რუსეთის სხეულში. სამწუხაროდ, ასი წლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა, თუმცა, ახლა უკვე ამერიკას ვჭირდებით, როგორც ხიჭვი, უკრაინა ხომ გაწირეს და გაწირეს... ბლინკენი ჩავიდა კიევში, აიღო გიტარა და ღამის კლუბში წავიდა საქეიფოდ მაშინ, როცა ამოდენა ქვეყანა მიწასთან არის გასწორებული. არ ვიცი, უკრაინა ამას როგორ ითმენს! ამოდენა უკრაინას იკიდებენ ფეხებზე და ჩვენ ვის დავკარგივართ? ქათამივით წაგვაკლავენ ამ გეოპოლიტიკურ ქარცეცხლს!

**— მხოლოდ ამის გამო არიან ამერიკელები აჭრილი საქართველოზე?**

— არა, ჩინეთის გამოც არიან გაგიჟებული! ამერიკელებს დაზვერვის მეშვეობით წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ჩინეთი საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებას აპირებდა და ამიტომაც გაგიჟდნენ! ენტონი ბლინკენი ჩინეთში შემთხვევით არ დარბოდა... გამოქვეყნდება დოკუმენტები და გაირკვევა, რომ **ამერიკა ჩინეთს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის გაფორმებას უშლიდა...** წლების წინათ დავწერე და ამერიკას მივმართე — საქართველოს მოუფრთხილდით, თორემ, როცა ჩინეთი პატარა საქართველოსთან მოვა და უვიზო რეჟიმს დაგვიწესებს, მაშინ გაგიჟდებით-მეთქი! ამის გამო დამცინოდნენ, მაგრამ ღმერთმა მომასწრო, რომ ჩემი სიტყვები ახდა. ჩინეთი საქართველოსა და ანაკლიის პორტში ჩადებულ მილიარდებს არ დაკარგავს! ამერიკა დგას უმძიმესი გამოწვევების წინაშე... ჰამასი სწორედ მაგათ წააქეზეს და ომი დააწყებინეს, ხოლო ამ ბოლო დროს ისე გაგიჟდნენ, განაცხადეს — ისრაელის სახელმწიფოს შექმნა პროექტი იყო, რომელსაც ვადა გასდისო!

**— სერგეი შამბამ ძალიან მკვახე განცხადებები გააკეთა — საქართველოს პრემიერ-მინისტრი ილუზიებშია, რომ აფხაზეთს 2030 წლისთვის დაიბრუნებენ. 30 წელიწადია, ასე ფიქრობენ და კიდევ 300 წელი გველოდონო! რა ხდება?**

— გაგახსენებთ შევარდნაძის ნათქვამს — **იაპონიამ აფხაზეთში დიდი ფული ჩადო, ოჩამჩირემდე უნდათ გასვლა, რათა მერე გადაზიდვები დაიწყონო!** სწორედ ამიტომ აკეთებს რუსეთი ოჩამჩირეში სამხედრო ბაზას... რაც შეეხება **შამბას** განცხადებას, მე მას დიდი ასოებით მივწერე — **დიდი მადლობა ქართველი ერის ოპტიმიზმის გაძლიერებისთვის, აჰარა სწორედ 300 წელი ელოდა დედასამშობლოს წიაღში დაბრუნებას და მაინც დაბრუნდა-მეთქი!** სერგეი შამბა ასეთ განცხადებებს ღიად აკეთებს, თორემ სოხუმში იქაური „მთავრობის" ფარულ სხდომაზე, იცით, რა თქვა? — როდემდე უნდა ვიყოთ ამ მდგომარეობაში, რამდენადაც ვიცი, არსებობს 8-მილიარდიანი ფონდი, რომელიც ჩვენი ერთად ყოფნის დროს აფხაზეთის განვითარებას მოხმარდებაო! უფრო ადრე მან თქვა — ქართველებსა და აფხაზებს შორის მტრობა შვილებსა და შვილიშვილებს არ უნდა დავუტოვოთო! ასე რომ, როდის არის შამბა მართალი და გულწრფელი, ეს უკვე ღმერთმა განსაჯოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„ნებისმიერი პირველკურსელი ფსიქოლოგი დაგიდასტურებთ, რომ კეზერაშვილის ცოლისძმის დიმიტრი ჩიქოვანის ვითომდა ცემის ფაქტი სინამდვილეში სპექტაკლი იყო!"**



**„სერგეი შამბა ასეთ განცხადებებს ღიად აკეთებს, თორემ სოხუმში იქაური „მთავრობის" ფარულ სხდომაზე, იცით, რა თქვა? – როდემდე უნდა ვიყოთ ამ მდგომარეობაში, რამდენადაც ვიცი, არსებობს 8-მილიარდიანი ფონდი, რომელიც ჩვენი ერთად ყოფნის დროს აფხაზეთის განვითარებას მოხმარდებაო!"**



№28 (264) ★ 2024 წლის 3 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან

**ზუსტად 130 წლის წინათ,** 1894 წლის ივნისში, **15 წლის იოსებ ჯუღაშვილი ქების სიგელით ამთავრებს გორის სასულიერო სემინარიას** და რეკომენდაცია ეძლევა **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** ჩასაბარებლად, რის თაობაზეც მომავალი ბელადი თხოვნით მიმართავს აღნიშნული სასწავლებლის რექტორს მამა სერაფიმეს.

დღეს, **სტალინის მიერ სასულიერო სემინარიის ქების სიგელით დამთავრებიდან ზუსტად 130 წლის შემდეგ,** საქართველოს ხელისუფლებასაც აქვს შანსი, ქართველი ხალხის დიდი ნაწილისაგან **გულითადი ქება დაიმსახუროს,** თუკი გამჭვირვალობის კანონის მიღებით დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და საბოლოოდ გახიკავს ისტორიის სანაგვეზე **ყოველგვარი სულიერებისაგან დაცლილ უცხოური გავლენის აგენტებს,** რომლებიც ცდილობენ, **ქართული სულიერება,** ეროვნული ფასეულობები და სახელმწიფო სუვერენიტეტი **ფაშიზმის მანტიაში გახვეული ლიბერალიზმის** სახელით დაასამარონ!



## ფაშიზმი ისევ დასამარცხებელია! ★



СВИДѢТЕЛЬСТВО

Воспитанникъ Горійскаго духовнаго училища Джугашвили Іосифъ Тифлисской губерніи г. Гори уѣзда, сословія крестьянина Виссаріона сынъ родившійся въ шестой день мѣсяца декабря тысяча восемьсотъ семьдесятъ восьмого года, поступилъ въ сентябрѣ 1890 года въ первый классъ училища и при отличномъ поведеніи (5) оказалъ успѣхи:

По Священной исторіи Ветхаго Завѣта (5)
— — — Новаго Завѣта (5)
— Православному катихизису (5)
— Изъясненію Богослуженія съ церковнымъ уставомъ (5) — отлично
Языкамъ: русскому съ церковно-славянскимъ (5); греческому (4) очень хорошо; грузинскому (5) отлично
— Ариѳметикѣ (4) очень хорошо
— Географіи (5)
— Чистописанію (5)
— Церковному пѣнію русскому (5) и грузинскому (5) — отлично

По окончаніи полнаго курса ученія въ духовномъ училищѣ въ іюнѣ 1894 г. причисленъ училищнымъ правленіемъ къ первому разряду училищныхъ воспитанниковъ съ преимуществами, предоставленными окончившимъ полный курсъ ученія въ духовномъ училищѣ (§ 124 ВЫСОЧАЙШЕ утв. 22 Августа 1884 г. устав. дух. учил.)

По отправленію воинской повинности онъ пользуется льготами, предоставленными воспитанникамъ учебныхъ заведеній 3 разряда (ВЫСОЧАЙШЕ утв. 20-го Мая 1876 г. списокъ учебныхъ заведеній).

Въ удостовѣреніе чего и дано ему, Джугашвили Іосифу свидѣтельство отъ Правленія Горійскаго духовнаго училища за надлежащимъ подписаніемъ и приложеніемъ печати правленія. Городъ Гори. 1894 года іюня дня

Предсѣдатель училищнаго Правленія
Смотритель училища
Помощникъ Смотрителя
Членъ Правленія, учитель
Членъ Правленія, Священникъ
Членъ Правленія, Священникъ

№ 111



სოსო ჯუღაშვილი გორის მართლმადიდებლური სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა შორის



## საუბრები იმპერიის ნანგრევებზე ★

**რაულ ჩილაჩავა**

# ლავრენტი ბერიას ვაჟი

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი". 2024 წლის №22-27*

**— ბატონო სერგო, მოგვიყევით, როგორ აღმოჩნდით ატომური ბომბის შემქმნელთა შორის?**

— უშუალოდ მათ შორის მე არ ვყოფილვარ. ჩემი საქმიანობის სფერო მოიცავდა რაკეტების მართვის სისტემებს, რომლებიც, თავის მხრივ, ატომის, შემდეგ კი წყალბადის მუხტის მატარებელი იყვნენ.

**— თქვენ რა განათლება მიიღეთ?**

— მას შემდეგ, რაც 1942 წელს კავკასიის ფრონტი მოვიარე, სასწავლებლად გამგზავნეს ლენინგრადის კავშირგაბმულობის აკადემიაში, სადაც ის-ის იყო, რადიოლოგიის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა. აკადემია დავამთავრე 1947 წელს, თუმცა, უკვე 1945 წლიდან ვმუშაობდი დიდი გემების საწინააღმდეგო ფრთიანი რაკეტების შექმნაზე. ამ პროექტს, რომელიც ჩემი სადიპლომო შრომა გახდა, სახელმწიფო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა და საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნაც გადაწყდა. რაკი ამ დროს ატომური ბომბი, პრაქტიკულად, უკვე გვქონდა და მეცნიერები წყალბადის ბომბზე მუშაობდნენ, აუცილებელი იყო ამ ახალი ფეთქებადი ნივთიერების მოთავსება ჭურვში, რომელსაც ჩვენი კოლექტივი ქმნიდა. ვთანამშრომლობდით უმეტესად კურჩატოვთან, რომელსაც სტუდენტობიდან ვიცნობდი.

**— სად ხორციელდებოდა თქვენი პროექტი?**

— მოსკოვის საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც მოგვიანებით არამარტო გემსაწინააღმდეგო, არამედ ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტებსაც ამზადებდნენ. მოსკოვის საზენიტო დაცვის პირველი წრე სწორედ ჩვენ შევქმენით. უკვე 1951 წლის მიწურულს ჩვენმა კოლექტივმა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ერთად ვადამდე ადრე შექმნა მოსკოვის საჰაერო თავდაცვის სისტემა.

**— სტალინი კმაყოფილი დარჩა?**

— სტალინი ერთგული დარჩა საყვარელი გამოთქმისა — **ენდე, მაგრამ შეამოწმე!** ჩვენი გამოგონების შესამოწმებლად მან ასეთი ვარიანტი შემოგვთავაზა: მოსკოვის ცაში აჭრილიყო 10-12 თვითმფრინავი, მფრინავებს თავდაცვის წინა ხაზზე კატაპულტირება მოეხდინათ, უპილოტოდ დარჩენილი მანქანები კი რაკეტებით ჩამოგვეგდო. მიუხედავად იმისა, რომ მოვახსენეთ, პოლიგონზე მსგავსი ექსპერიმენტი უკვე ჩატარებულია, ხოლო დედაქალაქის სიახლოვეს მისი განმეორება სახიფათოა, საპოლიგონო გამოცდა მან მაინც გაგვამეორებინა — საბჭოთა კავშირის მარშალ **ვასილევსკისა** და ავიაციის მარშალ **ჟიგარევის** მეთვალყურეობით ზეცაში კამარა შეჰკრა „ილ-28" და „მიგ-15" ტიპის ექვსმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა. მფრინავთა კატაპულტირების შემდეგ თითო-ოროლა გასროლით ყველა თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ. ასე შევიდა შეიარაღებაში საჰაერო თავდაცვის ჩვენი სისტემა.

**— თქვენ იცნობდით პარტიისა და სახელმწიფოს ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეს. ვის გამოყოფდით მათ შორის?**

— ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას, რა თქმა უნდა, **სტალინი** ტოვებდა. ადრე მოგახსენეთ და ახლაც გავიმეორებ: **მის მიმართ რთული, შეიძლება ითქვას, გაორებული ურთიერთობა მაქვს — წრფელი სიყვარულით დაწყებული და დამთავრებული ბევრი რამის დაგმობით, რასაც იგი არაიშვიათად აკეთებდა.**

**— როგორ შეგეძლოთ სტალინთან მოხვედრა?**

— სულ უბრალოდ. მე და სვეტლანა ერთ სკოლაში ვსწავლობდით და ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს. სტალინი ზოგჯერ დაგვიძახებდა, მაგიდასთან დაგვსვამდა და დიდებივით გველაპარაკებოდა. გვიყვებოდა წაკითხულ წიგნებზე, გვირჩევდა, ჩვენ რა წაგვეკითხა. სტალინს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ ზეპირად ახსოვდა, სად რომელი წიგნი იდო. საკუთარი აზრის ციტატის განსამტკიცებლად სტელაჟთან მივიდოდა და უშეცდომოდ ამოარჩევდა საჭირო ტომს, იპოვიდა შესაბამის ადგილს. სიმართლე გითხრათ, მის ბიბლიოთეკაში ყველაზე უფრო ქართული წიგნების სიუხვემ გამაოცა. მას ჰქონდა მთელი ჩვენი კლასიკური ლიტერატურა, სისტემატურად მოსდიოდა ახალი გამოცემები თბილისიდან. სტალინი მეტად უკმაყოფილო დარჩა, როცა გაიგო, რომ მე ამ სიახლეებს თვალს არ ვადევნებდი.

**— იგი ქართულად გელაპარაკებოდათ?**

— **ხალხში სტალინი რუსულად ლაპარაკობდა, მე კი ქართულად გამკიცხა.**

**— განა ლავრენტის არ უგზავნიდნენ ქართულ გამოცემებს?**

— უგზავნიდნენ, მაგრამ მე ტექნიკით ვიყავი გატაცებული და მათ არ ვკითხულობდი. დედას ძალიან გაუხარდა, რომ სტალინმა ცოტა შემახურა. იგი ხშირად ხმამაღლა მაკითხებდა ქართულ ტექსტებს, რათა ენა არ დამვიწყებოდა.

**— თქვენი სიყრმის მეგობარი სვეტლანა, რბილად რომ ვთქვათ, აუგად იხსენიებს ლავრენტი ბერიას. რა საბაბი გააჩნია მას საამისოდ?**

— მგონი, არავითარი. იგი, უბრალოდ, ცდილობს, მამამისის ბევრი ცოდვა მის უახლოეს თანამებრძოლს აჰკიდოს. მკითხველს კი, რომელიც ლავრენტი ბერიას ბოროტმოქმედად იცნობს, მემუარისტის ნათქვამი სიმართლე ჰგონია. **მე და დედამ სვეტლანას ყველა წიგნი წავიკითხეთ და გული დაგვწყდა, რომ მისი ცხოვრება ასე უილბლოდ წარიმართა.** ცხადია, ბევრი რამე მან, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთაც, ხელისუფალთა ზეგავლენით დაწერა. მხოლოდ გულუბრყვილოს ეგონება, რომ დასავლეთში იდეოლოგიურ პრესინგს არ მიმართავენ, მითუმეტეს ისეთ ხელსაყრელ ავტორთან, როგორიც იოსებ სტალინის ქალიშვილია. მე შევახსენებდი სვეტლანას, როგორ უყვარდა იგი ჩვენს ოჯახს, მივუთითებდი არაერთ გაუკუღმართებულ ფაქტზე, მამაჩემს რომ მიაწერს, თუმცა, ეს წყლის ნაყვაა. **საბჭოთა კავშირში ჩამოსულმა დაგვირეკა და მოგვიკითხა, მაგრამ ჩვენ მასთან შეხვედრა არ ვისურვეთ.**

**— სვეტლანასთან დაკავშირებით, თუ არ ვცდები, ერთი საინტერესო მოგონება გაქვთ...**

— იყო ასეთი შემთხვევა. როგორღაც მესაზღვრეებმა რამდენიმე ნაალაფარი პისტოლეტი მაჩუქეს, მათ შორის, ფაქიზად ინკრუსტრირებული „ვალტერი", რომელიც სვეტლანას ვაჩუქე. მალე ეს შემთხვევა დამავიწყდა კიდეც, მაგრამ ლენინგრადის კავშირგაბმულობის აკადემიაში, სადაც იმხანად ვსწავლობდი, მოულოდნელად **გენერალი ვლასიკი** გამოჩნდა და მეუბნება — მოსკოვში უნდა წამომყვე, „ხაზეინი" გიბარებსო. ჩვენ რომ მივედით, სტალინი საუზმობდა. მან, როგორც ყოველთვის, მიგვიპატიჟა, დაგვაპურა, მერე კი სწავლისა და ცხოვრების ამბები გამომკითხა. ვზივარ და ვერ გამიგია, რისთვის დავჭირდი. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მომმართავს: **„შენ აჩუქე სვეტლანას პისტოლეტი?"**

— დიახ, მე. სტალინმა გამჭოლავი მზერა მესროლა: **„ბიჭო, შენ თავში ჭკუა არ გაქვს, რომ გოგონას ასეთ „სათამაშოს" ჩუქნი? განა არ იცი, დედამისმა რა ჩაიდინა?"** მე მაშინ მართლა არ ვიცოდი, რომ სვეტლანას დედამ **ნადეჟდა ალილუევამ** თავი მოიკლა. სტალინს დიდხანს ვერ დაეჯერებინა, რომ პირველად მესმოდა ეს საშინელი ამბავი. როცა დარწმუნდა, ნამდვილად ასეაო, თქვა: **სვეტლანა უკვე გავჯოხე და, ალბათ, შენთვისაც ყური უნდა ამეწია, მაგრამ ამჯერად მიპატიებია. დაბრუნდი აკადემიაში და ასეთ წინდაუხედავ ნაბიჯს მეტად ნუ გადადგამ!** მე ისევ დამაპურეს და ლენინგრადში გამამგზავრეს.

**— მახსოვს, ერთხელ ვასილზეც მიყვებოდით, სვეტლანას ძმაზე...**

— აკადემიის მეოთხე კურსზე ვსწავლობდი, როცა **სტალინმა** გამომიძახა და მითხრა: *„გაგზავნით ოქსფორდში სასწავლებლად. ერთდროულად უხელმძღვანელებ ამხანაგების ჯგუფს, რომელიც შენთან ერთად გაემგზავრება."* ეს თქვა და მომავალი ჯგუფის წევრები ჩამოთვალა, რომელთა უმეტესობასაც ვიცნობდი. მე ვუპასუხე: *„იოსებ ბესარიონის ძევ! აბა, როგორ უნდა ვუხელმძღვანელო ისეთ ჯგუფს, სადაც ყველა ჩემზე უფროსია?"* სხვათაშორის, იმ ჯგუფში მისი ვაჟი **ვასილიც** შედიოდა — საოცრად გულღია და ნიჭიერი, მაგრამ ისე გამეტიჩრებული, რომ დისციპლინა მისთვის არ არსებობდა. სიმართლე რომ გითხრათ, უპირველესად, სწორედ **ვასილის** ოინებისა მეშინოდა. სტალინი ტყუილად როდი მნიშნავდა ჯგუფის უფროსად. ჩემი უარით გაბრაზებულმა კბილებში გამოცრა: *„თქვენი ოჯახი დიდ-პატარიანად ჯიუტია, მაგრამ მე გადავაჩვევ მას ამ სიჯიუტეს!"* მან დაუყოვნებლივ გამოიძახა მამაჩემი და ეგრევე ჯიქურ მიახალა: *„კაცო, ეს რა შვილი გაგიზრდია! ოქსფორდში წასვლაზე უარს მეუბნება იმ მოტივით, რომ ასაკით მასზე უფროს ამხანაგებს ვერ უხელმძღვანელებს. აქაოდა, განათლება ჯერ სამშობლოში უნდა მივიღო და საზღვარგარეთ მერე ვისწავლოო. როცა მამამ შენიშნა, რომ არცთუ ურიგოდ მიპასუხია, სტალინი მთლად გადაირია: „რაშია საქმე, შეთქმულებას მიწყობთ? მე თქვენთვის სიკეთე მინდა, თქვენ კი ეშმაკისკენ იყურებით!.."*

ამ ინციდენტმა დედა ძალიან შეაშფოთა. მას პირადი ინიციატივით სტალინისთვის არასოდეს მიუმართავს, მაგრამ ამჯერად გამბედაობა მოიკრიბა და სიცოცხლეში პირველად დაურეკა. სტალინმა მისი ტირადა ბოლომდე მოთმინებით მოისმინა და საკმაო დუმილის შემდეგ სიცილით უთხრა: ჯანდაბას თქვენი თავი, მოიქეცით, როგორც გინდათო. ეს იყო და ეს. მეც შემეშვნენ და ჯგუფიც არ გაუგზავნიათ.

**— რამდენი წლით იყო ვასილი თქვენზე უფროსი?**

— ოთხით.

**— როგორ უყურებდა სტალინი შვილის ონავრულ გამოხდომებს?**

— ძალიან განიცდიდა, რომ თავნება და უნებისყოფო ვაჟი ეზრდებოდა, რომელსაც ანებივრებდა და ყველაფრის ნებას აძლევდა მისი უახლოესი გარემოცვა. ერთნი ამას აკეთებდნენ უშურველად, მეორენი — ანგარებით. აღვირახსნილმა ცხოვრებამ, უზომო ღვინის სმამ და უსასრულო ორგიებმა იგი საბოლოოდ გაალოთა, გარყვნა და დაღუპა კიდეც.

**— როგორ დაგამახსოვრდათ ვასილის უფროსი ძმა იაკობი?**

— ო, იგი მისი სრული ანტიპოდი იყო. დინჯსა და მორცხვს **სტალინი** ხანდახან შეუძახებდა ხოლმე — ჰაიტ, შე რაჭველოო (იაკობის დედა — სტალინის პირველი მეუღლე **ეკატერინე სვანიძე** რაჭველი გახლდათ).

მე ვიცი, რომ იაკობი დიდხანს არ შედიოდა პარტიაში, რადგან საკუთარი აზრი ჰქონდა ბოლშევიკურ რეჟიმზე, ადანაშაულებდა მას რეპრესიებში და არ მალავდა თავის აზრს. მამისეული სიმტკიცე და შეუპოვრობა დაეხმარა **იაკობს,** ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკში თავი ღირსეულად სჭეროდა. მე წამიკითხავს ბელგიის მეფის წერილები სტალინისადმი, სადაც მოთხრობილია მისი შვილის უკანასკნელ დღეებზე, ვიცნობ გერმანელების დოსიესაც. ამ დოკუმენტებიდან წარმოდგება მამაცი და კეთილშობილი რაინდი, რომელსაც

## „იოსებ სტალინს ბელადი პირველად ბუხარინმა და ზინოვიევმა უწოდეს!"



სტალინი, რიკოვი, ზინოვიევი და ბუხარინი

## «ცხადი იყო, რომ «საქმეს»

ცუდი ვერ ათქმევინეს ვერც მამაზე და ვერც საბჭოთა კავშირზე.

**— როგორ აღიქვა სტალინმა ვაჟის დაღუპვა?**

— სვეტლანა მომიყვა, რა უმძიმესი დარტყმა იყო სტალინისათვის ეს ტრაგედია. თურმე, საოცრად განიცდიდა, ღელავდა, ადგილს ვერ პოულობდა...

**— თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, იაკობის ცოლ-შვილი ციხეში ჩაესვა!**

— კანონი ყველასთვის ერთია! — უთქვამს მას. ასეთი კაცი იყო და რას ვიზამთ!

**— ვარაუდობენ, რომ ბერია სტალინის მომსახურე პერსონალს საკუთარი ხალხით აზავებდა, მეტწილად ქართველებით, რათა ბელადის „ბანაკი“ მუდმივ კონტროლქვეშ ჰყოლოდა. მათ შორის ასახელებენ სუკის მაიორ ალექსანდრა ნიკოლოზის ასულ ნაკაშიძეს, რომელიც ამავე დროს დედათქვენის ბიძაშვილი თუ მამიდაშვილი ყოფილა.**

— სტალინის დაცვა ისედაც მამაჩემის „ხალხი“ იყო, ამიტომ იქ მსტოვრების შეგზავნას რა აზრი ჰქონდა! რაც შეეხება **ნაკაშიძეს,** იგი დედაჩემს მართლაც ახლო ნათესავად ერგებოდა, თუმცა, მასთან ბიძაშვილ-მამიდაშვილობა არ ჰქონია. **ალექსანდრა** სტალინის სახლში სვეტლანას აღმზრდელად მიიწვიეს. თვითონ სტალინს სურდა, რომ მისი ქალიშვილი ახალგაზრდა, განათლებულ და სასიამოვნო გარეგნობის ქართველ ქალს აღეზარდა. ათი კანდიდატურიდან მან სწორედ შურა აარჩია. რამდენადაც კრემლის მომსახურე პერსონალი უშიშროების სამინისტროს ექვემდებარებოდა, ხელფასის გამო მას მაიორის წოდება მიანიჭეს. როცა სვეტლანა გაიზარდა და მეურვე აღარ სჭირდებოდა, **ალექსანდრა ნაკაშიძემ** გუვერნანტობა მიატოვა და გათხოვდა.

**— ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, პროფესორი რობერტ თაკერი თავის გამოკვლევაში „სტალინი. გზა ხელისუფლებისკენ“ მიუთითებს: „ბერიამ სტალინის ყურადღება მიიპყრო არამარტო იმით, რომ იგი შეიძლებოდა კარგი ჩეკისტი ყოფილიყო. ბერია გრძნობდა, რომ სტალინს საკუთარი თავით აღფრთოვანების ღრმა აუცილებლობა გააჩნდა და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა მლიქვნელობით, რომლის ხელოვნებასაც მშვენივრად ფლობდა... შეიძლება დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ბერია გაცნობის დღიდან ხაზგასმით გამოხატავდა სტალინისადმი მოწიწებას. ბელადის ამ გაღმერთებაში, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო, გამოსჭვივის პიროვნების კულტის ერთ-ერთი მომავალი შემოქმედის როლი“.**

— მე ვკითხულობ ყველა ხელმისაწვდომ წიგნს სტალინზე, მამაჩემზე, მათ ეპოქაზე, თუმცა, ამბობენ, რომ ასეთი ეპოქა საერთოდ არ ყოფილა, რომ იყო მხოლოდ უჟამო ჟამი. თუმცა, თაკერის წიგნი წაკითხული მაქვს, მის ღირსებებზე არაფერს ვიტყვი, გთხოვთ, მხოლოდ ყურადღება მიაქციოთ წინასიტყვაობას, სადაც ნათქვამია: *„1946 წელს ცოლად შევირთე მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის სტუდენტი ევგენია პესტერცევა, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი“.* პროფესორი თაკერი, თუმცა, ამერიკელია, რუსეთში ხანგრძლივად ცხოვრება მისი აზროვნებისთვის თავისებური დაღი დაუსვამს და იგი საბჭოთა პროპაგანდის ღრმა გავლენის ქვეშ მოუქცევია. მადლობა, რომ მან მამაჩემს მლიქვნელობის ნიჭი მაინც აღმოუჩინა. მლიქვნელობა ადამიანის საუკეთესო თვისება როდია, მაგრამ, მოდით, გულახდილად ვიკითხოთ: ნუთუ ლავრენტი ბერია სტალინის დაახლოებულ პირთა შორის ერთადერთი იყო, ვინც მას ქება-დიდებას აღუვლენდა? იოსებ სტალინს ბელადი პირველად **ბუხარინმა და ზინოვიევმა** უწოდეს. ეპითეტი „კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი“ მოიგონა **მიქოიანმა.** მერე კი წავიდა და წავიდა თვით ამ ფორმულამდე — **„სტალინი დღევანდელობის ლენინია“.** ვინ არ ყოფილა სტალინის მეხოტბეთა შორის: **ანრი ბარბიუსი და ლიონ ფოიხტვანგერი, გო მო ჟო და გიორგი ლეონიძე,** თვით **პასტერნაკი და მანდელშტამიც** უკმევდნენ მას გუნდრუკს. ღმერთმა დამიფაროს, რომ აქ დასახელებულ თუ დაუსახელებელ მწერლებს სიყალბე დავწამო, პირიქით, მგონია, რომ სტალინი მათ გულწრფელად აღაფრთოვანებდა, თუმცა, აშკარაა, რომ მამაჩემის დამსახურება პიროვნების კულტის შექმნაში სიტყვის ოსტატებთან შედარებით ფერმკრთალდება.

საკუთარ გარემოცვას სტალინი თვითონ ქმნიდა. იგი გამოცდილი რეჟისორივით ამზადებდა მიზანსცენებს, აგებდა ინტრიგებს და კულმინაციის მიღწევის შემდეგ ახორციელებდა საჭირო ცვლილებებს. სტალინის დიდ რეჟისორულ ნიჭზე ბევრი დაწერილა და მე ეს შემიძლია მხოლოდ დავადასტურო.

**— თუ შეიძლება გარემოცვა გავაიგივოთ აპარატთან, რომელსაც ბევრნი სტალინის გამოგონებად თვლიან? მართალია, ტროცკი წერს, რომ „ლენინმა შექმნა აპარატი, ხოლო აპარატმა შექმნა სტალინი“.**

— რაკი სიტყვა კვლავ ტროცკიზე ჩამოვარდა, თქვენი ნებართვით მეც მოვიტან მის ერთ ციტატას: **„დასვენების დროს სტალინი მუსიკალურ ყუთთან ზის და „აიდის“ მელოდიებით ტკბება. მუსიკაში ისევე, როგორც პოლიტიკაში, იგი უპირატესობას მორჩილ აპარატს ანიჭებს...“**

**— ბელადის შეურიგებელი ოპონენტის ამ აზრს აბათილებს მისი ერთ-ერთი კრებულის („რუსული რევოლუციის ისტორიისათვის“. — პოლიტიზდატი, მოსკოვი, 1990) შემდგენელი, რომელიც სამართლიანად მიუთითებს, რომ პირველი, ვინც საკუთარი მიზნებისთვის აპარატის გამოყენება დაიწყო, იყო არა სტალინი, არამედ თვით ტროცკი. როგორც რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ, მან შექმნა ფრიად მძლავრი რაზმი არამარტო პირადი დაცვისა, რომელიც ხუთასამდე „ტყავის კურტაკიანს“ ითვლიდა, არამედ ასევე განტოტვილი შტატი იდეოლოგიური თანამშრომლების. ათობით „მწერალი“ და „მკვლევარი“ უმზადებდა ტროცკის მასალებს მოხსენებებისა და სიტყვებისთვის, უდგენდა მას ჩანაწერებს და ცნობებს, რედაქციას უკეთებდა მის მრავალრიცხოვან სტატიებს...**

— მეც დაახლოებით ამის თქმა მინდოდა, მაგრამ თქვენ დამასწარით. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ტროცკის ყოველთვის როდი დაეჯერება. უნდა გვახსოვდეს: იგი დაინტერესებული პირია!

სტალინთან ორთაბრძოლის წაგების შემდეგ **ტროცკის** ისღა დარჩენოდა, გესლიანად ელაპარაკა, ექირქილა, ენა მოეფხანა. თუ რით დასრულდა მისი ცინიკური ქირქილი, კარგად იცით; რით დასრულდა ჰიტლერის ბაქიაობა — ისიც. ზოგ-ზოგივით **მე არ ვთვლი ფაშისტ ფიურერს შემთხვევით წამოტივტივებულ მეტიჩარად და მთვარეულ იდიოტად, მაგრამ სტალინთან მის შედარებას მაინც არ გავრისკავდი!**

**— სად იყავით, როცა სტალინი გარდაიცვალა და როგორ აღიქვით ეს ცნობა ოჯახში?**

— მაშინ მოსკოვში ვიყავი და მშობლებთან ერთად მწარედ განვიცადე ბელადის სიკვდილი. **განსაკუთრებით გლოვობდა დედა — სტალინს შეეძლო საკუთარი თავის მიმართ ადამიანები კეთილად განეწყო. დამწუხრებული იყო მამაც, თუმცა, ბოლო დროს მათ ურთიერთობებს ბზარი გაუჩნდა.** როგორც ჩანს, სტალინმა გადაწყვიტა, რუსული შოვინისტური დაჯგუფებისთვის მსხვერპლად შეეწირა ლავრენტი ბერია. „მეგრელთა საქმე“ ბელადის თანხმობის გარეშე ვერაფრით შეიქმნებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, ვინ აქეზებდა სტალინს ბერიას წინააღმდეგ?**

— ახლობელთა გარკვეული წრე, რომლებისთვისაც სტალინს ანგარიში უნდა გაეწია. ტყუილია, რომ იგი თითქოს ყველა გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, უახლოეს თანამებრძოლთა აზრისა და განწყობილებების გაუთვალისწინებლად იღებდა. სხვა საქმეა ის, რომ უმეტეს შემთხვევაში იგი ახერხებდა მათ გადარწმუნებას ან გაცურებას.

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*


სერგო ბერია


ლავრენტი ბერია და სტალინის ქალიშვილი სვეტლანა

# მოგვითხრობს!

**„ჩვენ რომ მივედით, სტალინი საუზმობდა. მან, როგორც ყოველთვის, მიგვიპატიჟა, დაგვაპურა, მერე კი სწავლისა და ცხოვრების ამბები გამომკითხა. ვზივარ და ვერ გამიგია, რისთვის დავჭირდი. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მომმართავს: „შენ აჩუქე სვეტლანას პისტოლეტი?“**

# „სტალინის მიმართ მე რთული, გაორებული დამოკიდებულება მაქვს!“



ანასტას მიქოიანი და იოსებ სტალინი

# სანქცია თვით სტალინმა მისცა!»

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე–2 გვერდზე*

**ბერიას შესახებ მას კარგად ამუნათებდნენ თბილისიდან?**

**– კონსულტანტები და საიდუმლო მრჩევლები სტალინს ბლომად ჰყავდა. მათ შორის საქართველოშიც. ისინი ნიადაგ ჩასჩიჩინებდნენ – ბერია შენი ორგულია, იგი არაა ის კაცი, რომლადაც თავს ასაღებსო.**



**„როგორც ჩანს, სტალინმა გადაწყვიტა, რუსული შოვინისტური დაჯგუფებისთვის მსხვერპლად შეეწირა ლავრენტი ბერია. „მეგრელთა საქმე“ ბელადის თანხმობის გარეშე ვერაფრით შეიქმნებოდა!**




რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს!



სერგო ბერია



ლავრენტი ბერია მოასვენებს სტალინის კუბოს

**„განსაკუთრებით გლოვობდა დედა – სტალინს შეეძლო, საკუთარი თავის მიმართ ადამიანები კეთილად განეწყო. დამწუხრებული იყო მამაც, თუმცა, ბოლო დროს მათ ურთიერთობებს ბზარი გაუჩნდა!“**

**— რაში გამოიხატებოდა, კერძოდ, „მეგრელთა საქმე?“**

— აქაოდა, მეგრელები სათავეში ჩაუდგნენ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას და მთელ საქართველოში ხელისუფლება ხელთ იგდესო. მეგრული „ხრიკების“ სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დასახელება არ სჭირდებოდა. მხოლოდ ბრიყვი ვერ მიხვდებოდა, ვინ იყო **„მთავარი მეგრელი“**, რომლის მიმართაც ამ ჭუჭყიან ავანტიურას აქტიურად ახორციელებდა საკავშირო უშიშროების მინისტრი **იგნატიევი.** მისი უშუალო მითითებით ციხეებში ჩაყარეს საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები, რომელთა უმეტესობა მეგრული წარმოშობისა იყო. არარსებული „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ცენტრის“ ლიკვიდაციის საბაბით აპატიმრებდნენ, ბევრ შემთხვევაში კი ფიზიკურად სპობდნენ მამისადმი კეთილგანწყობილ ხალხს. **ცხადი იყო, რომ „საქმეს“ სანქცია თვით სტალინმა მისცა.**

**— მე შემთხვევით არ ჩამომიგდია სიტყვა მაბეზღარა თანამემამულეებზე. როცა სამარცხვინო „მეგრელთა საქმე“ შეთითხნეს, სტალინს ვიღაცამ კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ პირველი ორი წიგნი ჩაუტანა — შეხედეთ, დიდი ქართველი მეფე მწერალს კალმის ერთი მოსმით მეგრელად უქცევიაო. რეციდივის ინსპირატორთა ვარაუდით, ეს რომანის სიყალბის, ანტიმხატვრულობის, თვით ანტიხალხურობის დასტური უნდა ყოფილიყო, რასაც ავტორის დასჯა მოჰყვებოდა. მოხდა კი პირიქით: სტალინმა რომანის წაკითხვისთანავე გამოიძახა რესპუბლიკის ცეკას პირველი მდივანი, მწერლის დაუძინებელი მტერი და ჰკითხა: წაკითხული გაქვთ ეს რომანი? და იქვე, სანამ პასუხს მიიღებდა, დაასკვნა: რამხელა მწერალი გვყოლია ქართველებსო. ეს ერთი ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რათა სამშობლოში კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ დამოკიდებულება ძირეულად შეცვლილიყო.**

— თქვენი მონაყოლი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, თუ რამდენად შეუძლებელი იყო სტალინის საქციელის წინასწარგანჭვრეტა. გამსახურდიას „შეწყალება“ სულაც ვერ შეუშლიდა მას ხელს „მეგრელთა საქმის“ ბოლომდე მიყვანაში.

**— ამიტომ ხომ არ გადადგა უკიდურესი ნაბიჯი ლავრენტი ბერიამ და, როგორც ამტკიცებს არაერთი პუბლიკაციის ავტორი, დააჩქარა ბელადის საიქიოში გამგზავრება?**

— ამ თემაზე ბევრი მონაჭორი წამიკითხავს, მათ შორის, **ავტორხანოვის „სტალინის სიკვდილის საიდუმლო“.** ყველასა აქვს ნება, გამოთქვას საკუთარი აზრი, შექმნას საკუთარი ვერსია. მე არ მინდა, მათ ვეკამათო, რადგან გამაბათილებელი საბუთები არ გამაჩნია (როგორც, სხვათაშორის, არც იმ ავტორებს გააჩნიათ მტკიცებანი!). მე შემიძლია ხსოვნაში აღვადგინო მშობლების საუბარი სტალინის გარდაცვალების დღეს. *„ლაუ, — უთხრა დედაჩემმა მამას, — როგორც არ უნდა ინუგეშო თავი, შენი დრო დამთავრდა. აქამდე სტალინის წყალობით გითმენდნენ, ახლა კი მორჩა. სანამ გვიან არაა, დაწერე განცხადება და გადადექი, ან ავადმყოფობა მოიმიზეზე ან სხვა რამ საბაბი გამოძებნე!..“*

მამა არ იყო გულუბრყვილო ვინმე და მიუმცდარად გრძნობდა შექმნილი პოლიტიკური ვითარების მთელ სირთულეს. დედის ვედრებას მან ასე უპასუხა: *„განა ჩემი განცხადება უშველის საქმეს? ისინი, თუკი მოინდომეს, მაინც მიაღწევენ საწადელს.“* მამამ სწორი ვარაუდი გამოთქვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოტყუვდა. იგი ელოდა პარტიულ კრიტიკას, შეცდომების მხილებას, თვით სამსახურიდან მოხსნას, მაგრამ ისეთი სივერაგე, რაც მის მიმართ გამოიჩინეს, ნამდვილად ვერ წარმოედგინა.

**— რატომ არ სცადა ლავრენტი ბერიამ სტალინის ადგილის ხელში ჩაგდება?**

**– მამამ მშვენივრად იცოდა, რომ საბჭოთა კავშირის, ანუ რუსული სახელმწიფოს სათავეში ისევ ქართველს არავინ გააჩერებდა.**

**— ნუთუ მას არც ცეკას პრეზიდიუმში, არც მთავრობაში მეგობრები არ ჰყავდა? გეგონება, ყველანი სულმოუთქმელად ელოდნენ ამ საძულველი პიროვნების ჯვარზე გაკვრას.**

— მეგობრები მამას ჰყავდა. მე არ ვამბობ **ხრუშჩოვზე,** რომელიც მას თავხედურად ეტმასნებოდა. გადახედეთ იმ წლების ოფიციალურ ფოტოებს — ხრუშჩოვი თითქმის ყველგან მამაჩემის გვერდით დგას. ვინ იფიქრებდა, რომ მას თავისი ავაზაკური ჩანაფიქრის ხორცშესხმის მერე რეფორმატორობა და რუსული დემოკრატიის მამობა ჰქონდა განზრახული! **თუმცა, ხრუშჩოვმა შანტაჟის, დემაგოგიისა და სამხედრო ძალის გამოყენებით მამაჩემი გზიდან ჩამოიცილა, საწადელს მაინც ვერ მიაღწია.** მოხდა ისე, როგორც რუსთაველი ბრძანებს: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. მე არ ვამბობ **მიქოიანზე,** რომელმაც „ილიჩიდან ილიჩამდე“ ურთუბლოდ პოლიტიკური ცხოვრება გაატარა. **ანასტას ივანიჩმა** სპეციალურად მომაკითხა ქალიშვილის ბინაზე მოსკოვში, სადაც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ვსტუმრობდი. მე იგი დიდხანს მიმტკიცებდა, რომ მამაჩემის დაღუპვაში წილი არ ედო და მთხოვდა, ეს დედისთვისაც გადამეცა. მაშინ, რა თქმა უნდა, არ შემეძლო, მცოდნოდა პლენუმზე მისი გამოსვლის შინაარსი და დავუჯერე. მართალია, ერთგვარად დამაეჭვა მისმა რეპლიკამ: **„ეჰ, ჩემო სერგო, განა სულერთი არაა, მკვდარზე რას იტყვი!“** მხოლოდ ათეული წლების მერე მივხვდი ამ ფრაზის შეფარულ აზრს.

**— გამოდის, რომ მალენკოვიც ტყუოდა, როცა თავს ბერიას მეგობრად ასაღებდა?**

— იცით, პოლიტიკაში ცნება „მეგობრობა“ მეტად პირობითია. ანგარიში, ანგარება, სარგებელი — აი, რა ამოძრავებს აქ ადამიანს. ასე იყო, ასეა დღეს და ასე იქნება მომავალშიც!

*გაგრძელება იქნება*

გენერალისიმუსი
2024 წლის 3 ივნისი. №28 (264)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# შაასხეს!

ბიძინა ივანიშვილს ბოროტი კაცი უწოდა. მანამდეც ბევრი იბოდიალა — დღეს თბილისი ევროპის დედაქალაქიაო, ეს ჩვენი და იმ ახალგაზრდების დამსახურებაა, გარეთ რომ დგანანო და შემდეგ შაასხეს.

**შაასხამდნენ, მა რა იქნებოდა? არა და არ მაისვენა, არა და აღარ იყუჩა მაგისმა მჩქეფარე სისხლმა და გენმა.**

რავი, მაგან ყბები იქნია, მიმიქარავს ყოშიანი ტრაქტორი. თან როგორი ხმა აქ, კაცო, სუ ტენორში ჯღნავის. მითრეულიყო ოპერაში, შეიძლება რამე გამოსვლოდა, თვითონაც დაისვენებდა და ქვეყანასაც დაასვენებდა.

ამას წინებზე პანჩური რო ამოარტყეს პარლამენტში, პანჩურამორტყმული დადიოდა, ეხლა პანჩურამორტყმულიც არი და შასხმულიც!

**უღრმესი მადლობა მას, ვინც შაასხა!**

ვაგლახ, ამჯერად მხოლოდ წყალი!



## ამ ეტაპზე ზვიადი აწყობთ!

არ ვიცოდე მაინც, ვინ როგორ იქცეოდა და რას აკეთებდა 1991-1992 წლების გასაყარზე!

შიგნიდან მაინც არ მენახა, ვინ რა ჩაიდინა!

ახლა ეს ავაზაკები იყენებენ მის სახელს სათავიანთოდ!

☺

ამან, ამ ყბებმორღვეულმა ბოღმის მნთხეველმა — **ქუჩაში ახალგაზრდები ზვიად გამსახურდიას იდეების გამო დგანანო.**

არ იცის, გონზე არ არი, რა იდეები და მიზნები ჰქონდა ზვიად გამსახურდიას. ამან თქვა და სხვებმაც განაგრძეს — ბარე ათასჯერ ახსენეს დევნილი პრეზიდენტის სახელი. **დეპუტატმა მაჭუტაძემ** მისი გამონათქვამიც კი მოიტანა ამერიკის შესახებ. ზვიადს უთქვამს — ეს თავისუფლებისმოყვარე ქვეყანააო.

მერე?

**მერე აღარ გააგრძელა, რა თქვა მამა ბუშმა ზვიად გამსახურდიაზე... ეგ აღარ აწყობს, მაგის თქმა არ შეიძლება. თან ჰგონია, არავის ახსოვს.**

არადა, კარგად გვახსოვს, **მამა ბუშმა** რომ თქვა — ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო.

ზვიადმა საკადრისი პასუხი დაუბრუნა — დინების მიმართულებით მკვდარი თევზები ცურავენო.

ახლა ეგ არ არის მთავარი, ზვიადმა რა თქვა ამერიკაზე, ახლა მთავარი ის გახლავთ, რომ ყველა ავაზაკი თავის სასარგებლოდ იყენებს მის სახელს.

**არადა, საკუთარი თვალით ვნახე, როგორ კორტნიდნენ ესენი — ამათი მამები და ამათი ბაბუები!**

☺

**ეს ახალგაზრდები ზვიად გამსახურდიას იდეების გამო გამოვიდნენ ქუჩაშიო.**

არა, ამას ხომ მოფიქრება უნდა?

მართალია, მთელი ქვეყანა დაგცინის, მაგრამ მოფიქრება მაინც ხომ უნდა?

**რა იდეები, ბიჭო, ამ გამოთაყვანებულებმა იციან კი, ვინ იყო ზვიად გამსახურდია?**

**არ იციან, არა!**

მაგათ ილია ჭავჭავაძეც არ გაუგონიათ!

**აღარაფერს ვამბობ აღმაშენებელსა და რუსთაველზე!**

სამაგიეროდ, **ხაზარაძეს** იცნობენ და **ლაშა ბუღაძეს, უბორნიაში** რომ წერს **სამაკულატურე წიგნებს!**



**დიახ, ჯერ იმ 84 დეპუტატს ემუქრებიან, მერე მათ ოჯახებს ემუქრებიან, მერე ყველა მომხრეს ემუქრებიან.**

ჩვენ, ყველას, გვემუქრებიან გამყიდველები, მოღალატეები და მკვლელები!

**სანდრო გირგვლიანის** მკვლელები, **ბუტა რობაქიძის** მკვლელები, ქუჩაში **170 ახალგაზრდის** ჩამცხრილავები, ციხეებში პატიმრების ჩამხოცავები, გამაუპატიურებლები, მძარცველები, მიმთვისებლები, ომის გამჩაღებლები, 200 სოფლის გამსხვისებლები, კოდორის ხეობის გამჩუქებლები, ცხინვალის ქუჩებში უწვერ-ულვაშო ბიჭების ცხედრების დამყრელები, მოღალატეობრივ რეზოლუციაზე ხელის მომწერები, სტრატეგიული ობიექტების გადამცემები...

სიმართლე მიახალა ამ არსებას **შალვა პაპუაშვილმა** — შენ ვის ღალატზე ლაპარაკობ, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობა მიატოვე და უცხო ქვეყნის სამსახურში ჩადექი, ახლაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობ, იმათ დავალებებს ასრულებო.

ამან, ამ **დეკანოიძემ** — გიჩივლებო!

**შალვამ** — მიდი, მიჩივლე, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან შენს თანამშრომლობაზე, ვერ გამაჩუმებო!

☺

კარგი იყო!

**ვინ** გვემუქრება ისტორიით?

**ვინ** გვწამებს სამშობლოს ღალატს?

**ვინ** გვამუნათებს და გვიხსენებს წამდაუწუმ სინდის-ნამუსსა თუ პატიოსნებას?

**აგენტები!**

**მოღალატეები!**

**გაყიდულები!**

**ბოზები!**

**ჩათლახები!**

**მაგათ ისტორიამ რახანია, მიაფურთხა!**

# მაგათ ისტორიამ რახანია, მიაფურთხა!

## ეს საქართველოა! დედის გინებასა და მონის ძახილს არავინ შეეგუება!



**წვერმოშვებულმა კურკუმალ ვაითმა** — წუხელ დაგვარბიესო. ოფისში არასრულწლოვან შვილთან ერთად ვიმყოფებოდი, თავს ასამდე ადამიანი დაგვესხა, ოფისში შემოჭრას ცდილობდნენო.

**წვერმოშვებული კურკუმალ ვაითი** ხელს „ქართულ ოცნებას“ ადებს და უცხო ქვეყნების ელჩებს მოუწოდებს, გააკეთონ მძაფრი განცხადებები. არადა, **წვერმოშვებული კურკუმალ ვაითი იმაზე მეტად გადუპლეტდა, ვიდრე წვერის მოშვებამდე იყო.**

☺

მე არ ვიცი, ამათ თავზე ვინ დაესხა, არც იმას გამოვრიცხავ, თავადვე მოეწყოთ ყველაფერი, მაგრამ, თუ გამწარებული ხალხი მიუცვივდა, ვისაც დღედაღამ დედას აგინებენ, როგორ გავამტყუნო?

☺

**განაგრძობთ ჩათლახობას და ახვრობას? არ დაწყნარდებით და არ მოჯდებით ყველანი თქვენს ადგილებზე? კიდევ გაიბრიქებით გადაბერებული შუშა კიტრებივით? უარესს უნდა ელოდოთ!**

მე არ მინდა, მე და ჩემნაირებს სულაც არ გვსიამოვნებს ცემატყეპა და ,,კარ-აკოშკების“ მტვრევა, მაგრამ, როცა ადამიანებს სხვა გამოსავალს არ უტოვებთ, ყველაფერი საკუთარ ლაყე თავებს უნდა დააბრალოთ!

**ეს საქართველოა!**

**დედის გინებასა და მონის ძახილს არავინ შეეგუება!**

მაგას **წვერის მოშვება,** თავის გადაპარსვა და **კეზერას** ნაყიდი ლურჯი ჰალსტუხი არ შველის, ერთხელაც აგხევენ ლაჯზე და მერე დაიწყებ — რათაო?

გაგრძელება მე-20 გვერდზე

# მო გელა ნდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**

დასაწყისი მე-19 გვერდზე

# არადა, ეს ხუთი თვეც რავარი ასატანია?



**ეგეთი** უშინაარსო, **ეგეთი** ფუყე, **ეგეთი** დამქანცველი ცხოვრებაში არაფერი მომისმენია.

**ეგეთი** აბდაუბდა გამოსვლა თვით **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევსაც** კი არ ჰქონია.

აეგრე ჩიქორთულად ოდესღაც საქართველოში ჩამოსული **ჰინდირა ჰანდიც** კი ილაპარაკებდა.

არა, მართლა, რა დავაშავეთ?

განა რა ცოდვა გვაწევს ასეთი?

☺

ვინ უწერს **ეგეთ** იკლიკანტურ წინადადებებს? თუ არავინ უწერს, რატომ არ უწერს? თუ თვითონ ჯღაბნის, რატომ ჯღაბნის?

იქით ჯარისკაცებს აქეზებს — მე მესმის თქვენი განცდები ევროპიულ მომავალზეო.

რა განცდები, ქალო?!

საკუთარი ხმა აღარ გესმის და ვის განცდებსა და გულის ფანცქალზე ლაპარაკობ?!

ვამაყობ, იმათი შთამომავალი რომ ვარო. იმათიო, მენშევიკებისაო, საქართველოდან რომ მოძუძგეს და სადღაც გადაიხვეწნენ. **ეს კიდე ამაყობს.**

იმათი შთამომავალია, ჭავჭავაძემ რომ უთხრა — ილია ვარ, არ მესროლოთო და უპასუხეს — ილია რომ ხარ, ამიტომაც უნდა გესროლოთო!

ეს ის არი, ზვიად გამსახურდიას დამხობას რო მიესალმა ფრანციიდან და კანონიერი ხელისუფლების დამხობა დემოკრატიის გამარჯვებად მონათლა.

დიახ, ის მოღალატეა, **2018-ში ბიძინა ივანიშვილის დანახვაზე კუთხეში რომ იძუძგებოდა და ვიღაცებს ეკითხებოდა — ჩემზე როგორი აზრის არისო?**

ახლა ჰგონია, კოჭი უკვე ალჩუზე უზის, მაგრამ ხუთ თვეში მაგისი „დუხი“ აღარ იქნება საქართველოში და საქართველოს ისტორიაში!

**არადა, ეს ხუთი თვეც რავარი ასატანია?**



**პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი მსხილაძე**

# სალომე ბაბოს საპარლამენტო დივანი

როცა **სალომე ბაბომ** პირველი ტური თითქმის წააგო, შევშფოთდი და მეორე ტურში საომრად სიღნაღში ჩავედი. რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად. ახლა აღარ მოვყვები, როგორი სურათი დაგვხვდა, რა გავაკეთეთ და როგორ მოვიგეთ. **არადა, იმისათვის ვირბინე ქვემო მაჩხაანის, ტიბაანის, ჯუგაანისა და სხვა სოფლების ორღობეებში, რომ ეს ტიპი მომჯდარიყო კაი მსუყეხელფასიან ალაგზე და უაზროდ ებლაყუნა?**

☺

ნუთუ ამ გაჭივრებული საპარლამენტო დივანისათვის ვიბოდიალე და ვეხვეწე ნაცნობ-უცნობებს — **სალომე ბაბო აირჩიეთ, დაგიფასდებათ, უმადური ქალი არ არი-მეთქი? ერთი-ორმა კი მესროლა რეპლიკა — არ გინდა „რიჟა ბაზარიო“, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვაწვებოდი.**

ახლა ისევ წამომაძახებენ ხოლმე — ჯოოო, გახსომს, მაშინ რა გითხარითო?

ჰო, მახსომს, მაგრამ სხვა არჩევანი მქონდა? — ვიმართლებ წამდაუწუმ თავსა.

☺

**ამას ეკითხებიან** — გამჭვირვალობის კანონში რა არ მოგწონს, შრიფტიო?

**ამან** — ეგ კანონი მისაღები არ არიო!

**იმათ** — რატომო?

**ამან** — იმიტომო!

მოლა გამახსენდა, ფლავს რო ჭამს და ეკითხებიან — რას ჭამო?

**იმიტომო!**

რა **იმიტომ,** ეგ რანაირი პასუხიაო?

მე რომ მეთქვა, ფლავს ვჭამ-მეთქი, თქვენ მკითხავდით, **რატომო?**

მე გეტყოდით — **იმიტომო!**

☺

არადა, ანრი ოხანაშვილის ადგილას მე კითხვას პირდაპირ დავსვამდი — **ბებიაშენისას რატომ ჭამო?**

# იმაზე კარგი, იმაზე დიდი!



განა ეგეთ ხიდს ნაცები ვერ გააკეთებდნენ?

გააკეთებდნენ, მაგრამ თავიანთებურად — **ერთ-ორ განიერ ფიცარს გადებდნენ, ევროკავშირისა და უკრაინის დროშების ფერებში შეღებავდნენ, სენატორ ჯონ მაკეინს მოიწვევდნენ, ფოტიგასა და გიჟუამანტასს ჩამოიყვანდნენ, რუსთაველზე პარადს გამართავდნენ და გამოაცხადებდნენ, რომ ამ ხიდით რუსეთი დაამარცხეს.**

მერე **მიხა** გავარდებოდა ბათუმში, ჩახტებოდა აუზში, მოითხოვდა ქალს, რომელსაც ძუძუს მოაჭამდა და ეს ამბავი რომ არ გახმაურებულიყო, რომელიმე ბიზნესმენს დაურეკავდა — ბინა უყიდე და მანქანაც მიუგორეო.

☺

რა იქნებოდა ხიდის გახსნამდე?

ჯერ ერთი, **მიხა სააკაშვილი** ხიდის მშენებლობას, ანუ ფიცრების გადებას რომელიმე ბიზნესმენს ან ბიზნესმენებს შეტენიდა და დაჰპირდებოდა, რომ ფულს გახსნის მერე ჩაურიცხავდა, აი, ისე, როგორც სიღნაღი გაარემონტა და პრეზიდენტის ე.წ. სასახლე ააშენა.

☺

**რა იქნებოდა შემდეგ?**

რა იქნებოდა და ბიზნესმენებს ფულს აღარ ჩაურიცხავდნენ, გადააგდებდნენ, ზოგი თავს მოიკლავდა **თემურ ჩარკვიანივით,** ვინც არ მოიკლავდა, სიკვდილამდე მიიყვანდნენ **ვალერი გელაშვილივით.**



☺

**ახლა კი... ახლა, რა?**

ააშენეს, არავინ შეუწუხებიათ, არავის თავი არ მოუკლავს, არავინ უცემიათ, გახსნეს... თანაც, ორი განიერი ფიცარი კი არ გადეს, კაპიტალურად ააშენეს, ევროპული სტანდარტებით. ანუ, როგორც **იოსებ გრიშაშვილი** იტყოდა,

**იმაზე კარგი და იმაზე დიდი... ნაცების ჯანების გასამაგრებლად!**



# წავიდა ჰე...

მართალია, ეს არსება **ხელიდანაც წავიდა და ქვეყნიდანაც,** მაგრამ სრულად ასახავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლთა მდგომარეობას — როგორც სულიერს, ისე ფიზიკურს.

**მე არავის დავცინი, არც ტანისამოსზე ვამახვილებ ყურადღებას, არც „ზონტიკზე“, არც „კალოშებზე“, უბრალოდ, ვწუხვარ, რომ ამ ქვეყანაში ოპოზიცია დახვეწა-გაუმჯობესების ნაცვლად, უკიდურესად ჩამყაუდა.**

მას შემდეგ, რაც საბჭოთა სისტემა გადავარდა, ყველა სახის ოპოზიცია ვნახე, ყველას შინაარსი შევისწავლე, ყველას გარეგნობას დავაკვირდი. თითქმის ყველას ჰქონდა რაღაც ნაკლოვანება და გადახრები, მაგრამ დღევანდელი როა, ეგეთი არაფერი მინახავს და სულ რაღაც სამი სიტყვით შეგიძლია დაახასიათო: **ძონძი, ჭუჭყი, ტლაპო!**

ისე, რაღა დაგიმალოთ და... **როცა ადამიანი ხელიდან მიდის, ქვეყნიდანაც უნდა წავიდეს.**

წესია ეგეთი!

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-23

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***




# შევარდნაძის საიდუმლო

**შევარდნაძე** თავის მოგონებებში განსაკუთრებული სითბოთი ლაპარაკობს **ბუშის** პრეზიდენტობისას სახელმწიფო მდივან **ჯეიმს ბეიკერზე.** როგორც ვიცით, შევარდნაძე ნაპუტჩარ საქართველოში „მეორედ მოსვლისას“ სწორედ „ბეიკერის მეგობრის“ ერთობ მითოლოგიური სტატუსით გამოგვეცხადა, ანუ ეს თუ გადაგვარჩენს — თვით ბეიკერის მეგობარიაო!

აი, რას წერს მემუარისტი **ბეიკერთან** მეგობრობაზე:

***„1989 წლისთვის ჩემსა და ბეიკერს შორის მეტად უნიკალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჩვენ მხოლოდ საქმიანი პარტნიორები კი არა, მეგობრები ვიყავით და სისტემატურად ვხვდებოდით ერთმანეთს. ეს მეგობრობა კეთილად წაადგა ჩვენს ქვეყნებს“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 161).*

როგორც ხედავთ, მემუარისტისთვის, რომელმაც ეს ტექსტი საბჭოთა კავშირის გაქრობიდან ათეული წლის შემდეგ დაწერა, საბჭოეთი მაინც **„ჩვენი ქვეყანაა“!**

გარდა ამისა, როცა **შევარდნაძე** ამბობს, ჩემი და ბეიკერის მეგობრობა კეთილად წაადგა ჩვენს ქვეყნებსო, ეს, რბილად რომ ითქვას, ძალიან სამარცხვინოა: ამერიკას მართლაც კეთილად წაადგა ბეიკერ-შევარდნაძის მეგობრობა — საბჭოთა იმპერიამ ფეხები გაფშიკა, მაგრამ შევარდნაძის მშობლიური სსრკ-სთვის როგორ დამთავრდა ეს მეგობრობა კეთილად, როცა, როგორც ზემოთ ვთქვი, მის ხელში საბჭოეთი გარდაიცვალა?!

**შევარდნაძე** ასეთი დეტალის გახსენებით განამტკიცებს **ბეიკერთან** მეგობრობას:

***„ერთხელ, როცა ვაშინგტონში ჩავედი, სახელმწიფო დეპარტამენტში საუბრისას ბეიკერმა მითხრა:***

*— რა არის, სულ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში რომ ვხვდებით?! არ გინდა, ულამაზეს ადგილას წაგიყვანო, სადაც ვილა ავიშენე?! ვიცი, რომ შენი ქვეყანა ლამაზია, მაგრამ ეს ამერიკაში გამორჩეული ადგილია და მინდა გაჩვენო.*

*— სად? — ვკითხე.*

*— ვაიომინგში, — მიპასუხა.*

*ოთხ-ხუთ საათში ჩავფრინდით“ (იქვე, გვ. 161).*

ჰოდა, ვაიომინგში, ბეიკერის მდიდრულ ვილაზე, თვალწარმტაცი ტბის პირას, ბუნებაში, მასპინძელმა და სტუმარმა, როგორც შევარდნაძე ამბობს, მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობების უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების საქმეში.

რაც შეეხება **ბეიკერის** ნათქვამს — **ვიცი, შენი ქვეყანა ლამაზია, მაგრამ ვაიომინგიც თვალწარმტაციაო** — ძალიან შეცდებით, თუ საქართველოს სილამაზეს იგულისხმებთ: აქაც საბჭოთა კავშირის სილამაზეზეა ლაპარაკი — **შევარდნაძემ ბეიკერი საპასუხო გულითადი მასპინძლობისთვის ბაიკალის ტბაზე მიიპატიჟა.**

ამის შემდეგ მემუარისტი იხსენებს, როგორ აჩუქა **ბეიკერმა** რეზინის ჩექმები:

***„მოლაპარაკების შემდეგ ვითევზავეთ. ბეიკერმა სათევზაო რეზინის ჩექმები მაჩუქა, რომელსაც დღემდე ვინახავ. მან ერთი ჭიჭყინა დაიჭირა, მე — არაფერი, მაგრამ პოლიტიკური ნადავლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო“*** *(იქვე, გვ. 162).*

სიმბოლურია ძალიან: **„პოლიტიკური ნადავლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო“** — შევარდნაძეს სამახსოვრო რეზინის ჩექმები, ბეიკერს და ამერიკას — სსრკ-ის გაქრობა!

და სანამ **ბეიკერ-შევარდნაძის** ბაიკალურ რანდევუზე მოგახსენებთ, ბარემ, აქვე დავხუროთ ამ ორი პერსონის მეგობრობის თემა: **ბეიკერისთვის შევარდნაძე არავითარი მეგობარი არ იყო — მისთვის შევარდნაძე გახლდათ „ბოროტების იმპერიის“ საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც უნდა დაეყოლიებინა საბჭოთა იმპერიის დასასუსტებლად!**

**ბეიკერი** რეიგანის მიმდევარი პოლიტიკოსი და დიპლომატი გახლდათ და თუ შევარდნაძეს „მეგობრობით“ და თავის ვილაში მიპატიჟებით თავი მოუქონა, ესეც ამერიკის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად გააკეთა და არა — ძვირფასი ედუარდ ამბროსოვიჩისადმი ნაზი, მეგობრული თრთოლვის გამო!

და როდესაც შევარდნაძე აღარ იყო საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი თავკაცი, 2003 წელს სწორედ **„მეგობარმა ბეიკერმა“** დაუდო წინ საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს ე.წ. **„ბეიკერის გეგმა“,** რაც, სხვა არაფერი იყო თუ არა, საპარლამენტო არჩევნებში შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ დამარცხებისა და **სააკაშვილ-ჟვანიას** ოპოზიციისთვის ხელისუფლების გადაბარების ფორმულა!

და ამიტომაც იყო, რომ შევარდნაძე ისე გაბრაზდა მის ჩამომწერ „მეგობარ ბეიკერზე“, რომ მის სატელეფონო ზარებსაც აღარ პასუხობდა...

რაც შეეხება **შევარდნაძე-ბეიკერის** ბაიკალურ რანდევუს, მემუარისტი ასე იხსენებს ამ ამბავს:

***„ჩავფრინდით ირკუტსკში, მერე იქიდან ვერტმფრენით — ბაიკალზე. ბეიკერი აღფრთოვანდა ბაიკალის სილამაზით — საოცრებააო. მე ვუთხარი — ბაიკალი რუსეთისთვის იგივეა, რაც ამერიკისთვის ვაიომინგი-მეთქი. ვითევზავეთ. ისევ უშედეგოდ. ბეიკერი მონღოლეთში მიფრინავდა, მე — მოსკოვში. სწორედ აქ, წასვლის წინ მითხრა: „ვაშინგტონიდან შემატყობინეს, რომ ერაყი ქუვეითში აპირებს შეჭრას“*** *(იქვე, გვ. 163).*

შეგახსენებთ, ეს 1990 წელს ხდება, როდესაც **ერაყ-ირანის სისხლისმღვრელი ომი** მიმდინარეობს და **სადამ ჰუსეინმა** ახლა უკვე ნავთობით დასავლეთის მომმარაგებელი ქუვეითის მისაკუთრება გადაწყვიტა.

მოკლედ, შევარდნაძეს მონღოლეთში გაფრენილმა **ბეიკერმა** ტელეფონზე უთხრა — უკანა გზაზე იქნებ მოსკოვში, „ვნუკოვოს“ აეროპორტში, საიდუმლოდ შემხვდეო:

***„მეორე დღეს მირეკავს: „მოსკოვში უნდა ჩამოვფრინდე, არ მინდა, გახმაურდეს და იქნებ „ვნუკოვო-2“-ის აეროპორტში დახვედრა შეძლო.***

***დავხვდი. პატარა ოთახში დავსხედით. შეწუხებულმა მითხრა:***

***— ერაყის ჯარებმა უკვე გადალახეს ქუვეითის საზღვარი, დაზვერვა მართალი აღმოჩნდა.***

***— რა შეგვიძლია გავაკეთოთ?***

***— ჩვენ დავიცავთ ქუვეითს, მაგრამ ეს გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა გაკეთდეს, რათა ისლამურმა სამყარომ სხვანაირად არ გაიგოს. ჩვენ გვჭირდება საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა უშიშროების საბჭოში და, თანაც, რაც შეიძლება სწრაფად“*** *(იქვე, გვ. 163).*

როგორც ხედავთ, შევარდნაძე არც მალავს, რომ **ბეიკერის** ამერიკული ინსტრუქციებით მოქმედებდა ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციისას!

და ამას ასე ამართლებს:

***„(ბეიკერს) დავეთანხმე. აშკარა აგრესია იყო და, თუმცა, საბჭოთა კავშირს ერაყთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, აგრესორს ვერ დავიცავდით. რაც ყველაზე მთავარია, ერაყმა ეს ნაბიჯი ჩვენს ზურგს უკან გადადგა — იცოდა წინააღმდეგი რომ ვიქნებოდით, ამიტომ ერაყთან სერიოზული არგუმენტი გვქონდა იმის თაობაზე, რატომ უნდა დაგვეჭირა მხარი ამერიკისთვის.***

***ბეიკერს დახმარების პირობა მივეცი. ჩემს თავზე ავიღე ყველაფერი — დარწმუნებული ვიყავი, გორბაჩოვი ამის წინააღმდეგი არ წავიდოდა“*** *(იქვე, 163).*

რა თქმა უნდა, ერაყის შეჭრა ქუვეითში არანაირ სამართლებრივ ჩარჩოში არ ჯდებოდა — ეს კლასიკური აგრესია და სამხედრო ინტერვენცია იყო!

მაშინ **სადამ ჰუსეინი** ამას ასე ხსნიდა: ქუვეითი ერაყის ისტორიული პროვინციაა და ამიტომაც ვიბრუნებთ ჩვენს კუთვნილ მიწასო!

ჰოდა, როდესაც **სადამ ჰუსეინის** სამხედრო აგრესიით აღშფოთებული შევარდნაძე ორივე ხელით ემხრობოდა ბეიკერის ანტიერაყულ ამერიკულ გეგმას, 9 აპრილის და ბაქოს ტრაგედიაც მომხდარი იყო, ანუ **შევარდნაძის საბჭოთა იმპერია სისხლიან კალოს უწყობდა მის დამონებულ ხალხებს და თან აღშფოთებული იყო ერაყის თითქმის იდენტური ველურობით ქუვეითში!**

მოკლედ, **შევარდნაძისა და გორბაჩოვის** შეთანხმებისამებრ, საბჭოთა კავშირმა გაეროს უშიშროების საბჭოში მხარი დაუჭირა ამერიკის რეზოლუციას, რომლითაც დაიგმო ერაყის აგრესია ქუვეითში და მოეწოდა **სადამ ჰუსეინს,** სასწრაფოდ გაეყვანა ჯარები და დაესრულებინა ოკუპაცია!

პარალელურად, **შევარდნაძემ** ერაყიდან იქ მომუშავე ათასობით საბჭოთა მოქალაქის გამოყვანის ოპერაცია განახორციელა:

***„ერაყში ჩემი თანამშრომლები გავაგზავნე და სადამ ჰუსეინს შევუთვალე, თუ სასწრაფოდ არ დაიწყებოდა ერაყიდან ჩვენი მოქალაქეების გამოყვანა და ის ამას ხელს არ შეუწყობდა, კონფლიქტში ჩვენც ჩავერთვებოდით, ამერიკელები კი ბაღდადში შევიდოდნენ. მართლაც, ერთობ სწრაფად და უდანაკარგოდ მოხდა ჩვენი მოქალაქეების ევაკუაცია“*** *(იქვე, გვ. 165).*

როგორც ცნობილია, **სადამ ჰუსეინმა** ფეხებზე დაიკიდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციაც, შეგონებები ქუვეითიდან ჯარების გამოყვანის შესახებ და ამერიკის მიერ შეკრულ 34-სახელმწიფოიანმა კოალიციამ „უდაბნოს ქარიშხლად“ წოდებული სამხედრო ოპერაცია წამოიწყო!

ერაყის არმია რამდენიმე დღეში გამოაბუნძულეს ქუვეითიდან, თუმცა, მაშინ ბაღდადის აღება არ უცდიათ!

ეს მხოლოდ **ჯორჯ ბუშ-უმცროსის** პრეზიდენტობისას მოხდა, როდესაც **უსამა ბინ ლადენის** ისლამისტი ტერორისტების მიერ ნიუ-იორკის ტყუპი ცათამბჯენების აფეთქების საპასუხოდ, ამერიკა ჯერ ერაყში შეიჭრა და **სადამ ჰუსეინი** ჩამოახრჩო, შემდეგ ავღანეთსაც მიადგა!

უკვე **ობამას** პრეზიდენტობისას პაკისტანში გაქცეული **უსამა ბინ ლადენიც** სპეცოპერაციისას მოკლეს.



ედუარდ შევარდნაძე და ჯეიმს ბეიკერი

## ედუარდ შევარდნაძე: ბეიკერმა რეზინის ჩექმები მაჩუქა, რომელსაც დღემდე ვინახავ!

***გიორგი გიგაური***

*— გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებით მხოლოდ ბრძოლის პირველი რაუნდი დასრულდა, — აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების პროგნოზს გვთავაზობს:*

# „მოთმინებით უნდა აღვივსოთ და მივცეთ საშუალება ბიძინა ივანიშვილს, ბოლომდე მიიყვანოს ის საქმე, რაც 12 წლის წინათ ჩაიფიქრა!“



— რადგანაც კანონი მიღებულია, თავს ნუ დავიმშვიდებთ, წინ არანაკლებ რთული დღეები გველის! 6 ივნისს ახალმთვარეობაა და თვის ბოლომდე ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იქნება! მოიმატებს დაძაბულობა, შეიძლება, მოხდეს კარდინალური ცვლილებები ადამიანთა კარიერაში, ბიზნესში, პირად ურთიერთობებში... დიდი იქნება ეკოლოგიურ-ტექნოგენური კატასტროფების ალბათობაც, თუმცა, ამავდროულად მთავრობას მიეცემა საშუალება, თავისი იდეები განახორციელოს და **კორექცია შეიტანოს მასმედიის მუშაობაში, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად და არასასარგებლოდ მუშაობს სამთავრობო სტრუქტურებისთვის.** გამარჯვების პლანეტა იუპიტერი ტყუპების ზოდიაქოშია გადასული. ტყუპები კი მასმედიას მართავს და კარგი პერიოდია რეფორმებისთვის.

ივლისში დედამიწა ენერგიულ პოზიტიურ ველში გადადის და სიტუაცია შედარებით დამშვიდდება, თუმცა, დაძაბულობა სექტემბერ-ოქტომბერში გველის, როდესაც ე.წ. ოპოზიცია დასავლეთის ფსევდოლიბერალ ძალებთან ერთად საბოლოო იერიშს მიიტანს ხელისუფლებაზე.

პირდაპირ გეტყვით — ბიძინა ივანიშვილმა ძალიან საინტერესო ტაქტიკა აირჩია ქვეყნის გადასარჩენად. 12 წლის განმავლობაში სხვებთან ერთად მეც ვიყავი „ქართული ოცნებით“ უკმაყოფილო, ბევრი რამ არ მომწონდა. მიკვირდა, რატომ არ დგამდა მკაცრ ნაბიჯებს დამნაშავე ნაციონალების დასასჯელად და ა.შ. **ახლა ვხვდები, რომ ეს დასავლეთისთვის დაგებული მახე იყო მათი ყურადღების მოსადუნებლად.**

**— რა ტაქტიკაზე საუბრობთ, იქნებ უფრო გასაგებად ავუხსნათ საზოგადოებას?**

— ბიძინა ივანიშვილი მთავრობაში დასავლეთმა და ევროკავშირმა ერთი პირობით მოიყვანა — ნაციონალურ მოძრობას, რომელიც მათი გამოზრდილი აგენტებისგან შედგება, ხელს არ ახლებდა. გამოაცხადებდა კოჰაბიტაციას, ნელ-ნელა გააძლიერებდა ლგბტ ჯგუფებს და გააკეთებდა იმას, რასაც ოკეანის გაღმიდან და ევროპიდან უბრძანებდნენ.

მას საოცრად ძლიერი ინტუიცია აქვს. ზოგადად, ზოდიაქოს ნიშნებში მერწყული ყველაზე კარგად თვლის შემდგომ ნაბიჯებს. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებს ხშირად ვერ უგებენ, რადგან მათი აზროვნება დაახლოებით 10-15 წლით წინ უსწრებს სხვების აზროვნებას. რასაც დღეს ამბობს მერწყული, ამას ჩვენ 10 წლის შემდეგ გავიგებთ. **დღეს უკვე გასაგებია ჩემთვის, რა ჩაიფიქრა 12 წლის წინათ ბიძინა ივანიშვილმა.**

**— მაინც?**

— ჩვენი ქვეყანა მთლიანად იმართებოდა შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ. საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი იყო, არ გადაედგა მკვეთრი ნაბიჯები და დათანხმებოდა პროექტს, რომელსაც მაშინ შტატები და ევროკავშირი გვთავაზობდა. გარდა იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი ძალიან ჭკვიანი და შესანიშნავი ინტუიციის მქონე ადამიანია, როგორც ვიცი, რუსეთში ცხოვრების დროს მას ჰქონდა საკმაოდ კარგი ურთიერთობა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ასტროლოგთან **პაველ გლობასთან.** არ გამოვრიცხავ, მასთან ამ საკითხებთან დაკავშირებითაც ჰქონოდა საუბარი და რჩევები მიეღო, რომ სწორედ 12 წლის შემდეგ, 2025 წლიდან, დაეწყო სერიოზული ცვლილებები საქართველოს სუვერენიტეტისთვის!

**— რატომ 12 წელი?**

— ეს არის პლანეტა იუპიტერის ციკლი. **12 წელიწადში ერთხელ გამარჯვების პლანეტა იუპიტერი აკეთებს ერთ სრულ ბრუნს და უბრუნდება საწყის ეტაპს, ანუ**

## 2025 წლიდან ბიძინა ივანიშვილს აქვს კარგი შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელოს. ის რომ ზვიად გამსახურდიასავით გაჯიუტებულიყო და ეთქვა – ჩვენ გვინდა სუვერენიტეტი, არ გვინდა, ვინმეზე დამოკიდებული ვიყოთო, მიიღებდა იმ პასუხს, რაც ზვიად გამსახურდიამ მიიღო ჯორჯ ბუში უფროსისგან.



ამიტომაც ბიძინა ივანიშვილი დიდ მსხვერპლზე წავიდა. რასაც ამერიკელები და ევროპელები უბრძანებდნენ, ფაქტობრივად, ყველაფერს აკეთებდა — დათანხმდა კოჰაბიტაციას, არ შეუშალა ხელი მათი ინტერესების გატარებას განათლების სისტემაში, სასოფლო-სამეურნეო სფეროში, მასმედიაში. საბანკო სისტემა ხომ ისედაც მათ ხელში იყო... წინ რომ ვერ წავიწიეთ, მეტიც, დაკნინდა ჩვენი მეცნიერება, განათლება, სოფლის მეურნეობა და ა.შ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს იყო. ისინი ფლობენ დღეს ჩვენს ეკონომიკას, ისინი კარნახობენ ჩვენს ეროვნულ ბანკს, რამდენი უნდა დაიბეჭდოს ფული და რა პროცენტები უნდა იყოს... ამ ყველაფერზე ბიძინა ივანიშვილმა თვალი დახუჭა, არ ახლო ხელი ოპოზიციას და მათ მიერ დაგროვილ კაპიტალს. უცხოელების ყურადღება მოადუნა.

**— რა კავშირშია ეს ყველაფერი დღევანდელ მოვლენებთან?**

— გეოპოლიტიკური კუთხით დღეს სულ სხვა სურათი გვაქვს. მართალია, ევროპა და ამერიკა ჯერჯერობით გარკვეულ ძალას ინარჩუნებს, მაგრამ ფაქტია, რომ ახლო მომავალში ევროკავშირშიც სერიოზული ცვლილებები იქნება. ივნისის არჩევნების შემდეგ უკვე დავინახავთ კონსერვატიული ფრთის გაძლიერებას. გარდა ამისა, ივლისიდან ევროკავშირის ახალი თავმჯდომარე საქართველოს დიდი მეგობარი და კონსერვატიული ლიდერი **ვიქტორ ორბანი** ხდება. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ არჩევნებია შეერთებულ შტატებშიც. თუ **ტრამპი** არ მოკლეს, თუმცა, ვთვლი, რომ ამის ალბათობა ნაკლებია, ის მოიგებს არჩევნებს! ტრამპი არის ტყუპების ზოდიაქოს ნიშანში დაბადებული, რომელშიც ახლა გამარჯვების პლანეტა იმყოფება, ხოლო 15 ივნისიდან მას წლის ბოლომდე მფარველი ანგელოზი სელენაც შეუერთდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვს და კიდევ უფრო გაძლიერდება კონსერვატიული ფლანგი. მსოფლიოში გავრცელებული საეჭვო ლიბერალიზმის დღეები დათვლილია! სხვათაშორის, ამას თავადაც ხვდებიან და ამიტომაც აქვთ აგონია.

ბიძინა ივანიშვილმა 29 აპრილს აქციაზე სიტყვით გამოსვლისას ზუსტად ის გაახმოვანა, რასაც მე ვამბობ — მოთმინების, კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნის 12-წლიანი ციკლი სრულდება და იწყება ქვეყნის სუვერენიტეტისთვის ბრძოლაო. მან ამისთვის ძალიან კარგი პერიოდი შეარჩია. ცხადია, ჩვენ გვინდა, შტატებიც, ევროპაც, ოღონდ თანასწორი უფლებებით და არა მონური დამოკიდებულებით. სამწუხაროდ, ბევრს, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ **სალომე ზურაბიშვილს** იმდენად დაბინდული აქვს გონება, რომ გამოდის და ამბობს, ევროპას არასოდეს ომი არ დაუწყიაო. ევროპის ისტორია არ იცის, თუ ჩვენ ვგონივართ პაპუასები?!

ევროპას ჩვენ დღეს იქით ვჭირდებით, მეტიც, ევროპის მომავალი საქართველოზე გადის. აქედან დიდძალი ფერადი ლითონები და მადნეული გააქვს.

## მიხეილ ცაგარელი:

# ნუ გჯერათ ბლინკენების და სულგაყიდული ევროპელების, რომლებიც ერთი წლის შემდეგ პოლიტიკურ სარბიელზე აღარ იქნებიან!

### კვირგვინოსნები

**ნინო კასრაძე**
*მსახიობი*



გვახსოვდეს ჩვენი წარსული, **კარგად გავაანალიზოთ ყველაფერი** და მომავალში კიდევ უარესი შეცდომები აღარ დავუშვათ, თორემ **უსამშობლოდ დავრჩებით!**

„კვირის პალიტრა“

**ნიკუშა შენგელაია**
*მხატვარი*



დადგა დრო, როცა არის ცდა იმისა, რომ **დამოუკიდებლობა დაგვაკარგვინონ.** ევროპარლამენტარების დირექტივები საბჭოთა კავშირის დროს მაგონებს, როცა მითითებები მოსკოვიდან მოდიოდა. სწორედ იმ ევროპარლამენტარებს მივმართავ: **დირექტივები და თითის ქნევები არ გამოუვათ!**

„კვირის პალიტრა“

**ილია ფანიაშვილი**
*ფერეიდნელი ქართველი*



მე აქ დავიბადე და ძალიან გამიმართლა. შეიძლება ითქვას, **პირველი ფერეიდნელი ვარ, რომელიც საქართველოში დაიბადა.** საქართველოს იქით არსად არ ვაპირებ ცხოვრებას.

„კვირის პალიტრა“

**თემო გვალია**
*მსახიობი*



გთხოვთ, **„თუმანიშვილის თეატრის“** ლანძღვას თავი დაანებოთ! გაიშალა პლაკატები **„არა რუსულ კანონს“,** ეს იყო ამ სპექტაკლის მონაწილეების **ინდივიდუალური გადაწყვეტილება,** რასაც **თეატრის გარკვეული ნაწილი არ იზიარებს და არ ემხრობა!**

„აიპრესი“



# „დააკვირდით საუბრის დროს ირაკლი კობახიძის თვალებს – რამდენი ხანი არ ახამხამებს. შეუძლია, დიდხანს, მშვიდად თვალებდაუხამხამებლად, უყუროს ადამიანს!“

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მთლიანად ზის ჩვენს საბანკო სისტემაზე და უზარმაზარი ფული მიაქვს. **როგორ ფიქრობთ, ევროპამ ჩვენი სიყვარულის გამო დააწესა ვიზალიბერალიზაცია?**

**— არა?**

— იაფი მუშახელი სჭირდებოდა და ამიტომ შეუშვა ათიათასობით ქართველი. კაპიკებზე ამუშავებს მათ. ევროპას გაფართოება სჭირდება და სხვანაირად მისი ბიზნესი ვერ განვითარდება.

კიდევ ერთხელ ავხსნი მათთვის, ვინც ცრუ პოლიტიკური ილუზიებით ცხოვრობს, რატომ არის საქართველოს გამო ამხელა აჟიოტაჟი ატეხილი. **პირველი:** რაკილა ჩინეთს შეეზღუდა რუსეთიდან ტრანსპორტირება, სხვა გზა სჭირდება, ეს გზა კი საქართველოზე გადის. როგორ გგონიათ, რატომ ააშენა ჩინეთმა ჩვენი ავტობანი? პირველ რიგში, საკუთარი ტრაილერებისთვის. ყაზახეთი, აზერბაიჯანი და საქართველო უნდა იყვნენ მათი ძირითადი ტვირთების გამტარები! **მეორე:** ინდოეთი სომხეთ-საქართველოს გავლით აპირებს თავისი ტვირთების გაშვებას ევროპაში. ის ძალიან დიდ პორტს აშენებს ირანში საკუთარი ტვირთბრუნვისათვის. და **მესამე:** რუსეთსაც უნდა, თავისი ტვირთი ევროპაში საქართველოს გავლით გაუშვას. მას დღესაც აქვს სავაჭრო კავშირი ევროპასთან და ამ ქვეყანაში მასაც სხვებივით სიმშვიდე აწყობს.

**ცხადია, ეს ყველაფერი არ შედის შეერთებული შტატების ინტერესებში. მისი მიზანია, საქართველო იყოს არა ტვირთბრუნვის ერთ-ერთი მთავარი ჰაბი, არამედ რუსეთის გამაღიზიანებელი ქვეყანა.**

ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, რომელიც, ეგონათ, მუჭში ჰყავდათ, უცებ გაჯიუტდა, კონსერვატიულ-ტრადიციულ ლიანდაგზე გადავიდა. ეს, რა თქმა უნდა, მათ გეგმებში არ შედიოდა. ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ ურჩი მთავრობის დასასჯელად. არანაირ გზას აღარ ერიდებიან, მათ შორის, ახალგაზრდების გამოყენებას ქვეყანაში სიტუაციის ასარევად. არის დიდი ალბათობა, რომ შემოდგომაზე ტყვიის გავარდნამდეც მივიდეს საქმე!

შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს სულ სამი ეტაპი აქვთ შემუშავებული საქართველოს დასამორჩილებლად.

**— კერძოდ?**

— პირველი ეტაპი არჩევნებში გამარჯვებაა, თუმცა, ხედავენ, რომ ეს შანსი ნულის ტოლია. მეორე ეტაპი რევოლუციური გზებით ხელისუფლების შეცვლაა, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, რომ აქაც უჭირთ, კოვზი ნაცარში უვარდებათ. თუ ესეც არ გაამართლებს, მესამე ეტაპი რჩება — **ტერორი,** ანუ ის, რაც გაუკეთეს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრს!

საქართველოს პრემიერმა **ირაკლი კობახიძემ** გასაგებად ამცნო ხალხს ერთ-ერთი ევროკომისარის მუქარა, ამიტომ **ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი კობახიძე** და ყველა მნიშვნელოვანი პირი, რომელიც სახელმწიფოს ბედს წყვეტს, უნდა იყვნენ განსაკუთრებულად დაცულები. შეზღუდონ თავისუფალი გადაადგილება, მათ შორის, ჟურნალისტებთან კონტაქტი. არ არის გამორიცხული, ჟურნალისტმაც გაისროლოს ისევე, როგორც სლოვაკეთში ვიღაც მხატვარმა გაისროლა.

**— საინტერესოა, რას გვეუბნება ირაკლი კობახიძის ჰოროსკოპი?**

— კარგი ჰოროსკოპი აქვს. სასწორის ზოდიაქოშია დაბადებული, რომელიც ყველაზე მშვიდობიანი ნიშანია. გარდა ამისა, სასწორს ურთულეს საკითხებში შეუძლია კომპრომისების მიღწევა. მერწყული და სასწორი ყველაზე კარგი დიპლომატები გახლავან. **დააკვირდით საუბრის დროს ირაკლი კობახიძის თვალებს — რამდენი ხანი არ ახამხამებს. შეუძლია, დიდხანს, მშვიდად, თვალებდაუხამხამებლად უყუროს ადამიანს.**

**— ეს რას ნიშნავს?**

— როდესაც ადამიანი არ ახამხამებს თვალებს, ის მაგიპნოზირებელ გავლენას ახდენს მეორე ადამიანზე, მით უფრო, როცა მისგან მოდის მშვიდი ენერგია და სარწმუნო ლოგიკა. ირაკლი კობახიძე არის ძალიან ძლიერი, შინაგანი ბუნებრივი ენერგიის მატარებელი ადამიანი, რაც აძლევს საშუალებას, იყოს კარგი პოლიტიკოსი და არ გამოვიდეს წონასწორობიდან. **ვთვლი, რომ მომავალში ძალიან დიდი პერსპექტივები აქვს მას არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო ლიდერებთან ურთიერთობებშიც.** ფიზიონომიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი ეს თვისება წაადგება ქვეყანას.

ამიტომ მოთმინებით უნდა აღვივსოთ და მივცეთ საშუალება ბიძინა ივანიშვილს, ბოლომდე მიიყვანოს ის საქმე, რაც 12 წლის წინათ ჩაიფიქრა. მთავარია, მშვიდობით გავიაროთ შემოდგომა, როდესაც დასავლეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ყველაზე ძლიერ შეტევას მიიტანს. თუ **„ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და ბიძინა ივანიშვილი თავის დანაპირებს შეასრულებს — დასჯის ანტიქართულ ელემენტებს, ეჭვიც არ მეპარება, რომ საქართველოს რეალური ეკონომიკური და სულიერი აღორძინება დაიწყება.**

აქვე ერთი რჩევა მექნება ბიძინა ივანიშვილთან. თუ გვინდა, საქართველო წინ წავიდეს, არ იყოს ტყუპებივით გაორებული და ზედაპირული, სააკაშვილის პარტიული დროშაც უნდა შეიცვალოს და მასთან ერთად საქართველოს დაბადების თარიღიც! მესმის, იძულებული იყო, არ ეხლო დროშისთვის ხელი, რასაც ძალიან ხშირად მოვუწოდებდი, მათ შორის, თქვენი გაზეთის საშუალებითაც, მაგრამ ეს დღეს აუცილებლად გასაკეთებელია!

რაც შეეხება დაბადების თარიღს, იმ ხალხს, ვინც მაშინ სათავეში იყო და პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იზეიმა, არაფერი გაეგებოდა ასტროლოგიასა და ნუმეროლოგიაში, არადა, 26 მაისს მზე ტყუპების ზოდიაქოში იმყოფებოდა და ვარსკვლავები ჩვენ მხარეს არ იყვნენ. შედეგად — **საქართველოს ტყუპებივით გაორება დაებედა — ხან ერთის მხარეს ვართ, ხან — მეორის, რამაც აქამდე მოგვიყვანა.**

**— დაბოლოს, რას ეტყვით ახალგაზრდებს, რომლებიც ვაილექტორების ფეხის ხმას არიან აყოლილი და ქუჩაში დგანან?**

— ნუ გჯერათ ბლინკენების და სულგაყიდული ევროპელების, რომლებიც ერთი წლის შემდეგ პოლიტიკურ სარბიელზე აღარ იქნებიან. ეს მათი ბოლო გაფართხალებაა. დღეს გერმანიის ბუნდესტაგში, მოგეხსენებათ, რა თემაც განიხილება — დაუშვან თუ არა ბავშვების პორნოგრაფია. კიდევ ერთხელ ვამბობ — **ევროპა 2025 წლიდან რადიკალურად შეიცვლება და უფრო ჯანსაღი ურთიერთობა გვექნება მასთან.** თუ მანამდე უგუნური საქციელით ქვეყანა არ დაინგრა, 2025 წლიდან ერთად დავინახავთ იმ სასიკეთო ცვლილებებს, რასაც უკვე 12 წელიწადია, ველოდებით!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



## „თუ ტრამპი არ მოკლეს, თუმცა, ვთვლი, რომ ამის ალბათობა ნაკლებია, ის მოიგებს არჩევნებს!“

## „მსოფლიოში გავრცელებული საეჭვო ლიბერალიზმის დღეები დათვლილია!“

## კვირგვინოსნები



**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საქმეებში **არარეგიონული ქვეყნების ჩარევა** მიუღებელია.

„რეზონანსი“



**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*

არ არსებობს ერი, რომელსაც შეუძლია, **ასეთი ომი მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შეაჩეროს** — ჩვენ გვჭირდება მსოფლიო ლიდერების მონაწილეობა.

„ინტერპრესნიუსი“



**ურსულა ფონ დერ ლაიენი**
*ევროკომისიის პრეზიდენტი*

ევროკავშირი **უნდა მოემზადოს შესაძლო ომისთვის** და მიიღოს ზომები ერთობლივი შეიარაღებისთვის.

„ინტერპრესნიუსი“



**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი*

**ზელენსკიც** კი უკვე ეჭვებშია, **ჩემს ზურგს უკან რუსეთსა და დასავლეთს შორის** უკრაინაზე მოლაპარაკება ხდებაო.

„იმედინიუსი“



**პეტრე ცისკარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი*

**„არა რუსულ მთავრობას“ — ეს უნდა იყოს სლოგანი** და მერე ყველაფერი თავისი ლოგიკით განვითარდება.

„რეზონანსი“



იგორ კვესელავა:

# ქიული შარტავა საქართველოს პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა და, როგორც ჩანს, შევარდნაძემ ამის შესახებაც შეიტყო!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА***

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ***იგორ კვესელავა*** *ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის მიერ გროზნოში ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის ცერემონიალზე წარმოთქმულ სიტყვას იხსენებს და ინტერესდება, თუ რის საფუძველზე გამოაცხადა დუდაევმა საქართველოს პირველი პრეზიდენტი თვითმკვლელად:*

— ამ დღეებში 26 მაისი აღვნიშნეთ... 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არ სურდა არც **ნოე ჟორდანიას** და არც მის გუნდს. სამაგიეროდ, 26 მაისი უნდოდა კაიზერულ გერმანიას, რომელმაც საქართველო, ფაქტობრივად, თავის კოლონიად აქცია. ამაში დავრწმუნდებით, თუ გავეცნობით იმ ხელშეკრულებას, რომელიც 1918 წლის ივნისში გერმანიასა და საქართველოს შორის გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს პორტებს, რკინიგზას, სტრატეგიულ ობიექტებს მთლიანად გააკონტროლებდა გერმანული ჯარი... ამ ხელშეკრულების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის გერმანიის ხელისუფლებამ **აკაკი ჩხენკელი** „რკინის ჯვრით“ დააჯილდოვა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ 26 მაისი, ფაქტობრივად, ისტორიის ანაქრონიზმია, რადგან **საქართველო გაეროს წევრი გახდა ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმისა და 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის საფუძველზე,** მაგრამ, რადგან ზვიად გამსახურდია შევარდნაძემ მოკლა და ისტორიაში მისი სახელის მიჩქმალვას შეეცადა, **დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისი შემოგვიგდო.** შევარდნაძის შემდეგ ყველა მომდევნო ხელისუფლება ედუარდის მიერ გაკვალულ გზას ადგას და საქართველოს უახლესი ისტორიის გაყალბებას ცდილობს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ყველანი შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრენი არიან.

**— წინა ინტერვიუებში ბესარიონ გუგუშვილის შესახებ ვსაუბრობდით. საინტერესოა, ვიდრე დევნილობაში აღმოჩნდებოდნენ, რამდენად ერთგულობდა გუგუშვილი ზვიად გამსახურდიას?**

— **ბესარიონ გუგუშვილს** სტუდენტობიდან ვიცნობ. მამამისი **პაატა გუგუშვილი** ცნობილი აკადემიკოსი და კონსტანტინე გამსახურდიას მეგობარი იყო. გუგუშვილი გახლავთ ის პირველი ქართველი ხელისუფალი, რომელიც 1991 წლის დეკემბერში თავის შტაბბინაში ნატოს გენერალურმა მდივანმა **მენფრედ ვერნერმა** დიდი სიხარულით მიიღო. მან **ვერნერს** ქართული ხმალი აჩუქა. გუგუშვილი განსაკუთრებული პატივით მიიღო ავსტრიის კრონპრინცმა და ზვიად გამსახურდიას უახლოესმა მეგობარმა **ოტო ფონ ჰაბსბურგმა,** რომელიც ევროპის ერთიანობის დიდი მეხოტბე და მხარდამჭერი გახლდათ. **ეს შეხვედრები საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პერსპექტივებს სახავდა,** მაგრამ 1991 წლის 21 დეკემბერს ოპოზიციამ რუსთაველის პროსპექტიდან მანქანების გათრევა დაიწყო, რასაც სულ მალე ტყვიის გავარდნა და შეიარაღებული გადატრიალების დაწყება მოჰყვა. აი, ასეთ ვითარებაში გუგუშვილმა ნატოსა და ევროკავშირში ვიზიტი დაუყოვნებლივ შეწყვიტა და თბილისში ჩამოფრინდა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ დამალულა და მთავრობის სასახლეში ზვიადის გვერდით დადგა, რომელსაც ოპოზიცია უტევდა.

**ბესარიონ გუგუშვილი** მაშინაც ღირსეულად და სწორად მოიქცა, როცა ზვიად გამსახურდიას ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნება არამც და არამც არ ურჩია. მოგეხსენებათ, ვიდრე **ზვიად გამსახურდია** გროზნოდან ჩამოვიდოდა, სიტუაციის ინსპექტირებისა და შესწავლის მიზნით საქართველოში სწორედ გუგუშვილი დაბრუნდა. ხაზგასმით ვამბობ: გუგუშვილი სიტუაციას სწორად აფასებდა, მაგრამ, რაც მერე მოხდა, იქ უკვე **გუგუშვილისა და მარგველანის** ქმედება კრიტიკას ვერ უძლებს!

სხვათაშორის, სანამ **ბესარიონ გუგუშვილსა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** შორის ხელშეკრულება-შეთანხმება გაფორმდებოდა, ზვიადის მეუღლე აცხადებდა, რომ გამსახურდია გარემოცვის მიერ იყო მოკლული!

**— ქალბატონი მანანა მაინც ვის ადებდა ხელს?**

— იგი ხელს კონკრეტულ პიროვნებებს ადებდა და აცხადებდა, რომ ზვიად გამსახურდია გუგუშვილმა და მარგველანმა მოკლეს! უფრო მეტიც, გროზნოში გათამაშდა ასეთი სცენა — ქალბატონმა მანანამ დაუძახა **ბაჩუკი გვანცელაძეს,** გაიყვანა მეორე ოთახში და უთხრა — **თვითმკვლელის ცოლი მე არ ვიქნები... ამიტომ გამოდი და თქვი, რომ პრეზიდენტი შენ მოკალიო!** ამას მოჰყვა დიდი დაპირისპირება და გაწევ-გამოწევა **ბაჩუკი გვანცელაძესა და ცოტნე გამსახურდიას** შორის. აქ საინტერესოა ერთი მომენტიც — 1994 წლის 24 თებერვალს, როცა ზვიად გამსახურდიას გროზნოში ასაფლავებდნენ, სამგლოვიარო ცერემონიალზე **ჯოჰარ დუდაევმა** განაცხადა — **„ზვიად გამსახურდია ნებაყოფლობით წავიდა ამ ცხოვრებიდან!“** ნუთუ ჯოჰარ დუდაევიც დაარწმუნეს და მოატყუეს, რომ ზვიადმა თავი მოიკლა? დუდაევს ჰქონდა ყველანაირი ინფორმაცია და დავიჯეროთ, არ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში? ეს არის უაღრესად საინტერესო საკითხი, რომელიც სერიოზულ დამუშავებასა და შესწავლას საჭიროებს!

**— თქვენი აზრით, მაინც რა არგუმენტები დაუდეს ჯოხარ დუდაევს, რომ ასეთი რამ განაცხადა?**

— ამის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით! თავად **ბესარიონ გუგუშვილის** ჩვენებები და განცხადებები ზვიადის გარდაცვალების შესახებ ძალიან არეული და ურთიერთგამომრიცხავია. აი, მაგალითად, ის ერთგან ამბობს — **ტაშტის დავარდნის ხმა მომესმაო!** მეორეგან გვარწმუნებს — **როზიზონ მარგველანი მოვარდა და ზვიად გამსახურდიას, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, იარაღი ხელიდან გამოსტაცა, რათა პრეზიდენტს კიდევ არ გაესროლაო!** მესამეგან ამბობს — **სასწრაფოდ გავვარდი და ბიჭებს ვუთხარი — პრეზიდენტი, მგონი, ცუდად არისო!** ეს სამი სხვადასხვა ჩვენებაა, რომლებსაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებს, რადგან თავიდან ბოლომდე არის ტყუილი! კიდევ უფრო საინტერესოა გუგუშვილის ერთი განცხადება: *„ზვიად გამსახურდიას აღსასრული, ამ შემთხვევაში თვითმკვლელობა, ქრისტიანული თვალსაზრისით ცოდვად არ ჩაითვლება, რადგან ამ მკვლელობით, საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე, ადამიანმა სხვების სიცოცხლე გადაარჩინა!“* **გუგუშვილი** კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ეთანამშრომლა **კონსტანტინე გამსახურდიას** ხელმძღვანელობით შექმნილ კომისიასთან, რომელიც პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებებს იძიებდა და ასევე ეწინააღმდეგებოდა ამ კომისიაზე შევარდნაძის გამოძახებას! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **გუგუშვილი ცამდე მართალი იყო, როცა ზვიად გამსახურდიას ურჩია, გროზნოდან საქართველოში არ დაბრუნებულიყო,**




## კვირგვინოსნები

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



ერთადერთი, რაზეც შეიძლება „ქართულ ოცნებასთან“ მოლაპარაკებები, ეს არის **სამართლიანი არჩევნების ჩატარება და ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარება.**

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*პარტია „ახალი“ წევრი*



ძალიან მნიშვნელოვანია **ოპოზიციის ერთიანობა,** მაგრამ ვფიქრობ, არა **ერთიანი სია!**

„ახალი თაობა“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილი** ძირს უთხრის საქართველოს, **წყალს ასხამს რუსეთის და ყველა იმ მტრის წისქვილზე,** ვისაც უნდა, ეს ქვეყანა მუდმივ რყევებში იყოს.

„აიპრესი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



საკმარისზე მეტი დრო იყო, ჩვენს ოპონენტებს **ნიკოფსიიდან ვაშინგტონამდე** ერთი არგუმენტი მაინც მოეყვანათ და **კანონის რუსულობა დაემტკიცებინათ,** მაგრამ ვერ განმარტეს. **რატომ? იმიტომ.**

„პირველი არხი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



ახლა, ალბათ, ყველაზე მეტად ვინც უნდა ინერვიულოს, **მიშა სააკაშვილია,** რომელსაც თურმე ამდენი ხანი იმიტომ არ იწყალებდა **სალომე ზურაბიშვილი,** რომ მისი ადგილის დაკავება სურდა.

„პირველი არხი“



ჟიული შარტავა, ჯუმბერ პატიაშვილი, ედუარდ შევარდნაძე

**„როცა შევარდნაძემ 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულება გააფორმა და აფხაზეთი, ფაქტობრივად, ჩააბარა, ცხონებულმა ჟიული შარტავამ ერთ ვიწრო თავყრილობაზე ასეთი რამ გვითხრა — ცოტა ხანი მაცალეთ და მოგხედავთო!“**

**მაგრამ სხვა შემთხვევაში ამ კაცის ქმედება ათასი კითხვის ნიშნით არის სავსე!**

**— მაშინ რა გამოდის, როცა ლოთი ქობალია პრეზიდენტს უთვლიდა — ჩამოდი, ხალხი მზად არისო! — ლოთი ამ შემთხვევაში გაუაზრებლად მოქმედებდა?**

— ჩვენ ადრე ვთქვით, რომ შევარდნაძემ **ზვიად გამსახურდიას** მკვლელები გროზნოშიც მიუგზავნა. უშიშროების ქართველმა თანამშრომლებმა, რომლებმაც ჩეჩნეთში მენავთობეებად გაასაღეს თავი, ბინა სწორედ იმ სახლის წინ დაიქირავეს, სადაც ზვიადი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ისინი სპეცსაშუალებებით აკვირდებოდნენ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ მალე გაიშიფრნენ. ამის შემდეგ შევარდნაძე ცდილობდა, ზვიად გამსახურდია როგორმე გროზნოდან ჩამოეტყუებინა და სწორედ აქ მოეღო მისთვის ბოლო. ზვიადი საქართველოში ჩამოსვლას 1993 წლის ივლისის ბოლოს გეგმავდა, მაგრამ გამომგზავრება გადაიდო. შემდეგ კიდევ ერთხელ მოხდა მგზავრობის გადადება და ბოლოს, მესამე ცდაზე, 1993 წლის 24 სექტემბერს, ზვიად გამსახურდია სენაკში ჩაფრინდა. ჩემი აზრით, პრეზიდენტმა გამომგზავრება ორჯერ მოულოდნელად გადადო, რადგან არსებობდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, თვითმფრინავი დაჯდომისას შევარდნაძის ბანდას ჩაეგდო ხელში. ამიტომ გამსახურდიამ მისი გამომგზავრების თარიღი მკაცრად გაასაიდუმლოვა და ჩეჩნეთიდან მოულოდნელად წამოვიდა. საქართველოდან **ქობალია** ზვიადს გროზნოში ატყობინებდა, რომ მას ელოდებოდა შეიარაღება, ტანკები და აუარება ხალხი, ხოლო **გუგუშვილი** არწმუნებდა — არ ჩამოსულიყო! ვის დაუჯერა ზვიადმა? დაუჯერა არა გუგუშვილს, არამედ ქობალიას! **ცხადია, არავითარი საბუთი ხელში არ მიჭირავს, ლოთი ქობალიას ღალატი დავაბრალო, მაგრამ მისი რიტორიკა იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ნებსით თუ უნებლიეთ, შევარდნაძის სურვილს ემთხვეოდა — ზვიადი საქართველოში ჩამოეტყუებინა!**

ცნობილია, რომ დიდძალი ფულის გადახდის შემდეგ სამეგრელოში შემოვიდა რუსი ადმირალი **ედუარდ ბალტინი.** ეს მოხდა 1993 წლის 1 ნოემბერს, ხოლო 1993 წლის 6 ნოემბერს ზვიად გამსახურდიამ **რუსლან ქიშმარიასთან** საუბრის შემდეგ დატოვა სამეგრელოს ტერიტორია და გადავიდა აფხაზეთში. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდია ბესო გუგუშვილთან ერთად მივიდა **ბადრი ზარანდიას** ბანაკში, რომელიც სავსე იყო ნარკომანებით. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ბადრი ზარანდიამ ზუგდიდის ციხიდან გაათავისუფლა ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტერი **გია გულუა,** რომელმაც, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, პირადად მოკლა პრეზიდენტი!

**— ბადრი ზარანდია და გია გულუა მეგობრები იყვნენ?**

— **ბადრი ზარანდია და გია გულუა** უახლოესი მეგობრები იყვნენ და სწორედ ბადრი ზარანდიას ბანაკში იგეგმებოდა ზვიად გამსახურდიას ცოცხლად აყვანა! გამსახურდიამ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაცია მიიღო და **გუგუშვილთან** ერთად ბანაკი სასწრაფოდ დატოვა. ამის შემდეგ გამსახურდია და გუგუშვილი დაეხეტებოდნენ ტყეში და საბოლოოდ მივიდნენ **ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში,** სადაც პრეზიდენტი უკვე მოწამლული იყო. გამსახურდიამ მშრალი შიმშილობით შხამი ორგანიზმიდან გამოდევნა და მოკეთდა... ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა ორი იარაღი — „სტეჩკინი“ და „არგენტინა“. **ღურწკაიების ოჯახში** ნამდვილად ზვიად გამსახურდია მივიდა. არ ვიზიარებ იმ ვერსიას, რომ ღურწკაიების ოჯახში ზვიადის ორეული მიიყვანეს, მერე მკვდარი ზვიადი შეიტანეს სახლში და ლოგინში ჩადეს. ეს გამორიცხულია. საერთოდ, შევარდნაძის სპეცსამსახურები გამსახურდიას კვალში ედგნენ და მისი ყოველი ნაბიჯი იცოდნენ. არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა მისი გზაში მოკვლა, მაგრამ სპეცსამსახურები მოქმედებდნენ გეგმის თანახმად, რადგან ზვიადი სწორედ **კარლო ღურწკაიას** სახლში უნდა მოეკლათ!

**— ძალიან ბევრი კითხვის ნიშნებია იმასთან დაკავშირებით, თუ სად იყო ამ დროს დაცვა!**

— 1993 წლის 30 დეკემბრის ღამეს ზვიადმა **ღურწკაიების ოჯახში** ცოტა წაიხემსა და დასაძინებლად წავიდა. პრეზიდენტის დაცვა სახლის პირველ სართულზე იყო, ხოლო ზვიადი იწვა მეორე სართულზე, ფანჯარასთან, რაც გახლდათ დაცვის უდიდესი შეცდომა. დაცვას ეძინა... აი, ამ დროს **ბაჩუკი გვანცელაძეს** მოესმა „გასროლისმაგვარი ხმა“... ხოლო **გუგუშვილმა,** რომელმაც „ტაშტის დავარდნის ხმა“ გაიგონა, დატოვა ზვიად გამსახურდია, მეორე სართულიდან პირველ სართულზე ჩავიდა, მივიდა დაცვასთან და განაცხადა — **„მე მგონი, პრეზიდენტი ცუდად არის!“** ამის შემდეგ ყველანი ავარდნენ მეორე სართულზე, სადაც დახვდათ საშინელი სურათი — საწოლში იწვა მკვდარი პრეზიდენტი! შექმნილ სიტუაციაში **ბესარიონ გუგუშვილმა** მოიცალა ზვიად გამსახურდიას ნივთების დასახარისხებლად. სხვათაშორის, გროზნოში ჩასულ ბესარიონ გუგუშვილს ქალბატონმა მანანამ დაახვედრა ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის, **ზვიად გამსახურდიას, ჟიული შარტავასა და კონსტანტინე ოზგანს** შორის არსებული მიმოწერის დამადასტურებელი ბარათები. ზვიად გამსახურდიასთან გროზნოში ასევე ჩადიოდა თურქეთის მაშინდელი პრეზიდენტის **თურქუთ ოზალის ვაჟი,** რომელიც მისი დიდი თაყვანისმცემელი იყო. ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ქალბატონ **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას,** გაასაჯაროოს ეს დოკუმენტები!

სხვათაშორის, როცა **ბესარიონ გუგუშვილი** გროზნოში ჩავიდა და **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ მოუთხრო, ქალბატონი მანანას პირველ კომენტარი ასეთი იყო — **„მე მჯერა, რომ ეს ასე მოხდებოდა!“** მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იმავე მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ განაცხადა — „მე არ მინდა, ვიყო თვითმკვლელის ცოლი!“ მალე ქალბატონმა მანანამ პრეტენზია გამოუცხადა გუგუშვილს, გვანცელაძესა და მარგველანს და თქვა, რომ **„პრეზიდენტი მათი უყურადღებობის შედეგად დაიღუპა!“**

**— თქვენ ზემოთ ახსენეთ ჟიული შარტავა. ჩემთვის ცნობილია, რომ შარტავას ჰქონდა პოლიტიკური ამბიციები და ის საქართველოს პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა! რა იცით, ამის შესახებ?**

— ჩემი სიძის ძმა, პროფესორი **იუზა ვერულავა** ჟიული შარტავას უახლოესი მეგობარი გახლდათ. შევარდნაძეს ჟიული შარტავასთვის ნაბრძანები ჰქონდა, რომ კომკავშირის ცეკასთვის მეგრელები არ გაეკარებინა. როცა შევარდნაძემ 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულება გააფორმა და აფხაზეთი, ფაქტობრივად, ჩააბარა, ცხონებულმა **ჟიული შარტავამ** ერთ ვიწრო თავყრილობაზე ასეთი რამ გვითხრა — **ცოტა ხანი მაცალეთ და მოგხედავთო!** დიახ, ჟიული შარტავა საქართველოს პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა. როგორც ჩანს, შევარდნაძემ **ზვიად გამსახურდიასთან და ბორის პასტუხოვთან** მისი სატელეფონო საუბრების გარდა, ამის შესახებაც შეიტყო და ჟიულის ეს არ აპატია!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი ბაჩუკი გვანცელაძე

# „გროზნოში ქალბატონმა მანანამ დაუძახა ბაჩუკი გვანცელაძეს, გაიყვანა მეორე ოთახში და უთხრა:

# თვით-მკვლელის ცოლი მე არ ვიქნები!“

## კვირბეინოსნები



**ვლადიმერ ბოჭაძე**

*თბილისის საკრებულოს წევრი*

თუ ხელისუფლებაში დაბრუნდება **ნაციონალური მოძრაობა — კოლექტიური სახით თუ ერთიანი სიით,** იმავე დღეს გააღებენ „ვივამედის“ კარს და **ხელისუფლებაში მოვა მიხეილ სააკაშვილი.**

„იმედინიუსი“



**ზაზა შენგელია**

*„ბრავო რეკორდსის“ დამფუძნებელი*

ათწლეულებია, ითვლება, რომ **„ევროვიზიაზე“ გამარჯვებულის გამოვლენის პრინციპი არასამართლიანია, უვარგისია,** რადგანაც ხშირად ქვეყნები პოლიტიკური ბლოკური პრინციპით აძლევენ ხმას ერთმანეთს.

„კვირის პალიტრა“



**რიმა ბერაძე**

*პარლამენტარი*

თუ ქვეყანას სჭირდება **ჩემი დასანქცირება,** მზად ვარ, **დამასანქცირონ.**

„ინტერპრესნიუსი“



**თამარ ჩიბურდანიძე**

*„ხალხის ძალის“ წევრი*

**სალომე ზურაბიშვილმა** ერთხელ თქვა — **„აფხაზეთი არის განგრენა საქართველოსთვის“,** დღეს კი რეფერენდუმით ამ **„განგრენის“** მოკვეთა სურს.

„იმედინიუსი“

***დაუჯერებელ, თუმცა, აშკარა ფაქტზე უნდა მოგითხროთ, რომლის შესახებაც „ასავალ-დასავალის“ თანამშრომელმა ტარიელ ტაბატაძემ მამცნო. ჩვენი გაზეთის უძველეს რესპონდენტს მალხაზ გველუკაშვილს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა შეიარაღებული გადატრიალების ბრალდებით 4 წლით ციხეში გამოკეტა, თურმე, ნამდვილი სასწაული ჩაუდენია და მესამე სტადიაში გადასული სიმსივნით დაავადებული ქალბატონი განუკურნავს.***

*— „4 წლის წინ სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი დიაგნოზი დამისვეს. ცოცხალი და ჯანმრთელი რომ ვარ, მალხაზ გველუკაშვილს ვუმადლი! ვინაობასაც თამამად გიმჟღავნებთ, რადგან ჩემზე აღსრულებული სასწაულის შესახებ უკვე ძალიან ბევრმა ადამიანმა შეიტყო!“*

***— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი განკურნებულმა პაციენტმა, თბილისის 105-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ და დაწყებითი კლასების პედაგოგმა რუსუდან ხიჯაკაძემ:***



**„ამჟამად თავს მხნედ ვგრძნობ, პედაგოგიურ საქმიანობას დავუბრუნდი!“**

## რუსუდან ხიჯაკაძე:

# ექიმები სახტად დარჩნენ, ამჟამად ონკოლოგიური დაავადების ნიშან-წყალიც აღარ მაქვს!

— როგორც იტყვიან, 48 წლის ასაკამდე ფრჩხილიც არ წამომტკენია, მაგრამ 2020 წელს მოულოდნელად ავთვისებიანი სიმსივნე აღმომაჩნდა, რაც მაგნიტო-რეზონანსულმა ტომოგრაფიამაც დაადასტურა. სიმსივნის კერა საშვილოსნოს ყელზე გარედან იყო, საშვილოსნოზე გადადიოდა და მარჯვენა თირკმელს აწვებოდა. ექიმების სახის გამომეტყველებაზე ვხვდებოდი, რომ საქმე ძალიან ცუდად მქონდა. ოჯახური თათბირის შედეგად სამკურნალოდ თურქეთში გამგზავრება გადაწყდა. სტამბოლის ანადოლუს კლინიკაში დიაგნოზი დამიდასტურეს. ბინა ვიქირავე და 3 თვე იქ გავატარე — სხივური და ქიმიოთერაპიით დავიწყეთ მკურნალობა. თურქეთში 25 სხივური და ქიმიოთერაპიის 6 კურსი ჩავიტარე. უკიდურესად გავხდი და ფიზიკურად დავსუსტდი, თმა გამცვივდა... ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სიკვდილს თვალებში ვუყურებდი. ჩემდა გასახარად, მკურნალობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ნება დამრთეს, ქიმიოთერაპიის დარჩენილი 3 კურსი საქართველოში ჩამეტარებინა. ყოველ 3 თვეში ერთხელ თურქეთში სამედიცინო კონტროლს გავდიოდი და უკვე მეგონა, რომ ყველაფერი ცუდი უკან მოვიტოვე, მაგრამ...

**— რაღა მაგრამ?**

— ზუსტად 1 წლის შემდეგ რეციდივი განმეორდა. მირჩიეს, ოპერაცია გამეკეთებინა და როგორც კი მატერიალური სახსრები მოვიძიე, ასეც მოვიქეცი. ოპერაციის შედეგად ქალური ორგანოები ამომიღეს. ერთხანს თავი კარგად ვიგრძენი, მაგრამ 1 წელიწადში სიმსივნე ისევ განვითარდა და მივხვდი, რომ ტრადიციული მეთოდებით ფონს ვეღარ გავიდოდი.

**— მალხაზ გველუკაშვილის შესახებ როდის შეიტყვეთ?**

— დედაჩემს ახლობლებმა უთხრეს, რომ არსებობს პიროვნება, რომელიც წარმატებით მკურნალობს სიმსივნურ დაავადებებს და ინტერნეტში მისი ლექციებიც შემიძლია მოვიძიო. **მალხაზ გველუკაშვილის** ასავალ-დასავალი ჩვენმა გულისხმიერმა მეზობელმა ტარიელ ტაბატაძემ შეგვატყობინა. იმ პერიოდში უკვე ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. აღარ დაგვიყოვნებია და მაშინვე დახმარებისთვის მივმართეთ. ბატონმა მალხაზმა შეხვედრისთანავე დამაიმედებელი ტონით მომმართა და წამლის მოცემამდე ჩემს მკურნალობას, უპირველესად, სიტყვით შეუდგა. მითხრა, რომ ჩემს განკურნებას აუცილებლად შეძლებდა და ამისათვის სულ რამდენიმე თვე დასჭირდებოდა. მომცა სასწაულმოქმედი წამალი, რომლის ინგრედიენტებს რთულად მოიპოვებს და პირადად ამზადებს.

**— რას წარმოადგენს ეს წამალი და რამდენ ხანში იგრძენით შედეგი?**

— წამალი წარმოადგენს სითხეს, რომლის შემადგენლობა ჩემთვის უცნობია. რეკომენდაციის მიხედვით დავიწყე მისი მიღება. ყოველდღიურად 3-ჯერ 30-30 წვეთს ვსვამ. მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ჯერ — შვება, შემდეგ კი ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი. უკვე ორჯერ გადავამოწმე ჩემი მდგომარეობა და ექიმები სახტად დარჩნენ, სიმსივნიდან მცირე ფისტულაა დარჩენილი, ამჟამად ონკოლოგიური დაავადების ნიშან-წყალიც აღარ მაქვს! თურქეთში ექიმებმა ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობა და ანალიზები რომ ნახეს, გაოგნებულებმა მითხრეს, ჩვენი გეგმები რადიკალურად შეიცვალაო! წამლის მიღებას კვლავ ვაგრძელებ. დადებით შედეგებს დღითი დღე თვალსაჩინოდ ვგრძნობ!

**— წამლის მიღებას რაიმე დისკომფორტი თუ ახლავს?**

— არანაირი! **მალხაზ გველუკაშვილი** მეუბნება, რომ ზაფხულში ცოტა ხნით შემასვენებს. დიდი მადლობა ჩემს მშველელს, სიცოცხლე მან გადამირჩინა და ჯანმრთელობა დამიბრუნა. ამჟამად თავს მხნედ ვგრძნობ. პედაგოგიურ საქმიანობას დავუბრუნდი, სკოლაში დავდივარ, გაკვეთილებს ვატარებ და თანამშრომლები, რომლებიც ავადმყოფობის შემდეგ ჩემს სახეცვლილებას ხედავენ, განცვიფრებულები არიან!

•

***საოცარი ისტორიის მოსმენამ ამ სტრიქონების ავტორს, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მაქვს მიღებული, მრავალი კითხვა აღმიძრა. მაინც რა მექანიზმით დამარცხდა სიმსივნე? გული როგორ მომითმენდა, თავად სასწაულის ავტორს, ჩემს ძველ რესპონდენტსა და მეგობარს, მეტაფიზიკოს მალხაზ გველუკაშვილს არ დავკავშირებოდი.***

**მალხაზ გველუკაშვილი:** — აღნიშნულ პრეპარატზე მუშაობა 1998 წლიდან დავიწყე. შეიძლება, მკითხველისთვის ზედმიწევნით გასაგები არ იყოს, მაგრამ პრეპარატი ანალოგიის კანონით, ალქიმიური მეთოდით დავამზადე. **შემადგენლობას ვერ გაგიმხელთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ პრეპარატის ერთ-ერთი ინგრედიენტი იწარმოება კამჩატკაზე, წყლის ბინადარი არსებებისგან.** გადავწყვიტე, ანალოგიის („მსგავსი მსგავსით იკურნება“) კანონი გამომეყენებინა, შემდეგ კი ამ ნივთიერებაში ინფორმაციის გადატანა მომხდარიყო, რასაც რიტუალური ზემოქმედების უნარი გააჩნია. შემდეგ ამ ნივთიერებას პაციენტი წვეთების სახით სვამს და მასში ჩაქსოვილი ინფორმაცია ორგანიზმში გადადის. უფრო მარტივად რომ გითხრათ, ორგანიზმს ვაძლევთ ინფორმაციას, რომლის ძალითაც ის ავადმყოფობას უმკლავდება.

**— მარტო სიმსივნეზეა საუბარი?**

— არამხოლოდ! თუმცა, სიმსივნეებს განსაკუთრებით ვაკვირდები — სხვადასხვა სახის სიმსივნეს შველის, განსაკუთრებით, საწყის სტადიებში. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც მე-4 სტადიაში მყოფი პაციენტიც განიკურნა. მე-4 სტადიაში ხომ, ფაქტობრივად, ტრადიციული მედიცინა უძლურია, დაგვიანების შემთხვევაში ზემოქმედებას ჩემი წამალიც ვერ ასწრებს, თუმცა, თამამად შემიძლია




## კვირგვინოსნები

**ნუგზარ ყურაშვილი**
*მსახიობი*



ძალიან რთული ოპერაციაა, 45 ათასი დოლარი ჯდება. წარმოგიდგენიათ, ეს თანხა როგორი გადასახდელია მსახიობისთვის ან ნებისმიერი სხვა პროფესიის წარმომადგენლისთვის საქართველოში?! პირადად **კახი კალაძე და თეა წულუკიანი** დამიდგნენ გვერდით, მერე ხალხი. **ვიღაც 20 ლარს მირიცხავდა, ვიღაც — 5 ლარს,** რაც შეეძლოთ, ნაცნობები თუ უცნობები. **ფულში არ არის საქმე, ძნელია, ცხოვრების ისე გავლა, რომ ასე უუყვარდე ადამიანებს.**

„თბილისელები“

**მარიამ სანოეგ**
*ტელეწამყვანი, მოდელი*



**წითელ ხალიჩაზე გავლის მომენტი** — ეს ჩემთვის ძალიან დიდი სიამოვნება იყო. მთელ ჩემს გამოცდილებას მოვუყარე თავი და **ძალიან ამაყად გავიარე წითელ ხალიჩაზე.**

„სარკე“

**ნუგზარ რუხაძე**
*ჟურნალისტი*



ქალების საკითხში **გონიერი რომ ვყოფილიყავი,** დღეს სხვანაირი ცხოვრება მექნებოდა.

„სარკე“

**ანი გიუნტერი**
*ტელეწამყვანი*



ახლა რომ ვფიქრობ, **ცხოვრებაში აქამდე არასოდეს მყვარებია** და ყველაფერი წინ მაქვს.

„სარკე“

**მანიკა ასათიანი**
*ტელეწამყვანი, მოდელი*



მეცოდება ის ოჯახი, **სადაც სიყვარული და ურთიერთგაგება არ არის,** სადაც სულ უთანხმოება და ყოველდღიური ჩხუბია.

„სარკე“



დიცინაა! ალქიმიკოსები იყვნენ მედიცინის კორიფეები **პარაცელსი და ავიცენა.** ოკულტური თვალსაზრისით, მეტაფიზიკა თეორიაა, ხოლო ალქიმია — პრაქტიკა. თუ ფიზიკა — ეს არის ბუნება, მაშინ მეტაფიზიკად მოიაზრება ყველაფერი, რაც ბუნებრივი ძალების მიღმაა, თუმცა, სინამდვილეში სულაც არ არის მიღმიერი, მხოლოდ ადამიანების უმრავლესობის გონებისთვის არის მიუწვდომელი და აუხსნელი.

**შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ჰომეოპათია ალქიმიის მარტივ განხრას წარმოადგენს.** ალქიმია ინფორმაციული მედიცინაა, ვინაიდან ალქიმიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ ნებისმიერი ნივთიერება გარკვეულ ინფორმაციას ატარებს და შესაძლებელია ნივთიერების იმგვარად დამუხტვა-დაპროგრამება, რომ კურნებითი ეფექტი შეიძინოს. **წამალს, რომელზეც გესაუბრეთ და რომლის ეფექტურობას თავად პაციენტები აღიარებენ, მოქმედების სწორედ ამგვარი მექანიზმი გააჩნია!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

# *მალხაზ გველუკაშვილი:*

# ორგანიზმს ვაძლევთ ინფორმაციას, რომლის ძალითაც ის ავადმყოფობას უმკლავდება!

გითხრათ, რომ ამ წამლის გამოყენებით, როგორც, მინიმუმ, ტკივილი ყველას გაუყუჩდება და სიცოცხლეც მეტ-ნაკლებად გაუხანგრძლივდება. შედარებით ნაკლები ეფექტურობით მუშაობს ძვლის სიმსივნის შემთხვევაში. წამალს იმ რაოდენობით ვამზადებ, რაც საშუალებას მაძლევს, ერთდროულად 30-მდე ადამიანს დავეხმარო. მას არანაირი უკუჩვენება არ გააჩნია.

**მყოლია პაციენტი, რომელსაც სიმსივნე პირის ღრუდან გარეთ ჰქონდა გამოსული. წამლის ზემოქმედებით სიმსივნე გაიწოვა; მას შემდეგ პაციენტმა 10 წელი იცოცხლა და 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

სხვა პაციენტი, **მაია ქ.,** რომელსაც მე-4 სტადიის სიმსივნე ჰქონდა მეტასტაზებით მთელ ორგანიზმზე მოდებული და რომლის მკურნალობაც 1998 წელს დავიწყე, დღესაც ცოცხალია. პრეპარატს კარგი შედეგები აქვს ქალური ორგანოების, მკერდის, ფილტვების სიმსივნეების შემთხვევაში. პაციენტებს მდგომარეობის გაუმჯობესება წამლის მიღებიდან რამდენიმე დღეში ეწყებათ. გაუმჯობესების ხარისხი დაავადების ლოკაციაზე და სიმძიმეზეა დამოკიდებული.

**— საუბარში ალქიმიას ახსენებთ, მაგრამ ის ხომ ზუსტი მეცნიერება არ არის?**

— **ალქიმია გაცილებით ზუსტი მეცნიერებაა, ვიდრე, მაგალითად, კვანტური ფიზიკა, რომლის უამრავი თეორია ვერ ფორმულირდება.** უდიდესი მეცნიერი **ისააკ ნიუტონი** ისე გარდაიცვალა, არც კი იცოდა, ფიზიკოსი რომ იყო და თავს ალქიმიკოსად თვლიდა. ბოლოს და ბოლოს, ალქიმია ითვლება ისეთი დარგის ფუნდამენტად, როგორიც მე-




**„ალქიმია გაცილებით ზუსტი მეცნიერებაა, ვიდრე, მაგალითად, კვანტური ფიზიკა, რომლის უამრავი თეორია ვერ ფორმულირდება. უდიდესი მეცნიერი ისააკ ნიუტონი ისე გარდაიცვალა, არც კი იცოდა, ფიზიკოსი რომ იყო და თავს ალქიმიკოსად თვლიდა!“**


IWAY.GE

ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში

**შპს „აივეი“**

**გთავაზობთ:**

**სახურავებისა და კედლების ჰიდროიზოლაცია** (პოლიურეთანის, აკრილის და ბიტუმის ბაზაზე), **შენობის დათბუნება** (ქვაბამბით, პენოპლასტით და XPS-ით), **ბათქაშები შიდა და გარე გამოყენებისათვის, ფასადის დეკორატიული მოპირკეთება** (მათ შორის, ე.წ. „მიუნჰენით“), **წებოცემენტები მარმარილოსა და გრანიტისათვის, ებოქსიტური ნარევები სამრეწველო იატაკებისათვის, ბეტონისა და ასფალტის ლაქ-საღებავები და სხვ.**

*ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები. უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.*

**თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29**
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge



თამარისი Tamarisi

**დაინახე:**




**ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38**
571 19 93 93   598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics






**საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა**

**გიდმედი**

გჯეროდეთ ჩვენი იმედი!

**ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია**

**თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55**





**შევიძენ**

**ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!**

**591 71 99 00**


## კვირგვინოსნები

**ბესიკ კალანდაძე**
*მომღერალი*



**ყველანაირი რეგალია და „ჭინჭილები“ მეათეხარისხოვანია.** ჩემთვის, როგორც მომღერლისთვის, მთავარია, რომ **40 წელზე მეტი ხნის წინ შესრულებულ სიმღერებს დღესაც ისმენენ და დღესაც ასრულებენ.** როცა შენი ხელოვნება ახსოვთ, როცა ის ათეულობით წელს უძლებს, **ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება.**

„თბილისელები“

**გიორგი ჩაკვეტაძე**
*საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი*



**რონალდუ** ძალიან მომწონს, რადგან ცხოველს ჰგავს, შრომისმოყვარეა და წარმატებული. ბევრ გოლსაც იტანს, **ევროპის ჩემპიონატზე საქართველო და პორტუგალია ერთ ჯგუფში არიან, მოუთმენლად ველი მის წინააღმდეგ თამაშს,** ამაღელვებელი იქნება და თუ საშუალება მომეცემა, მაისურს ვთხოვ.

„ახალი თაობა“

**ნინო საბაშვილი**
*პარალიმპიური ჩემპიონი*



ფეხი 24 საათი მტკივა, მაგრამ **42 მედალი მაქვს სპორტში, აქედან 12 ოქროა!**

„სარკე“

**მალუ მამფორია**
*მომღერალი*



ძალიან მაგრად უნდა **დავეცე,** რომ მერე მყარად **წამოვდგე ფეხზე** — ეს ჩემი ცხოვრების სტილია.

„თბილისელები“

**მარიამ უგრეხელიძე**
*ბალერინა*



**ჩემი პირადი ცხოვრება ბალეტის ჯადოსნური სამყაროა.**

„თბილისელები“



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# თუ ღვიძლს ვუმკურნალებთ, პოდაგრა უკან დაიხევს!



***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ფეხსა და ტერფზე გამოხატულ იმ ნიშნებს ჩამოთვლის, რომელიც შესაძლოა, ღვიძლის პათოლოგიაზე მიგვითითებდეს და თვით შაქრიანი დიაბეტიც კი ღვიძლში არსებულ პრობლემას უკავშირდება:***

— მსოფლიოში ყოველწლიურად 2 მილიონზე მეტი ადამიანი ღვიძლის კიბოთი ან ციროზით იღუპება. ორგანოთა ტრანსპლანტაციის კუთხით ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას მეორე ადგილი უჭირავს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღვიძლის გადანერგვა ადამიანთა მხოლოდ 10 პროცენტს თუ უტარდება, რადგან შესაფერისი დონორის მოძიება საშინლად ჭირს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ღვიძლის გადანერგვა ძალიან ძვირია.

საერთოდ, ღვიძლის შესახებ, რომელსაც 500-ზე მეტი ფუნქცია აქვს, ჩვენ ბევრი გვისაუბრია. მკითხველს იმასაც გავახსენებთ, რომ ეს ერთადერთი ორგანოა, რომელსაც რეგენერაციის, ანუ აღდგენის უნარი აქვს. ღვიძლის 80 პროცენტიც რომ იყოს დაზიანებული და ზომები დროულად მივიღოთ, ღვიძლი თავის ფუნქციასა და მთლიანობას აბსოლუტურად აღიდგენს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ღვიძლის ნებისმიერი პათოლოგიის ნაადრევ გამოვლინებას, მაგრამ საქმეს ძალიან ართულებს ის ფაქტი, რომ ღვიძლი ძალიან „ჩუმი“ ორგანოა. მას შესაძლოა, სერიოზული დაზიანება ჰქონდეს, მაგრამ ადამიანი ამას ვერ გრძნობდეს, ხოლო, როდესაც საფრთხე რეალური გახდება, პროცესი უკვე შორს არის წასული და მკურნალობა დაგვიანებულია.

არსებობს რამდენიმე ძალიან მარტივი ნიშანი იმის აღმოსაჩენად, რომ ღვიძლი მისახედია... ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ფეხის ტერფი!

## ნიშნები ფეხზე, რომელიც გვეუბნება, რომ ღვიძლი მისახედია!



**— ფეხის ტერფი ღვიძლში პრობლემების არსებობის შესახებ მაინც რით და როგორ გვაფრთხილებს?**

— საგანგაშო სიგნალად უნდა მივიღოთ:

**1.** ფეხის ტერფზე ან ქვედა კიდურებზე ყავისფერი ან წითელი წერტილების გაჩენა, რომელიც გამონაყარს ჰგავს;

**2.** მუხლის, წვივის ან ტერფის მიდამოებში სისხლძარღვოვანი ვარსკვლავების ან ვარიკოზის გაჩენა;

**3.** ქუსლის გაუხეშება და დასკდომა;

**4.** ტერფის ან წვივის არეში ქავილი;

**5.** ფეხის ცუდი სუნი;

**6.** ფეხისგულების ქავილი და წვა;

**7.** ფეხისგულებისა და ტერფების გაცხელება;

**8.** ფეხისგულზე კოჟრების, ანუ ე.წ. „მაზოლების“ გაჩენა;

**9.** ქვედა კიდურების დაბუჟება და ტკივილი;

**10.** ტერფის პასტოზურობა;

**11.** ფეხის ფრჩხილზე სოკოს გაჩენა.

**— მაინც რა მეცნიერული ახსნა აქვს ფეხის ტერფზე ან ქვედა კიდურებზე ყავისფერი ან წითელი წერტილების გაჩენას, რომელიც გამონაყარს ჰგავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემებია სისხლძარღვებში, რაც, თავის მხრივ, ღვიძლს უკავშირდება. საქმე ის გახლავთ, რომ ღვიძლის დაზიანებისას თრომბოციტების რაოდენობა მცირდება, სისხლი ცუდად დედდება, ვითარდება თრომბოციტოპენია და სისხლჩაქცევა, რაც წითელი და ყავისფერი წერტილების სახით გამოვლინდება.

**ღვიძლის პათოლოგიისას მუხლის, ტერფის ან წვივის არეში შესაძლოა, გაჩნდეს ზედაპირული სისხლძარღვოვანი წარმონაქმნები, კაპილარების ქსელი, რომელიც ვარსკვლავებს წააგავს.**

ეს გამოწვეულია სასქესო ჰორმონების, ესტროგენების მომატებით. ესტროგენები სისხლძარღვებს აფართოებს და ე.წ. ვარსკვლავური ქსელიც იმიტომ წარმოიქმნება! თუ ღვიძლში ციროზული ან ფიბროზული პროცესები მიდის, მაშინ სისხლში ესტროგენების რაოდენობა მატულობს. ამიტომ ასეთი ვარსკვლავების გაჩენა 95 პროცენტ შემთხვევაში ფიბროზის ან ციროზის მაჩვენებელი შეიძლება იყოს!

**— მაინც რა კავშირშია ქუსლის გაუხეშება და დასკდომა ღვიძლის პათოლოგიასთან?**

— ქუსლის გაუხეშებასა და დასკდომას იწვევს „ომეგა-3“-ისა და B3 ვიტამინის დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, A და E ვიტამინის დეფიციტსაც განაპირობებს. როცა ღვიძლში რამე პათოლოგიაა, კანისთვის აუცილებელი „ომეგა-3“-ის და B3, A და E ვიტამინების დეფიციტი იქმნება! ეს ყველაფერი შესაძლოა, ღვიძლის გაცხიმოვნების მანიშნებელი იყოს.

ვისაც ღვიძლი აწუხებს, ხშირად ტერფი ექავება! ამის მიზეზი ის არის, რომ სანაღვლე გზებში ნალექის არსებობის გამო ნაღვლდენა ბლოკირებულია და ვითარდება ქოლესტაზი, ანუ ნაღველი უკან, ღვიძლში ხვდება, რის შემდეგაც ის გადადის სისხლში და ბოლოს კანში, რაც მუხლს ქვემოთ და ტერფში ქავილს იწვევს! ასეთ დროს შარდი უფრო მუქია, კანი — ოდნავ მოყვითალო, ხოლო განავალი — ღია. ყველა ეს ნიშანი 70 პროცენტ შემთხვევაში **ბილიარულ ციროზზე** მიგვითითებს. არადა, ამ დროს ადამიანმა ამის შესახებ შესაძლოა, არაფერი იცოდეს...

ღვიძლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დეტოქსიკაცია, ანუ ორგანიზმში არსებული შხამებისა და შლამების განეიტრალებაა. როცა ღვიძლში ამ მხრივ პრობლემებია, მაშინ ამ ფუნქციას თავის თავზე კანი იღებს

## „პოდაგრის მთავარი სიმპტომია ტკივილი ფეხის ცერა თითში და შემდეგ ანთება, რასაც შესაძლოა, ფრჩხილის სოკოც დაერთოს!“

## კვირგვინოსნები

### ეკატერინა მეიშვილი
*ფიტნეს ინსტრუქტორი*



ქალი მწერდა — **ქართველი ხარ და მკერდი რომ გადმოგიგდია, არ გრცხვენია?** მეორე მწერდა ირონიით — **ყოჩაღ, მეტი გამოაჩინე...** ჩემზე ნეგატივს, ალბათ, შური აწერინებთ. **მე ფიტნეს მოდელი ვარ,** ტანი უნდა გამოვაჩინო, თორემ **შეფ-მზარეული რომ ვიყო,** სოციალურ ქსელში საჭმლის ფოტოს დავდებდი.

„თბილისელები“

### მარიამ ფროლიაშვილი
*ევროპის ჩემპიონი ტყვიის სროლაში*



საშიშად აღგვიქვამენ **მსროლელებს,** განსაკუთრებით გოგონებს, **ჰგონიათ, რომ ჯიბით დაგვაქვს იარაღი და რამეს თუ გვეტყვიან, მაშინვე ამოვიღებთ.** ვისაც ეშინია, მათ მინდა ვუთხრა, რომ 21 წლამდე არ გვაქვს ტარების უფლება და მერე ვნახოთ.

„თბილისელები“

### ლადო ბურდული
*მუსიკოსი*



საქართველო **მე დამეწია** და **არა მე დავეწიე** საქართველოს. **ადამიანად რომ დავრჩი, ეს არის ჩემთვის ყველაზე საამაყო,** იმ ყველაფრიდან გამომდინარე, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა.

„თბილისელები“

### მაია ჯაბუა
*მომღერალი*



**ზუსტად ისეთი ცხოვრება მინდოდა, როგორიც დღეს მაქვს.**

„თბილისელები“

### თიკო ჩხეიძე
*მოდელი*



როცა ჩემი კარიერა პიკში იყო, **ოჯახი ავირჩიე** და გავთხოვდი.

„თბილისელები“

## ექიმის ტრიბუნა

და ტოქსინებსაც ის გამოყოფს. სწორედ ამიტომაა ფეხის ცუდი სუნი ღვიძლის პათოლოგიის მანიშნებელი.

**— სოკო ფრჩხილსა და ტერფზე შესაძლოა, შაქრიანმა დიაბეტმაც გამოიწვიოს და ღვიძლი რა შუაშია?**

— ღვიძლი სწორედ თავშია! დიაბეტი ინსულინრეზისტენტობით იწყება, რომელიც პრედიაბეტში გადადის. ამ ყველაფრის სათავე ღვიძლში არსებული დარღვევებია. **რაც მეტი ცხიმია ღვიძლში, უფრო ძლიერია ანთება და ინსულინრეზისტენტობა!** საერთოდ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ნაღველი მავნე მიკრობებს ანადგურებს წვრილ ნაწლავებში და მათ უხვ ზრდას ხელს უშლის. თუ ნაღვლის გამოყოფა შეფერხებულია, ნაწლავის მიკროფლორა იცვლება და სოკოს წარმოშობისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. ერთ საინტერესო ფაქტს დავაკვირდი: ძალიან ხშირად მომმართავენ პოდაგრიანი პაციენტები. ამ დაავადებას ოფიციალური მედიცინა ვერ კურნავს, სამაგიეროდ, ძალზე ეფექტურად ებრძვის ჰომეოპათია. პოდაგრა განსაკუთრებით მტრობს თირკმელს. **როცა პოდაგრიან პაციენტებს პარალელურად ღვიძლის ფუნქციების მომწესრიგებელი წამლები დავუნიშნე, მკურნალობის ეფექტიანობა ძალიან გაიზარდა.** ამის ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ე.წ. „შარდოვანას ციკლი“, რომელსაც ღვიძლი არეგულირებს. სამედიცინო პრაქტიკამ მიჩვენა, რომ, თუ ღვიძლს ვუმკურნალებთ, პოდაგრა უკან დაიხევს! პოდაგრის მთავარი სიმპტომია ტკივილი ფეხის ცერა თითში და შემდეგ ანთება, რასაც შესაძლოა, ფრჩხილის სოკოც დაერთოს! ფეხისგულებისა და ტერფების გაცხელებაც ღვიძლის ფუნქციის დარღვევის მანიშნებელია. ამ დროს სისხლის მიმოქცევა ირღვევა და ორგანიზმში სისხლი არათანაბრად ნაწილდება, რაც ტერფებისა და ფეხისგულების გაცხელებას იწვევს.

### „რაც მეტი ცხიმია ღვიძლში, უფრო ძლიერია ანთება და ინსულინრეზისტენტობა!“





**— რას ნიშნავს ტერფის პასტოზურობა?**

— ზოგიერთ ადამიანს საღამოს ფეხი უშუპდება, მაგრამ დილით ეს შეშუპება ქრება. თუ დღის განმავლობაში დიდხანს ფეხზე ვდგავართ ან ბევრს დავდივართ, ფეხების შეშუპება შესაძლოა, ბუნებრივიც იყოს. თუ შეშუპებულ ტერფს თითს დავაჭერთ, ის ჩაღრმავდება, მაგრამ მალევე უნდა გასწორდეს. თუ ჩაღრმავება დიდხანს დარჩა, მაშინ საქმე გვაქვს პასტოზურ ტერფთან, რაც ღვიძლის პათოლოგიის მანიშნებელია.

ღვიძლი გამოიმუშავებს განსაკუთრებულ ცილას, რომელიც ორგანიზმში სითხის სწორ ბალანსს უზრუნველყოფს. როდესაც ღვიძლში რამე დარღვევაა, მაშინ სწორედ ამ ცილის დეფიციტთან გვაქვს საქმე. სითხე გროვდება უჯრედებს შორის სივრცეში, რაც სწორედ პასტოზურობას განაპირობებს.

**საერთოდ, ღვიძლის დაავადების დროს ადამიანს უფრო ხშირად მარჯვენა ფეხის ტერფი უშუპდება, რადგან ღვიძლი სწორედ მარჯვენა მხარეს მდებარეობს!**

დაბოლოს, ზემოხსენებული სიმპტომები არ ნიშნავს იმას, რომ 100-პროცენტიანი სიზუსტით მაინცდამაინც ღვიძლია დაზიანებული, მაგრამ, თუ ამ ნიშანთაგან ერთ-ერთი მაინც სახეზეა, მაშინ, პირველ რიგში, ღვიძლი უნდა გამოვიკვლიოთ და დავადასტუროთ ან უარვყოთ მასში პათოლოგიის არსებობა!

### „ფეხისგულებისა და ტერფების გაცხელებაც ღვიძლის ფუნქციის დარღვევის მანიშნებელია!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**გიორგი ძოწენიძე**
*მომღერალი*

არ მომნატრებია ის წლები, **უცოლო რომ ვიყავი.** თავისუფლება, ბედნიერება და ყველაფერი კარგი **ოჯახურ ცხოვრებაშია.**

„სარკე“



**ლელა წურწუმია**
*მომღერალი*

2011 წელს, მაისის თვეში, **ორი ბიჭი დამხვდა სახლში ნიღბებით და იარაღით და დამაყაჩაღეს.** ძალიან ბევრი რამ წაიღეს, ოქრო, ფული. დღესაც კი, სახლში რომ ავდივარ, სულ მეშინია, ვიღაც არ დამხვდეს. „თბილისელები“



**ნინო [illegible]**
*მსახიობი*

**მოვაწერთ თუ არა ხელს ფურცელზე,** ნამდვილად არაფერს გვიწყვეტს მე და გუგას ურთიერთობაში. **სიყვარულს ქაღალდზე დაკანონება ნამდვილად არ სჭირდება.**

„თბილისელები“



თარაზულად: 1. სატირულ-იუმორისტული ხასიათის სახელდახელო ლექსი; 4. თერმულად დაუმუშავებელი საკვები პროდუქტი; 6. ეგვიპტის ფარაონი მოსეს დროს; 7. შეძახილი ქართული ცეკვის დროს; 9. ყვავილი; 11. სიტყვათა შორის კავშირი; 12. წარმოშობით ეგვიპტელი კინომსახიობი ... შარიფი; 14. აზოტისა და წყალბადის ნაერთი, რომლისგანაც იღებენ ნიშადურის სპირტს; 15. ჰო, დიახ...; 16. ასო-ბგერათა თანმიმდევრული წყობა; 17. ნაწილაკი ქართულ ენაში; 21.ნაცვალსახელი; 22. ორგანიზმის ერთეული; 23. თბილისური ჟარგონი; 25. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში; 26. ... კარენინა; 29. ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო; 30. გამის მეორე ნოტი; 31. სასტუმრო „თბილისის“ შემსყიდველი იტალიური კომპანია.

შვეულად: 1. ქართველ ქრისტიან ბერთა სავანე; 2. ზღაპრული არსება; 3. უძველესი ქართული ღვთაება; 4. ამოუწურავი, უშრეტი; 5.ჰომეროსის ეპიკური პოემა; 8. ბიბლიური მსაჯული; 10. ცეცხლის ნაწილი; 11. ინგლისელი მწერალი; 13. ადამიანთა წარმომავლობა, ჯიში, ტომი; 18. ხელოვნურად გასარუჯი მოწყობილობა, განყოფილება; 19. დაბა ქარელის რაიონში; 20. მუსიკალური ბგერის გრაფიკული სიმბოლო; 24. ხმელეთზე წარმოქმნილი ჯამისებრი ან ძაბრისებრი ღრმული; 27. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 28. სისხლის მიმოქცევის სისტემის ცენტრალური ორგანო.

თარაზულად: 1. კაფია; 4. უმი; 6. რამზესი; 7. ასა; 9. ია; 11. და; 12. ომარ; 14. ამიაკი; 15. კი; 16. ანბანი; 17. ნუ; 21. ის; 22. ორგანო; 23. ტო; 25. აკრი; 26. ანა; 29. ურარტუ; 30. რე; 31. მარიოტი.

შვეულად: 1. კელია; 2. ფერია; 3. არმაზი; 4. ულევი; 5. ილიადა; 8. სამსონი; 10. ალი; 11. დიკენსი; 13. რასა; 18. სოლარიუმი; 19. აგარა; 20. ნოტი; 24. კრატერი; 27. არფა; 28. გული.








თარაზულად: 1. ღამის პატარა პეპელა; 6. ჩეჩენი ხალხების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მეთაური; 9. ქალაქის მმართველობა იტალიაში; 10. ფრანგი კომპოზიტორი; 11. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 12. ბანქოს ერთგვარი თამაში; 13. აშშ-ის შტატი; 17. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელი; 18. ლეონარდო და ვინჩის ტილო ჯოკონდა, ანუ მონა...; 20. მოხატულობა სხეულზე, ტატუ; 21. თითქმის, კინაღამ; 24. საფოსტო ნიშანი; 25. შემოსავლიანი თანამდებობა; 26. ბელგიელი ქიმიკოსი და მრეწველი.

შვეულად: 1. პროდუქტების შესაფუთი ლითონის სიფრიფანა ფურცელი, კილიტა; 2. სპორტის სახეობა; 3. ჰიგიენური დაწესებულება; 4. მწარე საწებელი; 5. ინდოელი მოჭადრაკე; 6. კოლუმბიელი მომღერალი; 7. მარიტას ბებია (ფილმ.); 8. მცენარის რძეწვენი, რომლისგანაც კაუჩუკს იღებენ; 14. ჰოლივუდის მსახიობი კიანუ...; 15. სსრკ-ის მზვერავი იაპონიაში; 16. სამხრეთამერიკული სირაქლემა; 18. პერუს დედაქალაქი; 19. ნული ქულა; 21. ქართული ლ-ს სახელი; 22. მოკლე დროში, ჩქარა (ძვ. წიგნ.); 23. ბედი, იღბალი.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ფარვანა; 6. შამილი; 9. ჯუნტა; 10. ლეგრანი; 11. კარატი; 12. კინგი; 13. არიზონა; 17. რუდაქი; 18. ლიზა; 20. სვირინგი; 21. ლამის; 24. მარკა; 25. სინეკურა; 26. სოლვე.

შვეულად: 1. ფოლგა; 2. რაგბი; 3. აბანო; 4. აჯიკა; 5. ანანდი; 6. შაკირა; 7. მარადია; 8. ლატექსი; 14. რივზი; 15. ზორგე; 16. ნანდუ; 18. ლიმა; 19. ზერო; 21. ლას; 22. მალ; 23. სვე.



# მიხეილ ცაგარელი: ივნისი საინტერესო და საკმაოდ დატვირთული თვე იქნება

*— ივნისის დასაწყისში შედარებით რბილი კოსმოსური ამინდი და მიმდინარე პლანეტური კომპოზიციები ადამიანებში რომელი თვისებების ანდა რისი სურვილის გაძლიერებას გამოიწვევენ? საყოველთაო ეკონომიკური არასტრაბილურობა რაზე აისახება და ცის კაბადონზე პლანეტა მერკურის ადგილმდებარეობა რის საფრთხეებს გაზრდის? ამ დროს რატომ იქნება უმოქმედობა გაუმართლებელი და როდის გვმართებს ხარჯების კონტროლი და ყაირათიანობა, რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში თვის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ტყუპის ნიშნიდან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანში და რომელ ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენს მზესთან ერთად პლანეტა მერკურის კირჩხიბის ზოდიაქოში ყოფნა? რა რჩევები უნდა გავითვალისწინოთ 21-24 ივნისის შუალედში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

## 3 – 9 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა თქვენში შემოქმედებით შემართებას გააღვიძებს და შესაძლოა, დაფიქრდეთ სამსახურის ან ბიზნესის შეცვლაზე. მნიშვნელოვანს კი ჯერ ნურაფერს წამოიწყებთ. მეტ სიამოვნებას მიიღებთ ინტელექტუალური საქმიანობისგან, ხელოვნებაში ჩაღრმავებისგან. რომანტიკულ სფეროში კი მოგიწევთ ურთიერთობების გარკვევა და შესაძლო უთანხმოების მოგვარება. ეს კარგი დროა დასვენებისთვის, ოღონდ ამისთვის უცხოეთში ნუ გაემგზავრებით.

**კურო** (21.04-20.05)
მიუხედავად ენერგიის ნაკლებობისა, თქვენ მშვენიერ განწყობაზე იქნებით და ეცდებით, მოასწროთ და განახორციელოთ რაც შეიძლება მეტი ჩანაფიქრი, სახლის საქმეები ძალზედ ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესებთ ყოფას. გამოიყენეთ ეს დრო პირადი ურთიერთობების დასამყარებლად და ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად მიზანშეწონილია ფიზიკური ვარჯიში. მოგზაურობა ბევრ სიახლესა და სიამოვნებას გპირდებათ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
გაიზრდება თქვენი აქტიურობა და მომხიბვლელობა. ადვილად დაამყარებთ საჭირო კავშირებს, რისი მეშვეობითაც მეტად საინტერესო გახდება თქვენი ცხოვრება. შემოქმედებითად მუშაობის სურვილი დაგიფიქრებთ სამსახურის ან სპეციალობის ცვლილებაზე. მომავალი ფინანსური წარმატება თქვენს შრომისუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. მეტად ჰარმონიული გახდება საოჯახო და სასიყვარულო კავშირიც. გაიზრდება გადაადგილებებისა და მოგზაურობების, კონტაქტებისა და შეხვედრების რაოდენობა.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ამ პერიოდში მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლოა, შეცვალოს არსებული სიტუაცია. ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად გააკონტროლეთ ხარჯები. ერთობლივ ფინანსებთან დაკავშირებულ საქმეებში კი ეცადეთ, საბუთები მუდამ წესრიგში გქონდეთ. მეტი დრო დაუთმეთ სახლსა და საყვარელ ადამიანს და ეცადეთ, მოერიდოთ ხალხის დიდ თავყრილობის ადგილებს. დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით მშობლებსა და ბავშვებს. მოგზაურობა დასვენებისთვის გამოიყენეთ.

**ლომი** (23.07-23.08)
გაიზრდება ოჯახისა და სახლის საქმეების რაოდენობა. შესაძლოა, მოგიწიოთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. შემცირდება კონტაქტებისა და გადაადგილებების რიცხვი. ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას ეცადეთ, ყველა ვარიანტი განიხილოთ, რათა არაფერი გამოგრჩეთ. ახლობელი ადამიანები დაგეხმარებიან საქმეებისა და იდეების დასრულებაში. ფლირტი შეიძლება სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს.

**ქალწული** (24.08-23.09)
დაქვეითებული ენერგია პესიმისტურ განწყობაზე დაგაყენებთ და გარშემო მყოფებთან კამათისკენ გიბიძგებთ, ამიტომ კარგი იქნება, თუ მეტ დროს დაუთმობთ დასვენებას. შორეული მოგზაურობა რეკომენდებული არაა. გარემოებები გაიძულებთ, დაფიქრდეთ საქმიანი პარტნიორების ან თანამშრომლობის სტილის შეცვლაზე. ფინანსებთან სამუშაოდ აუცილებელი იქნება თავდაჯერებულობა და საქმისადმი სერიოზული მიდგომა. მეუღლე ან სასიყვრული პარტნიორი დაგეხმარებათ სულიერი წონასწორობის აღდგენაში.

## 3 – 9 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მიზანდასახული, ენერგიული და ძალზე მობილური გახდებით და შეძლებთ ძველი საქმეების დასრულებასა და ახლის დაგეგმვას. კარგი დროა სამეცნიერო კვლევისთვის. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, შეგექმნათ მოულოდნელი პრობლემები, რომელთათვისაც არ იქნებით მზად. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად დადებითად იმოქმედებს სპორტული ვარჯიში და ქალაქგარეთ სეირნობა. ახალი რომანტიკული კავშირი მეტად ინტერესთა ერთიანობას დაეფუძნება, ვიდრე გრძნობებს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
გარშემო მყოფებთან ხშირი ურთიერთობა მეტად თავდაჯერებულს გაგხდით. თქვენით დაინტერესდებიან ახალი საქმიანი პარტნიორები და ახალ შემოთავაზებებსაც მიიღებთ. წინასწარი გათვლების გარეშე ნუ გარისკავთ და ერიდეთ მოულოდნელობებს. გამოიყენეთ ეს დრო გავლენიან პირებთან დასაახლოებლად. თქვენი სამომავლო გეგმები დაუკავშირდება ოჯახსა და საყვარელ ადამიანს. გადადეთ შორეული მოგზაურობები და დასვენებისთვის ხშირად გადით ქალაქიდან ბუნებაში.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
საქმიან სფეროში ნებისმიერი წამოწყება კეთილდღეობას გპირდებათ. კოლეგებთან მოერიდეთ უხეშობასა და კონფლიქტებს. მშობლებთან ან მეუღლესთან დაკავშირებით ცვლილებებია მოსალოდნელი, რის გამოც მეტად დამოუკიდებელი შეიძლება გახდეთ. შესაძლოა, ოჯახის შესანარჩუნებლად გარკვეულ დათმობებზე მოგიწიოთ წასვლა. მოგზაურობისას კი ეცადეთ, ყველა მარშრუტი და საქმე წინასწარ განსაზღვროთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ძირითადი ყურადღება მიპყრობილი იქნება კარიერასა და დამატებითი ცოდნის მიღებისაკენ. თქვენი ენერგეტიკული მაჩვენებელი დაბალია, რაც შესაძლოა, მუშაობის ხარისხსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც აისახოს. მოგზაურობა ჯობს, დროებით გადადოთ, რათა არ გააფუჭოთ საქმე. საქმეებში დახმარებას გავლენიანი პირები ან თანამზრახველები გაგიწევენ. მეტად თავდაჭერილი იყავით ახალი ემოციებისა და ვნებების მიმართ, რათა ამან პრობლემა არ შეუქმნას თქვენს უკვე არსებულ კავშირებს.

**მერწყული** (20.01-18.02)
სამუშაოს წარმატებით შესრულებას დასჭირდება საქმიანი პარტნიორების მიმართ არასტანდარტული მიდგომა. მიუხედავად მოუცლელობისა, დრო დაუთმეთ ოჯახსა და მშობლებს. ნათესავების პროტექცია წინსვლისა და წარმატების საწინდარი გახდება. გაიზრდება თქვენი ინტუიცია, თქვენ მეტად ფრთხილი და წვრილმანებისადმი დაკვირვებული გახდებით. შესაძლოა, დაფიქრდეთ პროფესიონალური ცოდნის ამაღლებაზე ან სწავლის გაგრძელებაზე. მოგზაურობა და მივლინებები ახალ სასიკეთო პერსპექტივებს გადაშლის თქვენს წინაშე.

**თევზები** (19.02-20.03)
დამოუკიდებლად იმოქმედეთ და ნუ იქნებით პრეტენზიული. დაიცავით წესები და კანონები და აიმაღლეთ ავტორიტეტი. მატერიალური პრობლემების რაოდენობა იკლებს, რაც მეტად ხალისიანსა და უდარდელს გაგხდით. კეთილგანწყობისა და ორატორული ნიჭის დახმარებით სარფიან ხელშეკრულებებს დადებთ. მეგობრულ და სასიყვარულო ურთიერთობებში გააზრებულად და პრაქტიკულად იმოქმედებთ, თუმცა, სერიოზული ურთიერთობა არავისთან არ მოგინდებათ.

**— რა და რა ტენდენციებია მოსალოდნელი თიბათვეში, რას გვაუწყებენ ვარსკლავები?**

— **ივნისი**, საერთო ჯამში, საინტერესო და საკმაოდ დატვირთული იქნება. შედარებით უფრო რბილი და სასიკეთო კოსმოსური ამინდი **6 რიცხვამდე** გაგრძელდება, ამიტომაც სასურველია, სწორედ ეს პერიოდი იქნეს გამოყენებული პროფესიული თვითრეალიზაციისთვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ **20 ივნისამდე** ცის კაბადონზე არსებული პლანეტური კომბინაცია ადამიანებში მობილურობას და კომუნიკაბელურობას გააძლიერებს. ბევრ ჩვენგანს გაუჩნდება ბიზნესში, კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში კარდინარული ცვლილებების სურვილი. გონების ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტის **მერკურის** ზემოქმედებითა და წყალობით ჰორიზონტზე გამოჩნდება ნაყოფიერი და მომგებიანი შეხვედრების, მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების არაერთი შესაძლებლობანი. ივნისის ეს მონაკვეთი ხელს შეუწყობს ძველი არაფრის მომცემი, დამამძიმებელი კავშირების გაწყვეტას და ახალი შემოქმედებითი თუ პირადი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

**— როგორ განვითარდება მოვლენები თვის მეორე დეკადაში?**

— **10 ივნისიდან** მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ეკონომიკურ სტაბილურობაზე ნეგატიურად იმოქმედებს, რაც აისახება კიდეც როგორც საერთაშორისო ურთიერთობებზე, ისე საერთაშორისო ბიზნესზე და ფასიანი ქაღალდის ფასზე. **17 ივნისამდე** პლანეტა **მერკურის** ყოფნამ **ტყუპის ზოდიაქოში** შესაძლოა, გააძლიეროს საფრთხეები ბიზნესისა და სხვა სახის საქმეების წარმოებისას. გარდა ამისა, არასტაბილურობა იმატებს, ფორსმაჟორული სიტუაციები გაჩნდება. რის გამოც ბევრი ადამიანი შესაძლოა, ზედმეტად ფრთხილი ანდა პასიური გახდეს. ეს კი ამ პერიოდში გაუმართლებელი იქნება, რამეთუ, უმოქმედობის შემთხვევაში ძალზედ პოზიტიურ შესაძლებლობებს, რომელიც დადებით ცვლილებებს მოიტანდა ჩვენს ცხოვრებაში და შემოსავალს გაზრდიდა, ხელიდან გავუშვებთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივნისის შუა რიცხვებიდან თვის ბოლომდე საჭიროა, სიფრთხილე დავიცვათ დიდი შენაძენისა და უძრავ ქონებაში ფულის ინვესტირებისას, რადგან ამ დროს გარისკვისა და ფინანსების უყაირათოდ დახარჯვის სურვილი გაიზრდება. შედეგად კი შენაძენის უმეტესობა ან ძალიან ძვირი ან გამოუსადეგარი აღმოჩნდება. შესაბამისად, ამ პერიოდში ყაირათიანობა და ფულის უკეთ კონტროლი გვმართებს. მით უფრო, რომ **20 ივნისიდან** მოიმატებს ფულადი სახსრების მოთხოვნილება.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში ივნისის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ტყუპის ზოდიაქოდან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 21 ივნისს (00.52) გადაინაცვლებს რა კირჩხიბის ზოდიაქოში, ადამიანებში გაამახვილებს მგრძნობელობას, ემოციურობას, ინტუიციას, პატრიოტიზმს, ეროვნული ფასეულობებისა და ოჯახის მიმართ პატივისცემას და ასევე ხასიათცვალებადობასა და ეჭვიანობასაც.** ამგვარად **20 ივნისის** შემდგომ **მზეც** და პლანეტა **მერკურიც კირჩხიბის** ზოდიაქოში იმოძრავებენ, რაც ადამიანებში გაამახვილებს ინტუიციას და ახალ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს წარმოაჩენს. მიუხედავად ამისა, **21-24 ივნისის** შუალედში მეტი ყურადღება და სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ გეგმისა და ტაქტიკის შერჩევისას. ამ დღეების რთულმა ენერგეტიკამ შესაძლოა, დაძაბულობა და კრიზისული სიტუაციები განაპირობოს. ამიტომ იმისთვის, რომ გვერდი ავუაროთ ან მინიმუმამდე შევამციროთ დანაკარგის რაოდენობა, უნდა ვიმოქმედოთ ფრთხილად და წინდახედულად, ერთგული მეგობრებისა და გამოცდილი ადამიანების რჩევები გავითვალისწინოთ და ადრე დასახულ გეგმას არ გადავუხვიოთ. განსაკუთრებით, პროფესიული განვითარების საკითხებსა და პროფესიულ საქმიანობაში.



*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 3,5,6 და 8 ივნისი**

**6 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი – 16.40 საათზე;**
**22 ივნისი – სავსემთვარეობა, პიკი – 05.11 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 3 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.10) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 02.09 საათზე, ჩადის 16.10 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 03.18 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.05 საათიდან 05.56 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში (17 ივნისამდე), რაც გააძლიერებს კომუნიკაბელურობას, შუამავლობის და მოლაპარაკებების უნარს, დახვეწილ იუმორს, უცხო ენების ათვისებასა და მოგზაურობისკენ მიდრეკილებას და ასევე სულსწრაფობას, უყაირათობას, გაორებას, ნევროზულ მოუსვენრობას. დღეს სიტყვები გააკონტროლეთ. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, ახალი შთაბეჭდილებებისთვის, ფინანსური საკითხის გადასაჭრელად. მოერიდეთ პროვოკაციებსა და მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აგატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 4 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.32 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 02.36 საათზე, ჩადის 17.28 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.28 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** ტრავმული დღეა, ყურადღება გმართებთ. მოერიდეთ ყვირილს, გაკიცხვას, სულსწრაფობას. კარგი დღეა მატერიალური საკითხის გადასაჭრელად, სესხის გასტუმრებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, მგზავრობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, ვაჭრობისთვის, უძრავი ქონების, ცხოველების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, ორპირ ქარში ყოფნა და კისრის მკვეთრი მოძრაობა. ეფექტურია შარდსასქესო სისტემის მკურნალობა, თმისა და სახის კანის კვება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აგატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 5 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.40) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 03.08 საათზე, ჩადის 18.45 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 03.42 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.10 საათიდან 12.36 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** იდუმალი და განსაკუთრებული (საკვირველი) მოვლენების დღეა. სასიკეთოა ძველი და უსარგებლო ნივთებისგან განთავისუფლება. ეცადეთ, კარგი განწყობა შეიქმნათ. მოერიდეთ კონფლიქტებს. ეფექტურია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საზარდულის მკურნალობა. კარგი დღეა ახალი პროფესიის ასათვისებლად, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, მგზავრობისთვის, რეკლამისა და ინტერვიუებისთვის, მშენებლობისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ნერვული სისტემა, ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** აგატი, ტოპაზი, აკვამარინი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 6 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.33 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 03.48 საათზე, ჩადის 19.58 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 04.05 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 16.40 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მძიმე ენერგიების დღეა. მაღალია აგრესია-დეპრესიის გამოვლენის, ცდუნებების, შეცდომების, ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. სასიკეთოა ლოცვა, ყველას დალოცვა, მიტევება. ეცადეთ, ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლოთ. მოერიდეთ პროვოკაციებს, მეტი ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ. ინფორმაცია შეამოწმეთ. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, ახალი საქმის დაწყება, ხელშეკრულების დადება, ფულის სესხება-გასესხება, რაიმეს შეძენა, თმის შეჭრა-შეღებვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, გიშერი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 7 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.33 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.31) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.37 საათზე, ჩადის 21.03 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 04.42 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.17 საათიდან 16.42 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ყურადღება გმართებთ, სიტუაცია მალე შეიცვლება. წარსულზე ნუ იფიქრებთ. მოერიდეთ უჰაერო სივრცეებს, სიმძიმის აწევას, ზედმეტი ინფორმაციის მიღებას. კარგი დღეა რეკლამისა და ინტერვიუებისთვის, საკომუნიკაციო ნივთების შესაძენად, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მგზავრობისთვის, მშენებლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საღამოს კი საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება, თმის შეჭრა-შეღებვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, კუჭი, მკერდი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი. **საღამოს** — ზურმუხტი, რაუხტოპაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 8 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.34 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 05.35 საათზე, ჩადის 21.55 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 05.38 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** განსაკუთრებით გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, ფულს, ძვირფასეულობას. დღეს ურთიერთობები არ მოიტანს სათანადო შედეგს. არ არის სასურველი კონფლიქტურობა, ნერვული სისტემის გადაღლა, ახალი ურთიერთობის დაწყება, ალკოჰოლის მიღება, ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე შეამოწმეთ. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, ვაჭრობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ცხოველების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 9 ივნისი , კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.12) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.40 საათზე, ჩადის 22.37 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 06.53 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.07 საათიდან 23.30 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **კუროს** ზოდიაქოში (20 ივლისამდე), რაც გააძლიერებს დისციპლინას, ნებისყოფას, შეუპოვრობას, ერთგულებას, შემოქმედებითობას, მოქმედებას პრინციპით — „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ და ასევე სიჯიუტეს, სიზარმაცეს. დღეს უფრო ყურადღებიანი და კონტაქტური იყავით. კარგი დღეა საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, ვაჭრობისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, სამეურნეო საქმიანობისთვის, პროდუქტების შესაძენად, ბავშვის ჩასახვისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ნერვული სისტემის გადაღლა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, სისხლძარღვთა სისტემა. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, მარგალიტი, ამეთვისტო, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



3 ივნისი – ხსენება კონსტანტინე მეფისა და დედისა მისისა ელენე დედოფლისა



7 ივნისი – წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა

3 ივნისი. ორშაბათი. მოციქულთა სწორთა: **კონსტანტინე მეფისა და დედისა მისისა ელენე დედოფლისა;** კრება ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატისა.

✝ 4 ივნისი. სამშაბათი. მოწამისა ვასილისკოსი, აფხაზეთის კომანში წამებულისა; მოწამისა იოანე-ვლადიმერისა, სერბეთის მთავრისა; ხსენება მეორე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.

✝ 5 ივნისი. ოთხშაბათი. ღირსისა დამიანესი, მეფეყოფილისა დემეტრესი, გარეჯელისა, „შენ ხარ ვენახის“ მთქმელისა; ღირსისა მიქაელ აღმსარებელისა, სინადელი ეპისკოპოსისა; ღირსმოწამისა მიქაელისა. **წმინდა იოანე I-ისა — მთავარეპისკოპოსისა მცხეთისა და სრულიად ივერიისა.**

✝ 6 ივნისი. ხუთშაბათი. **ღირსისა სვიმეონ მესვეტისა, სასწაულმოქმედისა, რომელი იყო დამკვიდრებული მთასა საკვირველსა;** მოწამეთა: მელეტი სტრატილატისა, სტეფანესი, იოანესი, სერაპიონ ეგვიპტელისა, კალინიკე მოგვყოფილისა, თეოდორესი და ფავსტოსი და მათთანა მრავალთა მხედართა.

✝ 7 ივნისი. პარასკევი. წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა; მღვდელმოწამისა თერაპონტისა, კვიპრელი ეპისკოპოსისა.

✝ 8 ივნისი. შაბათი. მოციქულთა სამოცდაათთაგანთა: კარპესი და ალფესი; მოწამისა გიორგი ახლისა; მოწამეთა: ამბერკისა და ელენესი; ღირსისა იოანე აღმსარებელისა, ფსიხაიტისა.

✝ 9 ივნისი. კვირა. **აღდგომიდან მე-6, ბრმის კვირიაკე. ღირსისა ბასილისა, მეფე ბაგრატ III-ისა ძისა;** ღირსისა მიქაელ პარეხელისა; მღვდელმოწამისა თერაპონტისა, სარდიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა თეოდორა ქალწულისა და დიდიმო მხედრისა; მართლისა იოანე რუსისა, აღმსარებელისა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **57-ე წელია,**

# მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ფარვანა; 7. მამბა; 12. მენტორი; 13. ლეონე; 14. ლავსანი; 15. რინგი; 16. რუბლევი; 17. გრიგი; 18. ნარჩიტა; 19. კასტა; 20. ნეოფიტი; 21. ტრეკი; 22. ადიდასი; 26. ნიელო; 27. გიდელი; 30. რაისი; 32. უფოლოგია; 33. ჯილი; 35. ლიბრეტო; 36. ფოლი; 37. დარეჯანი; 41. ჯანყი; 42. ღიღილო; 45. ლომი; 46. ვატერპასი; 47. ფაშა; 49. პერიკლე; 50. არი; 52. აპოლინერი; 57. ნოვაცია; 58. ბოკალი; 61. სპირიტიზმი; 62. ბერეტა; 63. ტაბულა; 64. პერიტონიტი; 65. ციკანი.

შვეულად: 1. ფელონია; 2. რევერსი; 3. არაბიკა; 4. ამირანი; 5. ანაბიოზი; 6. კობერიძე; 7. მირიკინი; 8. მონასტერი; 9. ალიგატორი; 10. სოლიტერი; 11. დენიკინი; 23. დაფნა; 24. დოლჩე; 25. სიგმა; 27. გალი; 28. დუბაი; 29. ლიეჟი; 31. სალამური; 33. ჯოჯო; 34. ლანკა; 36. ფილა; 37. დავლა; 38. რეტრო; 39. ჯართი; 40. ნუარე; 42. ღიპი; 43. ღორჯო; 44. ლუკმა; 47. ფენი; 48. შავთელი; 50. აცტეკა; 51. იამანი; 53. პაპიე; 54. ლერწი; 55. ნიტრო; 56. რაზმი; 58. ბიტი; 59. კაბუ; 60. ლელო.

**კინოლოგიკაისარიდინარინიაგარაკისტადიასპორა**
**რამაზანტიგონებავარიაციალიკანიჯამნათექაოსი**

| მექალღეობის სპეციალისტი | ჭადრაკის ღვთაება | მწერალი თომას მაინ ... | რუსუდანის ვაჟი დავით ... | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | რისამე განვითარების საფეხური | სოკოს გამრავლების ორგანო |
|---|---|---|---|---|---|---|

| ხელო-ვნების დარგი | მეცნიერება აზროვნების შესახებ | ამურის იარაღი | ფულის ერთეული ერაყში | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | ხალხის მნიშვნე-ლოვანი ნაწილის ყოფნა საზღვარგარეთ |
|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 1. ღამის ფრთაფარფატა პატარა პეპელა; 7. გველის ნაირსახეობა; 12. ტელემაქეს გამზრდელი („ოდისეა“); 13. იტალიელი კინორეჟისორი; 14. ხელოვნური ბოჭკო; 15. კრივის მოედანი; 16. რუსი მხატვარი; 17. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 18. ერთგვარი ჩიტი; 19. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი ინდოეთში; 20. ახლად რჯულმიღებული; 21. ველოდრომი; 22. გერმანული სპორტული ნაწარმის ფირმა; 26. მოსავადების ტექნიკა; 27. მოგრძო და ძირწვრილი გოდორი; 30. აშშ-ის სახელმწიფო ექსმდივანი; 32. მეცნიერება „მფრინავი თეფშების“ შესახებ; 33. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 35. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 36. პერსონალური შეცდომა კალათბურთში; 37. ლუარსაბ თათქარიძის მეუღლე (ლიტ); 41. ე. ნინოშვილი — „... გურიაში“; 42. ყანის ყვავილი; 45. ნადირთა მეფე; 46. თარაზო; 47. დიდებულების საპატიო ტიტული ძველ ოსმალეთში; 49. ძველი ბერძენი პოლიტიკური მოღვაწე; 50. მიწის ფართობის საზომი ერთეული; 52. ფრანგი პოეტი; 57. განახლება, ცვლილება (ლათ.); 58. ფეხიანი სასმისი; 61. ცრურწმენა — ვითომ შესაძლებელია მიცვალებულთა სულების გამოძახება; 62. იტალიური ავტომატი; 63. გამრავლების ცხრილი; 64. მუცლის აპკის ანთება; 65. თხის ნაშიერი.

შვეულად: 1. ფეოდალურ სამართალში უკანონო მოქმედება სენიორისა და ვასალის ურთიერთობაში; 2. მედლის უკანა მხარე; 3. ყავის სახეობა; 4. ქართველი პრომეთე; 5. სასიცოცხლო პროცესის დროებითი შეჩერება ზოგ ორგანიზმში; 6. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 7. სამხრეთ ამერიკის ტყეების ბინადარი მაიმუნი; 8. ბერ-მონაზონთა საეკლესიო ორგანიზაცია; 9. ნიანგის სახეობა; 10. ბროშში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 11. რუსი თეთრგვარდიელი; 23. მარადმწვანე ხე სურნელოვანი ფოთლებით. 24. იტალიელი დიზაინერი; 25. ბერძნული „ს“-ს სახელი; 27. ქალაქი აფხაზეთში; 28. ქალაქი არაბთა გაერთიანებული საამიროებში; 29. ქალაქი ბელგიაში; 31. ლერწმის ჩასაბერი საკრავი; 33. ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი; 34. სახელმწიფო შრი...; 36. შოკოლადის ბრტყელი ნაჭერი; 37. ალაფი, ნადავლი; 38. უკან (ლათ.); 39. ლითონის უვარგისი ნაწილები; 40. ფრანგი მსახიობი ფილიპ ...; 42. დიდი, უშნო მუცელი; 43. თევზის სახეობა; 44. საჭმლის მცირე ნაწილი; 47. თმის საშრობი ელხელსაწყო; 48. ქართველი მწერალი („აბდულმესიანი“); 50. სტადიონი მეხიკოში; 51. საქონლის ერთგვარი დაავადება; 53. პლასტიკური ნივთიერება ... — მაშე; 54. ვაზის ერთწლიანი რქა; 55. აზოტთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი; 56. ჯარის ნაწილი; 58. ინფორმაციის რაოდენობის ერთეული; 59. ქართველი რეპერი; 60. ქართული პოლიტიკური პარტია.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ... ჩხიკვაძე | მეფე ოიდიპოსის ქალიშვილი | მხარე გერმანიაში | ციმციმი | არგენტინელი ფეხბურთელი | ეკლესიის მსახური | სრული უწესრიგობა |
|---|---|---|---|---|---|---|

| „რამა-იანას“ პერსონაჟი | ზარმაცი | ჭკუა | მუსიკალური თემის, მელოდიის სახესხვაობა | ქართული მინერალური წყალი | მდინარე ინდოეთში | ნაბდის წამოსა-ცმელი | ალანი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2024 წლის 3 – 9 ივნისი №24 (1542)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol